# საერთო გაზეთი

№33 (393) • 7 სექტემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## კობა არაბული:
## ძმებო, კოლხებო, არ დაუშვათ ამ მომღიმარი ეშმაკის „შეწყნარება“ და „სადედოფლოდ“ გამზადება!

„თქვენ, კოლხებს, აიეტის და მედეას, ქუჯის და გუბაზის შთამომავლებს, როგორ შეგიძლიათ, ქალი, თანამეცხედრე კაცისა, რომელმაც სისხლის და სიკვდილის ტახტრევნები დაგვიდგა სახლებში, სისხლიანი ვენდეტები მოაწყო სვანეთში, კოდორში, სამაჩაბლოში, ქალაქის ქუჩებში, უკან დააბრუნოთ“...



## ქალბატონი, რომლის ბედ-იღბალი სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა

„უფრთხილდით, ის ღირსებაშელახული, თავმოყვარეობა-დაკარგული, მეობაწართმეული საწყალი ქალია, რომელიც აუცილებლად ეცდება ანგარიშის გასწორებას იმ საქართველოსთან, რომელმაც ის საკუთარი ქმრისგან არ დაიცვა!!!!“



## მიშას გამომ-ბანი, ჩამ-ბანი, განმ-ბანი... მიშას ბოლო ბანი



**ზაურ კალანდია:** სამეგრელოში „ნაციონალებმა“ რომ გაიმარჯვონ, ეს იქნება კატასტროფა, როგორც ამ კუთხისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის



**მამა ბასილი:** არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ, რომის პაპმა მესა ჩაატაროს საქართველოში!



**ზურაბ კადაგიძე:** ოდესაში დაგეგმილ პროვოკაციებს ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გასცემს



**იოსებ ჯუღელი:** გაუგონარი თავხედობაა, რომ ირაკლი აბესაძე სხვებს სდებს ბრალს, მაშინ როცა თვითონ უამრავი უკანონობა აქვს ჩადენილი



**მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი**

facebook

# ბიძინა ივანიშვილის შეხვედრები რეგიონულ მედიასთან

## გ უ რ ი ა



„შიდა გამოკითხვებზე, რომელსაც ამ ეტაპზე პარტია არ აზმაურებს, მე ვფიქრობ, გურულებს ყველაზე სწორი აქცენტები აქვთ გაკეთებული — „ნაციონალურ მოძრაობას“ 3% აქვს გურიაში. შესაბამისად, მე დღეს მოვედი არა იმისთვის, რომ ანალიზში დავეხმარო, არამედ იმისთვის, რომ ერთად გავაანალიზოთ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია. იმედი მაქვს, რომ დღეს უფრო მეტს ვისაუბრებთ ვიდრე წინა შეხვედრაზე სწორედ რომ პოლიტიკაზე და პოლიტიკურ პარტიებზე და მე დღეს უფრო გამიიოლდება გურიაში სწორი აქცენტები გავაკეთოთ ყველა პოლიტიკურ ძალაზე, ვისაც პრეტენზია აქვს ქვეყნის მართვაში მოვიდეს და სწორი გზით წაიყვანოს ჩვენი სახელმწიფო.“

* * *

„პირადული არ მაქვს-მეთქი როდესაც ვამბობ, აქვე დამავატებ, რადგან შემახსენეთ — სააკაშვილს ჩემთან ჰქონდა მოწიწებითი პირადული დამოკიდებულება, მეც არ მქონია უხეში დამოკიდებულება, ამასაც არ ვამბობ. მივიდოდი — მხვდებოდა, აუცილებლად მაცილებდა, თვალებში მიყურებდა არაფერი მწყენოდა. მას ჩემთან ჰქონდა მხოლოდ მოწიწებითი და კულტურული დამოკიდებულება, ერთი უხეში სიტყვა არ უკადრებია არასდროს. ამასაც ვამატებ, მე რომ მდომებოდა, კომფორტულად ვიყავი წინა ხელისუფლებასთან, თუ მოვისურვებდი, ხელისგულზე მატარებდნენ, მაგრამ ის, რაც მათ ქნეს და რა დღეშიც ჩააგდეს საზოგადოება, რა თქმა უნდა, ეს არ ავიტანე და ამისთვის მოვედი პოლიტიკაში. ესეც მინდა დავამატო იმ შემადგენელს, რომ მე არა მაქვს პირადული, პირადული რომ მდომებოდა, მე, შეიძლება, ყველაზე კომფორტულად მათი ხელისუფლების პირობებში მეცხოვრა.

როგორ ექცეოდნენ საზოგადოებას — ძალადობა იყო კულტი! დღესაც თუ ნახავთ მათ ხელწერას, მხოლოდ ძალადობას ვერ ანებებენ თავს და ეს არის მთელი პრობლემა დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობისაც“. დასაწყისიდან, როდესაც ვაკრიტიკებდი, განადგურებას მაბრალებდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება უნდა, და ა.შ არა, როგორ გეკადრებათ, არავის განადგურება არ მინდა, მინდა ყველას კარგად ეცხოვრებოდეს ამ ქვეყანაში, მაგრამ მათ უარი უნდა თქვან ძალადობაზე. გავიმეორო, რა ხდებოდა ქვეყანაში? — კარგად იცით, ხომ? არც მალავენ სხვათაშორის. აბა, ნახეთ, გაიხსენეთ ერთ-ერთი მათი ლიდერის, ჭიაბერაშვილის (თურმე ფილოსოფოსი ყოფილა) მაშინდელი ნაწერები, რეალურად ამ იდეოლოგიით ცხოვრობდნენ — ქაოსურ და გაუგებარ დემოკრატიას სტაბილური ავტოკრატია სჯობსო. ამიტომ, ჯობია ერთმა კაცმა, ერთმა გუნდმა სტაბილურად მართოს ქვეყანა და ეს უნდა დასავლეთსაც, — დაახლოებით ამ იდეოლოგიას ატარებდა. ახლა, თუ ამას დავამატებთ სააკაშვილის მეუღლის გამონათქვამს, რომ თურმე ხალხს უნდა ეშინოდეს მიშასი; რომ მიშა ასეთია და დღეს გვეუბნებიან რომ თვალებში ჩახედა და იმას აღარ იკადრებს რასაც კადრულებდა — რას აღარ იკადრებს, გაუპატიურებები აღარ იქნება? მკვლელობები აღარ იქნება? წამებები აღარ იქნება? რის გარანტიას გვაძლევენ, რას გვპირდებიან?

ის, რომ იდეოლოგია, რითიც ისინი მოვიდნენ, პრაქტიკულად, გახსნილად იყო ძალადობრივი და ამით აშენებდნენ დემოკრატიას და გააძლიერებდნენ ეკონომიკას. რაც მივიღეთ, ძალიან კარგად ვნახეთ, ერთი ჯგუფის მართული ქვეყანა როგორი იყო, „ელიტარული კორუფცია“, როგორ ინაწილებდნენ მთელ ბიზნესს, მონოპოლიზებული მედია, როგორ აწამებდნენ ციხეებში და აწამებდნენ არა ისე, რომ ეს დამალული ყოფილიყო...

მახსოვს, ერთ-ერთი ჩემი თანაგუნდელი იხსენებს, თუ არა ის კადრები, რომელიც ციხიდან გამოვიდა, ჩვენ არჩევნებს ვერ მოვიგებდითო. დაემთხვა, რომ ჩვენ ჩავატარეთ კვლევა სწორედ მანამდე და მის შემდეგ, არც ერთი პროცენტი „ქართულ ოცნებას“ არ მომატებია. ისინი ამ ძალადობას არ მალავდნენ და ეს მათი ხელწერა კი არ იყო, მათი კოზირი იყო. ხალხს აშინებდნენ, თუ ასე არ მოიქცევი, შეხვალ ციხეში და სიკვდილი გელოდებაო. საზოგადოებაში ეს ხმები და ეს კადრები გამაოგნებელი არ იყო, გამაოგნებელი იყო უცხოელებისთვის, მათზე ამან კარგად იმუშავა, მაგრამ ესენი ამას რეკლამას უკეთებდნენ პირდაპირი მნიშვნელობით. აბსოლუტურად უდანაშაულოს იჭერდნენ ხშირად, რომ მეზობელს დაენახა — აი, შენც თუ არ გაჩერდები და არ გაჩუმდები, სწორედ რომ ეს მოგელისო!

ციხეებშიც, რაც ხდებოდა, ამას თვითონვე ავრცელებდნენ, რომ ის ციხე ვერ იქნებოდა კომფორტული ვერავისთვის, იქ თუ მოხვდებოდი სიკვდილთან ახლოს იქნებოდი — აფორმებდნენ ძალადობას და ძალით იჭერდნენ ხალხს.

მე მახსოვს, სვანეთში ვიყავი არჩევნების პროცესში და ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ცოტა უხეშად მიმართა სვანებს და მე დავიცავი. თითქმის ყველა სახლთან სამი მანქანა იდგა, გამოხვიდოდი და დაგიჭერდნენო, ტყიდან შეშას ვერ გამოიტანდი — შეგნებულად მიდიოდნენ ხალხის დაშინებაზე.

აბა, ნახეთ დღევანდელობა, დღეს ნახეთ მათი ხელწერა, „ნაციონალური მოძრაობის“, თუ არ არის ისევ ძალადობრივი, რითიც შეუძლიათ, იმით ძალადობენ.

რომელ შეცდომებს აღიარებენ, რომ კლავდნენ, რომ აწამებდნენ, რომ ძარცვავდნენ, რომ მთელ ბიზნესს ინაწილებდნენ? — ეს უნდა განმარტონ ვინც ამბობს. თვალებში რომ ჩახედა, გამობრძანდეს და განმარტოს, რას გვპირდებიან, რომ აღარ გააუპატიურებენ? აღარ მოგვიკლავენ შვილებს? აღარ წაგვართმევენ ბიზნესს? — ამას გვპირდებიან? რა შეცდომებზეა საუბარი? ეს „შეცდომა“ შემოიტანეს ისე ლამაზად, ისე ლაღად, რომ თითქოს რაღაც შეეშალათ, მარჯვნივ კი არ წავიდნენ მთლად, ცოტა, ოდნავ, მარცხნივ შეუგანეს“...

* * *

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური სიტუაციების სწორი შეფასება — ეს არის მხოლოდ ხსნა. ვინ მოვა და როგორ მოვა, მხოლოდ საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. ყველაზე დიდი რაც გაკეთდა ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დროს, რომ ხალხს დავუბრუნეთ ლეგიტიმურად ის, რაც ეკუთვნოდა. არჩევნების უფლება გვქონდა წართმეული! ჩვენ არ გვეკითხებოდნენ და აღარც აპირებდნენ შეკითხვას, მხოლოდ საზღვარგარეთთან უნდა გაეფორმებინათ როგორმე და ყოფილიყვნენ მისაღებნი“.

* * *

„მაკრიტიკებდნენ წინა გამოსვლის შემდეგ რომ შეურაცხყოფას აყენებს ქართველ ხალხსო, ჭკუა უნდა ასწავლოსო. ღმერთმა დამიფაროს! მეც ჩვეულებრივი ქართველი ვარ და მეც ისეთივე გენეტიკური მახსოვრობა მაქვს როგორც თქვენ და ჩვენ ყველას ერთად, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ გვაქვს ბოლო 200 წელია და ეს არ არის მარტივი პროცესი. მე ამას ვამბობ და ყოველთვის ვუსვამ ხაზს და არა ის, რომ შეურაცხყოფას ვაყენებ ვინმეს. მიუხედავად ნიჭიერებისა და ჩვენი ისტორიული გამოცდილებისა, მაინც არ გვყოფნის ჩვენ სახელმწიფოს მართვის კულტურა — ეს არ არის სირცხვილი და შეურაცხყოფა.

დღეს კიდევ არის განცდა, რომ ვიღაცამ უნდა უკარნახოს, ფული დაურიგოს, რაღაც საჩუქრები დაურიგოს არჩევნების პროცესში, რაც იყო სირცხვილი, ვთქვათ, ერთი ბოთლი ზეთი ან 1 კგ შაქარი — არა, მხოლოდ სწორი ანალიზი!

არც ერთ პარტიაზე არ უნდა გვქონდეს ზეჭარბი დამოკიდებულება! სანამ ასრულებს, სანამ სწორი პოზიცია აქვს, სანამ ემსახურება ხალხს, სანამ სწორი მიმართულებით და დასაბუთებულებად გვეუბნება როგორ წაიყვანს ჩვენს სახელმწიფოს — ეს უნდა გავაანალიზოთ სწორად და მათ უნდა დავუჭიროთ მხარი“.

* * *

დღეს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს. არჩევანი როგორიც არის, ასეთია. სულ გვგონია და გვეგონა ჩვენ, რომ ყველაფერში გვიჭირს, მაგრამ აი, პოლიტიკოსები გვყავს რამდენიც გვინდა, შეიძლება მეც კი მითქვამს ხუმრობით, ვერ ვიხსენებ, რომ რამდენიმე პრეზიდენტს ვაჩუქებდით მოფლიოს — არ არის ასე. როგორი ეკონომიკაც გვაქვს, რაც არის ლოგიკური, როგორიც უნდა იყოს, ისეა სწორედ ჩვენთანაც, ყველაფერი თანხვედრაშია. გინდათ, მედიით დავიწყოთ, გინდათ — ეკონომიკით, პოლიტიკით, ეს ყველაფერი ერთი საზოგადოების შემადგენილი ნაწილია. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ისტებლიშმენტიც ისეთივე ღარიბია, როგორიც არის ჩვენი ეკონომიკა დღეს, მაგრამ დრო უნდა ამას ყველაფერს. ამას უნდა აღზრდა, კარგი დაკვირვება, სელექცია, კარგი გამოყვანა და ა.შ.“.

* * *

„მე არ ვიტყოდი რომ დღეს არჩევანია თეთრსა“ და „შავს“ შორის. პარტიები არსებობენ, მათ აქვთ ის რეიტინგი რაც აქვთ — ამაში არ არის ჩემი წვლილი არანაირი, რაც მოახერხეს ის აქვთ.

რაც შეეხება ფილმს („ჰეროკრატია“) — რა თქმა უნდა, ჩემი იდეა იყო, ორწლინახევრის წინ იყო ამაზე საუბარი, 9+1-იც ჩემი მოგონილი სათაური იყო. რაც შეეხება იმას რომ ახლა ხდება მისი ჩვენება, ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი მიზეზი არის ის, რომ დიდი დრო დასჭირდა ფილმის გადაღებას და დაემთხვა, თორემ შეიძლებოდა უფრო ადრე ჩვენებაც. ის, რომ დღესაა და ეს დამატებით კითხვებს იწვევს, რატომ, მე ვფიქრობ რომ კარგია. ყოფილიყო უფრო ადრე, შეიძლება უკეთესი ყოფილიყო — მე ვფიქრობ, არჩევნების ჩატარებაში მახსოვრობას აღგვიდგენს, ხალხმა რომ ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთოს, რომ ასე ვთქვათ, მოკლე მეხსიერებით არ ვიცხოვროთ.

ჩემთან ასეთი შეკითხვებიც იყო, არა მედიაში, რომ ხომ არ გამოიწვევს ეს ქუჩაში რაღაც აქციებს. ჩვენ არ ვართ ახალგაზრდა, ჭყინტი ერი და არავითარი ქუჩის აქციები, თუ თავსმოხვეული არ არის ძალადობა, რაც ისევ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიტანა და დღესაც ძალადობაზე არიან აგებული და სახიფათონი არიან რომ იცოდეთ! ძალადობრივი თუ იქნება და ქუჩაში რამე სახიფათო იქნება, მიზეზი ეს ფილმი კი არ იქნება და ამ ფილ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

მის ყურების შემდგომ ჩვეულებრივ მოქალაქეებს კი არ გაუჩნდებათ სურვილი რომ მათ პასუხი აგებინონ — არავის პასუხი არ უგებინებია და არაფერი არ მომხდარა ქუჩაში დღემდე მიუხედავად იმ აგრესიისა, რაც მათ დაუტოვეს საზოგადოებას. საზიფათონი ისინი კი არ არიან, მაშინდელი დაჩაგრული საზოგადოება, ისევ თვითონ არიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საზიფათონი, რამეთუ ეს წლები, ოთხი წლის განმავლობაში, სულ ძალაზე იყვნენ მომართული. 2013 წლის გაზაფხულზე გეგმავდნენ რევოლუციას — შიგნით, გუნდიდან ინფორმაციებიც ვიცით, ისედაც ჩანდა. გახსოვთ, პირველი დემონსტრაციები და მიტინგები, უნდოდათ ეგრევე აგორება, რომ უნიათო ხელისუფლება ახლავე უნდა გავუშვათო; გაზაფხულიდან შემოდგომაზე გადაჰქონდათ, ახლა არ გამოგვივიდა, მაგრამ აი, შემოდგომაზე მოვახდენთ რევოლუციას და გავუშვებთო; შემოდგომიდან ისევ გაზაფხულზე და ასე მოვიყვანეთ დღემდე. ახლაღა აქვთ ბოლო გაბრძოლება და თვლიან მხოლოდ რევოლუციაზე, რამეთუ მათ კარგად იციან, რომ არჩევნების გზით მათ არ მოუშვებთ საზოგადოება, შესაბამისად ესეც უნდა გავაცნობიეროთ. საკმაოდ დიდია ხიფათი, არჩევნების პროცესის აყირავება — ერთადერთი გეგმა რაც აქვთ მათ.“

* * *

„ეკონომიკური ზრდის ტემპი, შეიძლება, არ არის მომხიბლავი დღეს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ ლიდერების ზრდის ტემპით, რომელიც არასოდეს ყოფილა წინა ხელისუფლების დროს. კიდევ ერთხელ მინდა ტელემაყურებლებს შევახსენო, რომ როდესაც რეგიონში არის კრიზისი, როდესაც ევროპაშია კრიზისი და საერთოდ, ეკონომიკური კრიზისია, იქ ერთი ქვეყანა ვერ გაიზრდება ძალიან მაღალი ტემპებით. ამ პროცესში საქართველო არის ლიდერი ეკონომიკის ზრდის ტემპებით — ეს ზოგადად. ახლა უფრო კონკრეტულად, რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა. კორუფცია ნულამდეა დასული ნაცვლად იმისა, რომ „ელიტარული კორუფცია“ იყო და მთელ ბიზნესს იყოფდა ხელისუფლება; სამუშაო ადგილები 2006-2012 წლამდე 23 000-ით შემცირდა. ჩვენი მოსვლის შემდეგ, შეიძლება, ეს ბევრი არ არის, მაგრამ 60-65 ათასით გაიზარდა. ამავდროულად, ხაზს გავუსვამდი, რომ ეს არ გაზრდილა სახელმწიფო სტრუქტურების ხარჯზე; ვალების ეკონომიკიდან გადავედით ინვესტიციების ეკონომიკაზე. ლარის კურსიც მაშინ ახალი ვალებით რეგულირდებოდა, დღეს ნახეთ, როგორი მცურავი კურსი დავიჭირეთ და რა მოხდა რეგიონებში.

ვერავინ ვერ იტყვის რომ მთავრება არ ეხმარება და არ ლობირებს ბიზნესს, რაც არის სწორედ ახალი სამუშაო ადგილების შემნის საფუძველი; ვისაც ეკონომიკა ესმის, ყველა მიმართულებით გვაქვს წარმატება იმ ფონზე, რაც დღეს არსებობს რეგიონში და ვართ ლიდერები; საკუთრება არის პირუთვნელად დაცული და ა.შ

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2011-2012 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით მსოფლიოში 137-ე პოზიციაზე იყო (თავისუფალი ორგანიზებული დანაშაულისაგან ქვეყნები, ამასაც მსოფლიო ბანკი აკეთებს — 2012 წლამდე საქართველო შედიოდა 70 ყველაზე მაფიოზურ სახელმწიფოში, დღეს საქართველო შედის მსოფლიოში 17 ყველაზე დაცულ ქვეყანაში) და ბოლოდან მე-6 ადგილზე ვიყავი, დღეს საქართველო უსწრებს ისეთ მოწინავე ქვეყნებსაც კი, როგორიცაა: ბელგია, ირლანდია, საფრანგეთი, აშშ, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ესპანეთი, იაპონია და ა.შ

დაპირებებს რომ მახსენებთ, რომ რაღაც დაპირებები არ შევასრულე, ძალიან გთხოვთ, კონკრეტულად მითხრათ, ჩემი დაპირება რომელი იყო და რომელი არ შევასრულე.“

* * *

„როდესაც ჟურნალისტი სვამს კითხვებს, ის უნდა იყოს არგუმენტირებული და ის უნდა იყოს მაგალითებით მოყვანილი და როდესაც ზოგად კითხვებს ამბობს და „ქუჩაში გადი და ნახე რამდენი გაჭირვებული ადამიანი შეგხვდება“ სწორედ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ დემაგოგია. როდესაც ამდენ ციფრებს ვკითხულობ, სად ვიყავით და სად მოვედით; ოთხ წელიწადში რომ სახელმწიფო შენდებოდეს, ეკონომიკა ღორძინდებოდეს და მოწინავე ქვეყნებში შევდიოდეთ, ყველა ასეთი იქნებოდა დღეს და არსად აღარ იქნება გაჭირვებული სახელმწიფო. 15-20 წელიც არ არის იმდენი საკმარისი დრო რომ ევროპის მსგავსი ეკონომიკა ავაშენოთ. თქვენ ახლა საოცრებას ითხოვთ, „გადით და ნახავთ გაჭირვებულს“. 2030 წელს რომ ვამბობ, ახლავე განვუმარტავ მაყურებელს, არ იფიქროთ რომ 2030 წელს საქართველოში გაჭირვებულს ვეღარ ნახავთ, ან ნახავთ სახელმწიფოს, სადაც გაჭირვებული არ იქნება. როდესაც ჟურნალისტი კითხვას სვამს, აუცილებლად კრიტიკული უნდა იყოს, მაგრამ არა დემაგოგიური „გადით ქუჩაში და ნახავთ“.

* * *

„ზოგადად რომ დავახასიათოთ პარტიამ „თავისუფალი დემოკრატები“ აჩვენა საკუთარი სახე და ჩემი აზრით, ბოლო წლების განმავლობაში არცთუ ისე კარგად. რა მაქვს მხედველობაში — „თავისუფალი დემოკრატები“ იყვნენ კოალიციის წევრი პარტია. გახსოვთ, როგორ გადადგნენ და როგორი რიხით წავიდნენ კოალიციიდან და განაცხადეს რომ პროდასავლური მიმართულება შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“ და ამიტომ ტოვებენ პარტიას. რამდენიმე კვირის შემდგომ ლამის ბოდიშების მოხდამ მოუწიათ რომ თურმე ეს არ ჰქონიათ მხედველობაში — აშკარად ვერ ჰქონდათ გააზრებული და დალაგებული. მათი ლიდერი მუდამ ამბობდა და ამბობს დღესაც, რომ რაღაც პირადი პატიმრებია ივანიშვილის რაც მოხდა თავდაცვაში. თავდაცვაზე უამრავი განცხადებები მქონდა პრემიერობის დროს გაკეთებული, რომ სწორედ იქ, ტენდერები არ ჩატარდა, ხალხი იწამლებოდა და ყველანაირად ვცდილობდი, მას ეს პროცესები და პრობლემები მოეგვარებინა, მაგრამ ისე წამოვედი, რომ დალაგებული კიდევ არ ჰქონდა. შემდგომ, ვთქვათ, განცხადებები აბსოლუტურად უსაფუძვლო იმისა, რომ იქ მოსამართლეზე ხდება ისევ ივანიშვილისგან ძალადობა და მოსამართლე ეძებს თავშესაფარს საზღვარგარეთის ქვეყანაში; მერე გამოდის მოსამართლე და მსგავსი არაფერი არ ხდება; ექსპერტზე ხდება ზეწოლა ამ სასამართლო პროცესზე; პროკურატურა არის პოლიტიზირებული — კოალიციიდან ახალი გამოსული კაცი ამბობს ამას; მერე ამბობს რომ ექსპერტი მოიტაცეს — მეორე-მესამე დღეს გამოდის ექსპერტი რომ არსად არ მოუტაციათ — ვხედავთ რომ აქაც ცრუობს. უამრავი სიცრუის ტირაჟირება და აჟიოტაჟი დაატრიალეს და ძალიან ხშირად, ალასანიას რიტორიკა თანხვედრაში მოდის ბოკერიასთან რიტორიკაში. ზოგადად რომ ვთქვათ, რაც სჭირს „თავისუფალ დემოკრატებს“ და ამ გუნდს — მთელი გუნდი დაუდგა თავის ლიდერს, ასე ვთქვათ. ლიდერს, რომელმაც რამდენიმე თვით ადრე, თქვა რომ პარტიის თავმჯდომარედ ბრუნდება, რაც ნონსენსია, უამრავი კითხვის ნიშანი გააჩინა იმის შემდეგ, რაც პროკურატურა შევიდა თავდაცვის სამინისტროში და იქ კითხვები გაჩნდა კაბელების თემასთან დაკავშირებით. მე არ ვიცი, ამ კაცს კიდევ რამე დაეჯერება? ბოდიშიც კი არ მოუხდია რომ ამდენ ტყუილს ლაპარაკობს. გუნდის სხვა დანარჩენი წევრები, რომლებიც ცდილობენ სახის შენარჩუნებას — მშვენივრად იციან, რომ იქ ივანიშვილის პატიმარი არ არსებობს; არ არსებობს ჩემი პირადი ინტერესი მსგავს საკითხებში და გამორიცხულია, მიჰყვებიან ლიდერის დინებას“.

* * *

„მეც მქონდა ილუზია, განსაკუთრებით კანონმდებლობის შეცვლის შემდგომ, რომ მეჭვდურ მედიას უფრო მეტი საშუალება ექნებოდა, გაიზრდებოდა სარეკლამო ბიუჯეტი. მე მგონი და როგორც მე ვიცი, მკვეთრი ზრდა არ მომხდარა და საერთოდ ზრდა მოხდა თუ არა, 50 მლნ დოლარზე იყო საუბარი. საერთოდ, ეკონომიკა არის ყველაფრის საფუძველი, მედიის განვითარებისაც ესაა. სამწუხაროდ, არ მაქვს რეცეპტი ახლა, როგორ შეიძლება ეს მკვეთრად შევცვალოთ. შეგიძლიათ, საჯაროდ, წერილობით დასვათ ეს კითხვა და განვიხილოთ ერთად.“

* * *

„მე მგონი, „რესპუბლიკური პარტია“ ერთადერთია პარტიათაგან, რომელშიც საზოგადოება ჩემს დახმარებას არ საჭიროებს და მგონი მშვენივრად აფასებენ უჩემოდაც. „რესუბლიკური პარტიის“ პლუსი, რაც ხშირად მითქვამს და დღესაც შემიძლია გავიმეორო არის ის, რომ ძველი პარტიაა ჩვენს უახლოეს ისტორიას თუ გავიხსენებთ; თანმიმდევრულობით გამოირჩევა; იცავენ, ვთქვათ, ელემენტარულ წესებს რაც აუცილებელია პოლიტიკური პარტიის არსებობისთვის; ძალიან უყვართ პროცედურული დემოკრატია და ა.შ

სხვა დანარჩენი — ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს, 1%-იც არ იკითხება დღეს გამოკითხვებში რაც ვნახეთ ჩვენგან თუ სხვისგან. მე ვფიქრობ, ამას აქვს მიზეზი და საოცრად სწორად აფასებს საზოგადოება, ჩემი აზრით, „რესპუბლიკური პარტიის“ რეიტინგსაც. შევეცდები ძალიან მოკლედ ვთქვა — „რესპუბლიკური პარტიისთვის“ სახელმწიფო იწყება იქ, სადაც იწყება „რესპუბლიკური პარტია“ და სრულდება ზუსტად იქ, სადაც სრულდება „რესპუბლიკური პარტია“. დანარჩენ სახელმწიფოზე, თუ განვაზოგადებთ, ვთქვათ, ასეთი წარმოდგენა აქვთ, რაც რესპუბლიკურ პარტიაში არ შედის, მიღმა რჩება, რომ ილია ჭავჭავაძე არცთუ ისე კარგი კაცია (არ ვციტირებ, პერიფრაზს ვაკეთებს) და ვიღაც დამკვირვებელი არცთუ ისე ცუდი კაცია და განათლებულობით დამძიმებული თავებით ხშირად ასეთ შეფასებებს აკეთებენ და საზოგადოება ამას ადექვატურად პასუხობს. საერთო ჯამში, მათაც არ აქვთ არავითარი რესურსი იმისა, რომ საერთო სახალხო საქმეზე იფიქრონ, ახერხებენ ისევ ერთ ჯგუფში და ერთი ჯგუფის იდეალებში ხოტბა შეასხან საკუთარ პარტიას“.

* * *

„ქვეყანას პატრონი უნდა ჰყავდეს. ბოლო წლებში, რაც სსრკ დაიშალა, პრაქტიკულად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ რომ აგვერჩია და მოგვეყვანა მთავრობა, რომლისთვისაც ქვეყანაზე ზრუნვა იყო პრიორიტეტი — არა საკუთარი სავარძლის შენარჩუნება, არა საკუთარი ჯიბის გასქელება, ან საერთოდ, გაუგებრობა მართვის. შეიძლება, ძალიან გულანთებული იყო (მე ძალიან დიდ პტივს ვცემ) ზვიად გამსახურდია, მაგრამ მართვას უნდა ცოდნა. ასე არ არის, რომ გიყვარდეს მარტო, გული გეწვოდეს, ამავდროულად გამოცდილება და შესატყვისი მანერები უნდა გქონდეს და გუნდს უნდა ჰქონდეს. გუნდი უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ ხალხით, ვისაც ხელეწიფება რომ სწორად მართოს ქვეყანა. როგორც იქნა, ჩვენ ეს მოვახერხეთ და ეს არის 25 წლის განმავლობაში „ქართული ოცნება“ როგორი ანალიზიც უნდა გააკეთოთ; როგორც უნდა ჩამომართვათ ჩემი როლი...

ევროკავშირის ელჩი, რომელსაც საოცრად უყვარს საქართველო, ბოლო შეხვედრაზე ძალიან მძიმე საკითხზე შევხვდით და პოლემიკა გვქონდა. დაიწყო იმით, რომ მე მინდა მოგილოცოო, საოცრად სტაბილური ქვეყანა გაჩნდა საქართველოო. მიზეზი ამის, კარგად ვიციო, — მითხრა. რომ სწორი მთავრობაა, მართავს ხალხი, რომელსაც ქვეყანა უყვარს, ვინც სამშობლოზე ზრუნავს. გარწმუნებთ, კვირიკაშვილის მოწოდება არ არის საკუთარი სავარძლის შენარჩუნება! კვირიკაშვილი არის ძალიან დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნის; აქვს უამრავი გამოცდილება მართვის; ის არის ძალიან კარგი ფინანსისტი; ძალიან კარგი ეკონომისტი; კარგი მენეჯერი. მან მოკლე დროში აჩვენა რომ არის ძალიან მაგარი დიპლომატი, მოკლე დროში მთელ ამერიკას და ევროპას თავი შეაყვარა; უპატიოსნესი კაცი... საოცრად მოწესრიგებული კაცია... როდესაც აკეთებენ სწორებას, რომ ეს არაფერი არ არის — უსუფაშვილი არ არის მსგავსი თვისებების კაცი, არცერთი, მსგავსი რაც ჩამოვთვალე — ისევ „ქართული ოცნების“ დახმარებით გახდა პარლამენტის თავმჯდომარე და ამას გვამადლის მუდამ...



ძალიან ზედმეტად გაერთო ახლა საზოგადოება და ეძებენ რაღაც „მესამე ძალას“. ეს პოლიტოლოგებიც გამოდიან, ანალიზის აზრზე არ არიან უმეტესობა და აუცილებლად უნდა შეიქმნას „მესამე ძალაო.“ მესამეც უნდა იყოს, მეოთხეც და მეხუთეც, არჩევანი უნდა იყოს დიდი, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ სერიოზული გადაცდომები მართვაში, არ ჰქონია. სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ „აისბერგებსაც“ ავცდეთ; ეკონომიკაც განვავითაროთ; ევროპაშიც შევიდეთ; ნატო-ს წევრი ქვეყანაც გავხდეთ. ამას სჭირდება სწორი ხელისუფლება და რისთვისაც ვიღვწვი მე — შეხვდრაში დავარწმუნო, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს.

სირცხვილია, რომ რომ 250 000 კაცი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ელოდება. რა უნდათ, ისევ ძალადობა უნდათ? ისევ ციხეებს ელოდებიან?“

# ძმებო, კოლხებო, არ დაუშვათ ამ მომღიმარი ეშმაკის „შეწყნარება“ და „სადედოფლოდ“ გამზადება!



**ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნამდვილად პატრიოტი ქართველი კაცის, კობა არაბულის ეს წერილი, ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილია.**

**ის, რაც დღეს სამეგრელოში ხდება, არ არის მხოლოდ სამეგრელოს პრობლემა, ეს მთელი ქართული სახელმწიფოს პრობლემაა, ზოგადქართული სატკივარია და საწუხარია, რომელსაც ყველამ ერთად უნდა ვუწამლოთ და ვუშველოთ.**

**კობა არაბულის ეს წერილი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა აზროვნებდეს და როგორ უნდა იქცეოდეს ქართველი კაცი, როდესაც საქართველოს რომელიმე კუთხეს უჭირს.**

**ჩვენ უნდა დავძლიოთ ეროვნული ერთიანობის დამანგრეველი ერთი მავნე ზნე — კუთხური ეგოიზმი. არ შეიძლება, რომ კახეთის გასაჭირი მხოლოდ კახელებმა იდარდონ, ქართლისა — ქართლელებმა, სვანეთისა — სვანებმა, გურიისა — გურულებმა, სამეგრელოსი — მეგრელებმა და ა. შ.**

**ყველა ქართველი ისე უნდა ფიქრობდეს, როგორც ლიქოკის თემის კარატის ჯვრის ხუცესი, რომელსაც სამეგრელოში ჩასვლა უნდა, რომ მეგრელებს დაეხმაროს კუდიანებთან და სატანის მოციქულებთან ბრძოლაში**

**— მთელი საქართველო ფეხზე უნდა დავაყენოთ, რომ სამეგრელოში „ნაციონალების“ პარპაში დამთავრდეს! — ეს სხვა ქართველი კაცის სიტყვებია, რომელთან ინტერვიუსაც „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.**

**ასეც ვიზამთ! მართლაც მთელი საქართველოს ფეხზე დაყენება რომ მოგვიხდეს, სამეგრელო „ნაციონალებსა“ და მათ სატელიტებს არ უნდა დავუთმოთ!**

**ვახტანგ ხარჩილავა**

ამ ზაფხულს ხევსურეთში მომიწია ყოფნა ჩემს „გახუასებურ“ ქვის სახლაკში. ვიფიქრე: პოლიტიკას გარიდებული ცოტახანს სულს მოვითქვამდი აქ, ტყის პირას და მდინარის ახლოს, „სულკალმახის წისქვილებთან“... მაგრამ აქ ჩემთან მოვიდა კაცი, ლიქოკის თემის უძველესი სალოცავის, კარატის ჯვარის ხუცესი, ჩემი ნათესავი, პაპიდაშვილის შვილი და მომიკითხა „შენმა მზემ, ძალიან მომენატრეო“... — ხურჯინიდან ქადები, ხაჭოს კვერები და ჟიპიტაური ამოალაგა...

— გავიგე, რომ აქა ყოფილხარ, წაკითხული მაქვს შენი წერილები. ავტობუსს ხანდახან გაზეთები მოაქვს... **მინდოდა მეკითხა, რომ კარგად გავიგო: თუ რა ხდება მეგრელთა თემში, ძველ კოლხეთში, პირველ ქრისტეანეთა მხარეში. შენ გეცოდინება: განა თუ მართალია, რომ იქ გამოცხადდა მეძავი დიაცი მეძავთა ქვეყნიდან, ცოლი სატანისა და „მიემთხვა“ მათ. გაუღიმა და გაუღიმეს მათაც! განა ეს მართალია?** ანუ არ არის გასაკვირი, რომ პირველ ქრისტიანეთ, ღვთისმშობლის კვართის შემნახველთ აცდუნებდეს ეშმაკი, როგორც წერილ არს?

მითხარი, რა ხდება, ან შენ რატომ ხარ ეხლა აქ? აქედან ხომ ვერაფერს ვერ უშველი: იქნები ასე „ხატის ხბოსავით“, ქალაქში ომი რომ დაიწყოს და დამთავრდეს, აქ იმასაც ვერ გაიგებ, არც რადიო, არც ტელეფონი იჭერს აქ... მე სიზმრით ვიგებ, რაც ხდება და რაც მოხდება... შენ იქ უნდა იყო, სადაც ცრემლის და ტანჯვის (შურის) ფაფა დუღს, ქვეყანას იქ უნდა უშველო...

მისმა მზერამ და ჩუმმა ხმამ იმდენად შემძრა, ხმა ვერ დავძარი... კარატის ჯვარის მოძღვარი იაკობ ხუცესივით მედგა გვერდზე და მიღიმოდა...

— მინდოდა, სამეგრელოში წავსულიყავი, მაგრამ გზა-კვალი არ ვიცოდი. არც ის ვიცი, იქ რომელ სოფელში ან რომელ სალოცავში ვიხუცო, სად უფრო მეტი ხალხი გროვდება“...

იმედა ლიქოკელმა მალაქია წინასწარმეტყველიც მიხსენა, გველები რომ განდევნა ირლანდიიდან. — „ეგენიც“ გველებივით უნდა გავდევნოთო, კარატის ჯვარში დავარისხებ მაგათო...

მართლაც ამ კარატის ჯვარის იაკობ ხუცესმა სხვა გზა არ იცის. თემის საზღვრიდან იშვიათად გადის, სახლიდან ჯვარის კარამდე და ძროხის ქოხამდე მიდის.

მას უსწავლია ოთხწლიან სკოლაში ოთხივე კლასში ერთი მასწავლებელი რომ ჰყავდა... სულ ეს არის მისი განათლება, მაგრამ თავისუფლად იცის ინგლისურად და რუსულად წერა-კითხვა (თვითონ ისწავლა სამკომლიან სოფელში). შესანიშნავად იცის ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია, ლიტერატურა, პოლიტიკა... — ეს არც სწავლულებმა იციან...

რთულია ამის შეცნობა, მაგრამ ის გრძნობს, რომ აქ არის კოლხურ-იბერიული ერთიანი სივრცის და ცივილიზაციის ანაბეჭდი. მან იცის ხევსურეთში მეგრელაურთა ჩამომავლობა და მოვლო კოლხეთი, სვანეთ-დვალეთი და მივიდა ოვსეთს!..

აქ არის ფხოვის სამანებიც: გერგეტი, ბეთლემი, ცროლი... კარატის მთა, ხადუ... ამ მწვერვალებზე ხვთისშვილნი ჩამოდიან. ძველი მითით ბეთლემში გახუა შედის!

## „შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმაც გისაღირსლა მირონი, გუდანის ჯვარო“...

* * *

როცა ჟამის წირვის ტაბლას (კოდბადაგს) ლოცავს, ეს გონიერი ხუცესი ასეთ ფრაზასაც წარმოთქვამს: „**შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმაც გისაღირსლა მირონი, გუდანის ჯვარო**“...

წარმოთქვამს კი, მაგრამ აღარ ახსოვს, რა საიდუმლოს მოიცავს ეს მისტიკური ტექსტი გახუა მეგრელაურის საკრალური ომის ამბავი ქაჯებთან, მაგრამ რთულია კოლხურ-იბერიული და ფხოვური სამყაროს ერთიანი კოსმოგონიის დანახვა.

...როგორც მირაჟიდან გამოსული მზე, ისე ანათებს ანდრეზული ცოდნის ანარეკლი ჩვენი ისტორიის მღვიმეებს.

იგივე ლეონტი მროველის ცნობით, სიმონ კანანელმა გუდანის ჯვარში ბერი ბაადური ჩამოდის გერგეტიდან და ამკვიდრებს ქრისტეს რჯულს...

ანუ: „შენა ხარ პირველი კოლხელი, რომელმან გისაღირსა მირონი გუდანის ჯვარო“... ანუ ბერი ბაადური ჩამოჰყვა პირველ მოციქულთ კოლხეთიდან და ფხოვის უძველეს სალოცავს „უსაღირსლა მირონი“ და „ქართული ქრისტიანობა“ გაღვივდა მზის საყდარში...



იმ სალოცავში, სადაც ჯერ კიდევ აღევლინება უძველესი „ათენგენის“ რიტუალი შერწყმული მზის და ქრისტეს მისტერიას („დიდება მზესა, მზის მყოლთა ანგელოზთა, დიდება დიდს კვირაესა ხვთის კარზე მოკარვესა“).

სტრაბონის ინფორმაციით, საქართველოში მზის და მთვარის ტაძრები ედგათ და იქიდან გადმოსული მისტერიები დღესაც ცხადად იხილვება ფშავ-ხევსურთა სალოცავებში (რიტუალებში) და კოლხურ კოსმოგენიაში...

* * *

ძნელია, ხევსურ ხუცესს ხელი უწვდებოდეს ამ ტიპის მეცნიერულ ცოდნაზე თუ ჰიპოთეზებზე, რომელიც ჩვენთვის არის ნათელი და დასაშვები, მაგრამ მას ახსოვს ქუჯისა და ფარნავაზის დრო, როდესაც კოლხურ-იბერიული დიდებული სახელმწიფო შეიქმნა.

აქ, ფხოვში, ისევ ეტყობა მთებზე ფარნავაზისდროინდელი საურმე გზები და „ციხეგორები“.

* * *

ლიქოკელი ხუცესი წუხს იმაზე, რომ ქვეყანა გათიშული და დაყოფილია ბოროტი ძალების „ენობით“ და საჭიროა თანადგომა ერის შიგნით, მას აწუხებს ბედი აფხაზთა, მეგრთა და ქართლელთა ერთობის.

**„ჩვენ უნდა ჩავიდეთ იქ, მეგრელთა მხარეში, ეგრისში და ისინი აქ მოვიდნენ და ერთმანეთს მივეშველოთ, როგორც ქუჯი-ფარნავაზის დროს იყო“,** – ამას ამბობს ეს კითხული კაცი, ხუცესი კარატის (ლიქოკის) ჯვარისა...

მას აკვირვებს ერის ზნეობრივი ფერისცვალება, კოაბიტაციური ძალადობა ერის ფსიქოლოგიაზე, ბილწთან ზავით შეკვრა, სექსთა და ზნეთა გადაადგილება, ქალის და მამრის თვისებათა ცვლა.

ადამიანთა ზომბირება და ბაქტერიული ზემოქმედება.

შემომჩივლა, ფუტკარი რომ ფუტკარია, ისიც კი „დაასკლეროზეს“, მეხსიერება დაუზიანეს – გადის და უკან აღარ ბრუნდება, ცარიელი ოჯახები რჩება თაფლიანი ფიჭებით.

ეს მოვლენა ცუდის მომასწავებელია, მომავალ განსაცდელზე მიგვანიშნებს. ფუტკარმა „რაღაც იცის“, მიდის და აღარ ბრუნდება!

ეს მოვლენა სხვა მეფუტკრემაც დამიდასტურა, გიგა არაბულმა. სკები, როგორც მთის ქალაქები და სოფლები, უპატრონო რჩებაო...

* * *

ახლა მე დავამთავრებ ხევისბერთან საუბარს. ჩემი, როგორც მედიატორის, ფუნქციას ამოვწურავ და ვიტყვი შემდეგს:

სატანა, რომელიც ქართველ მანდილოსანთა ამოჭრილი საშვილოსნოებით და მამრთა გენიტალიებით ვაჭრობდა, ქალი, რომელიც ადამიანის სხეულის ნაწილებით სატანისტურ ბიზნესში მონაწილეობდა, მისი დაბრუნება ამ მიწაზე დაუშვებელია. ეს არის დანაშაული, დანაშაულზე მეტი!

**თქვენ, კოლხებს, როგორ შეგიძლიათ ამ მომღიმარი ეშმაკის „შეწყნარება“ და „სადედოფლედ“ გამზადება?!**

**თქვენ, კოლხებს, როგორ შეგიძლიათ, ქალი, თანამეცხედრე კაცისა, რომელმაც სისხლის და სიკვდილის ტახტრევნები დაგვიდგა სახლებში, სისხლიანი ვენდეტები მოაწყო სვანეთში, კოდორში, სამაჩაბლოში... ქალაქის ქუჩებში, უკან დააბრუნოთ...**

**თქვენ როგორ შეგიძლიათ, ღიმილით ხვდებოდეთ დანა-ჩანგლებით მეომარ „სანჩო პანსას“, ბაქრაძეს და ბოკერია-თარგამაძე-ბარამიძეების კასტას, რომელთაც ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკად და მორგად აქციეს, სადაც ქართველ კაცებს და ქალებს აწვენდნენ და სხეულის ნაწილებს აჭრიდნენ პედოფილი მოროდიორები – ეს ხომ უკვე არის გაცხადებული აპოკალიფსი?**

**თქვენ, აიეტის და მედეას, ქუჯის და გუბაზის შთამომავალთ, როგორ შეგიძლიათ, უღიმოდეთ და იწყნარებდეთ ამ ბოროტებას, რომელმაც სამეგრელო ყელზე ლოდშებმული, ლამის მთლიანად ჩაძირა...**

ვის წინააღმდეგ, თუ ჯინაზე აკეთებთ ამას? მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ეს მირაჟია და მალე გაქრება, თქვენ შეძლებთ ამ „მირაჟიდან“ გასვლას...

მე არ გახლავართ რომელიმე პარტიის წევრი, ან ვინმეს მორჩილებაში მყოფი (გარდა უფლისა), ვარ სრულიად თავისუფალი შინაგანი კომპლექსებისგან, რაც ათენგენის რიტუალიდან გამოსულს მეუფლება და, ხუცესიც მომივლინა უფალმა ამის სათქმელად, „თუ რა დაემართა ჩვენს ხალხს ამერ-იმერს, რამ დაუბნელა თვალი და გონება!“



მანდ არის ღვთიშობლის კვართი, თქვენთან, სამეგრელოში, ყველაზე დიდი სიწმინდე კაცობრიობისა. ის დაგიფარავთ თქვენ და ერთიან საქართველოს აარიდებს ანტიქრისტეს შემოსვლას!..

– ყველაფერი ეს მართალია თუ ტყუილი?

– ჩვენი ეს პრეზიდენტი, მართალია თუ ტყუილი, ტყეში თოფდაკარგული მონადირესავით რომ დადის?..

– მართალია თუ ტყუილი, ამდენი არასამთავრობო ყვავი და ტელევიზია რომ დაგვჩხავის თავზე?!

ეს ტყუილია, ვეუბნები მე მას, კარატის ჯვარის ხევისბერს და მალე ყველაფერი მირაჟივით გაქრება და თუ ასე არ მოხდა, ჩვენ ჩავიხრჩობით ამ აპოკალიფსურ დროში, რომელსაც თვითონ ვქმნით ჩვენთვის.

**ვის წინააღმდეგ მოგვყავს ქალი – მომღიმარი ჯალათი! ვის წინააღმდეგ მოუხმობს „ნაცებს“, ტერორისტებს, ათასი ჯურის ავაზაკებს – „რუსთავი-2“-ი – „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, ივანიშვილის წინააღმდეგ, თუ სხვა რომელიმე „სისხლიანი შოუს“ მოსაწყობად საკუთარ მიცვალებულებზე!**

გვახსოვდეს, ბოროტი იცინის და უფალი სჯის.

სადღაც ამოვიკითხე: კოლხებმა, მგონი, რომაელ ბარბაროსებს, რომელიღაც შხამიანი მცენარის თაფლი მიართვეს, რომელმაც მტრები დააძინა.

**ახლა განა თქვენ ჩაგაძინათ რომელიღაც შხამიანი დიაცის ღიმილმა და „თაფლუჭმა“?**

**არ ჩაგაძინოთ, ჭკვიანო და ძველო კოლხებო, არ ჩაგაძინოთ, ყოველნო ქართველნო, მტრების „ლაქარდიანმა ენამ“ (ვაჟა), თორემ თუ ჩაგვეძინა, ველარ გავიღვიძებთ!**

ეს უნდა გვახსოვდეს – ჩვენი ომი „ქაჯებთან“ მუდმივი პროცესია.

რეზიუმეს სახით ვიტყვი ერთსაც: ჩვენი ერი დათრგუნულია მაზომბირებელი მასმედიით, „რუსთავი-2“-ით და მისი სატელიტი ტელევიზიებით. საზოგადოებამ დაკარგა ორიენტაცია სიცრუის და დემაგოგიის განუწყვეტელი ტირაჟირებით. ცილისწამების დაუსჯელობით! „კოაბიტაციის“ მავნებლობით! ღირსეული პიროვნებანი ისევ ისე (როგორც ისტორიულად იყო) აღმოჩნდნენ გაუგონარი უმადურობის და დევნის სივრცეში!

მტერმა ლამის საკუთარი ხორცი და მხნელი შეგვაჭმევინოს... ჩვენ ურთულეს პროცესს გავდივართ, შევედით „რუბიკონში“, მაგრამ ჯერ არ გადაგვილახავს იგი! – რუბიკონი გადასალახია!

**ბიძინა ივანიშვილი, ერთი ძველი ქართველი კაცი, სრულიად დაუცველი, დგას ამ მსოფლიო „კონკისტადორთა“ ველურ, მოძალადე სამყაროში. მას ჩვენგან დაცვა სჭირდება. ყველაფერი მისი აღდგენილი და გადარჩენილია ამ მიწაზე, არც ერთ პარტიას, არც ერთ პოლიტიკოსს თუ არასამთავრობოს თითი თითზე არ დაუდია ქვეყნის სასიკეთოდ...**

ყველა ივანიშვილს ჩამოეკიდა ჩასაძირად ბორდელის გოშიასავით. სამარცხვინო შალიკოდან დაწყებული (სამჯერ რომ მიეყიდა სააკაშვილს), ნაციონალებთან კოჰაბიტირებული „კომპოზიტორი“ – ანუ ოპერის მომღერალი ვირით დამთავრებული... რამაც დამარწმუნა, რომ ოპერაში ყვირილს ბევრი ჭკუა არ სდომებია.

მაგრამ პირველსავე სიტყვას მივალ და გავიხსენებ, ილიამ რომ ბრძანა: – სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახეო! ეს ხომ ასე იყო და არის!

როდესაც სამეგრელოში 90-იან წლებში ჯერ ცაიშში მომიწია ჩასვლამ, მერე ზუგდიდში 3-4 წლის წინ, აღტაცებული დავრჩი ამ ხალხის და კუთხის სილამაზით, სისუფთავით, პატრიოტიზმით და სტუმარ-მასპინძლობით... და იცით, კიდევ რა მინდა ვთქვა: ერთ დიდ სუფრაზე აღმოვჩნდი ცაიშში, არ იყო ლხინის სუფრა და როდესაც ვიღაცამ თქვა: აქ ხევსურეთიდან ჩამოსულია სტუმარიო, ყველა ფეხზე ადგა, ყველაფერი სხვა „დაავიწყდათ“ და ჩემი სადღეგრძელო და საქართველოს ერთიანობის სადღეგრძელო შესვეს! ის წამი ახლაც თვალწინ მიდგას და სისხლს მიჟრიალებს!

**უნდა მოგმართოთ ჩემს კოლხ მეგობრებს – „მზის შვილებს“ (მზე ხომ, „დედაა ჩვენი“) – ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ქუჯი-ფარნავაზის დრო, უნდა „მოვხოცოთ „მზის ცვარი“ და ვეზიაროთ ამ სინათლეს და შევფიცოთ ერთმანეთს ქვეყნის გადარჩენისთვის...**

**და რაც მთავარია, მანდ არის ღვთიშობლის კვართი, თქვენთან, სამეგრელოში, ყველაზე დიდი სიწმინდე კაცობრიობისა. ის დაგიფარავთ თქვენ და ერთიან საქართველოს აარიდებს ანტიქრისტეს შემოსვლას!..**

**კობა არაბული,**
მწერალი,
ეთნო კულტურათა
მკვლევარი
595 57 99 43

თქვენ, კოლხებს, როგორ შეგიძლიათ, ქალი, თანამეცხედრე კაცისა, რომელმაც სისხლის და სიკვდილის ტახტრევნები დაგვიდგა სახლებში, სისხლიანი ვენდეტები მოაწყო სვანეთში, კოდორში, სამაჩაბლოში... ქალაქის ქუჩებში, უკან დააბრუნოთ...



# ზაურ კალანდია: სამეგრელოში „ნაციონალებმა“ რომ გაიმარჯვონ, ეს იქნება კატასტროფა, როგორც ამ კუთხისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის



შარტავა — გამოდის კაცი ცეცხლმოკიდებული მთავრობის სახლიდან... 200 ნაბიჯია მოედნამდე... მისი თავაწეული სიარული... ამ გავლით მან, მისი თაობისა და ქართველთა უდრეკი სულის რეაბილიტაცია მოახდინა...

ვახტანგ ყოლბაია და ჟიული შარტავა მარიამობას ყოფილან გალში — ერთი თვით უკან, სანამ დაიღუპებოდა — გალელი კაცია ვახტანგი და ოჯახში მიუსხდნენ სუფრას. ჟიულის უთქვამს: პოლიტიკა, მავანის ხელში სათამაშოა, ვთქვათ, ნერონისათვის — ნაჯახი; დიდი პოლიტიკოსისათვის — ქვეყნის აწმყო და მომავალია; რაც შემეხება მე, ჩემი ნამდვილი სახე ჩემი სიკვდილის დღეს გამოჩნდებაო!... ჯემალ აჯიაშვილი კლასელი იყო მისი და მან თქვა, მე ვიცი, რომ ჟიული მთელი ცხოვრება ემზადებოდა ამ დღისთვისო...

ტრაგედია მოხდა... ამაზე ბევრჯერ დაიწერა, მეც ვწერდი... — წინა ხელისუფლებამ კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ უწოდა...

**— დალის ხეობას...**

— დიახ! ძალიან მალე დავრწმუნდი რისთვის გაკეთდა ეს... სამეგრელო და აფხაზეთი რამ გაჰყო! სანამ სამეგრელომდე მივალთ, ვთქვათ, რომ ამ მთავრობასაც დიდი არაფერი გაუკეთებია ერთიანობისთვის... თუმცა გაკეთდა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ — ჯანდაცვის პროგრამაზე ვამბობ... ამ პროგრამით საქართველოს შეუძლია აფხაზიც გადაარჩინოს, აფხაზი კი ამ სიკეთეს არასდროს დაივიწყებს... მე ვიცი აფხაზი კაცის ბუნება; მე ვიცი რა საუბრებია... — თუნდაც ყველაზე მძიმე ადგილზე, გუდაუთაში. მე ბედნიერი ვიყავი, ორი ღამე არ მეძინა ისეთი რაღაცები მოვისმინე ჩემი მეზობელი ძვირფასი ქალბატონისგან, რომელიც დიდებული ქართველი ვაჟკაცის მეუღლეა...

გალში რომ ქართული ენა აიკრძალა — ამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაა, მათი საპასუხო ხმა გაგიგიათ? ყველაფერი ქართულის დაცვა, დანაშაულია? კი, ბატონო, ჯანსაღი ხის მოჭრა დანაშაულია, მაგრამ ჩახოცილი ადამიანები რამდენი გვინახავს... სასწაული ამბები ხდებოდა, ამ ყველაფერმა ხომ ჩვენს ზურგზე გადაიარა...

**— გვინდა თუ არ გინდა, სამეგრელოსთან მივდივართ. ყველა ეპოქაში, უფრო აქეთ — სხვა და სხვა მთავრობის დროს კონკრეტულად სამეგრელო იყო დარტყმის ქვეშ, ახლა კიდევ...**

— დიახ, დიახ! თუნდაც „მხედრიონმა“ რაც ჩაიდინა — ყველამ იცის და მე, მითუმეტეს, ძალიან კარგად ვიცი. კურიოზამდე მივიდა საქმე, თუ ესენი მაცხადებდნენ მოღალატედ, სამეგრელოში ჩემმა ხალხმაც მოღალატედ გამომაცხადა. არ მინდა გვარი ვთქვა იმ კაცის, შემეკამათა. დავწერე წერილი და... — სადღაც წამიყვანეს, ფაქტობრივად „საქმე გამირჩიეს“. გალახვას თუ უფრო უარესს მიპირებდნენ... დარჩელის გადაწვა გემახსოვრებათ. სხვათაშორის, მაჩვენეს — 27 ოჯახი იყო გადამწვარი და 7-მა ოჯახმა მოაწერა ხელი, არაფერი მომხდარაო. ეს დამიდეს წინ — ესენი ამას წერენ და შენ რას წერ რომ წერო? — კინაღამ თვალი ამომთხარეს ამის გამო... ასეთი უზნეობა... ამას ხომ გამართლება არ აქვს... მაგრამ უზნეო ხალხი არც სამეგრელოს აკლია და არც არავის, ამ ჭაობში ვიყავით და იგივეში უნდათ დაგვაბრუნონ... ხომ არ გგონიათ არ იცოდნენ რა ოჯახში შედიოდნენ, ვის რა ჰქონდა „ნაკოლით“ იცოდნენ... შემდეგ, აქეთ უკვე...

სანდრა რულოვსმა რომ თვალებში ჩახედა თავის ქმარს და რა დაინახა, ეს ჩემი საქმე არ არის... ახლახანს ვნახეთ, „მამალი ნაციონალი“ ქალბატონი რომ არის...

სანდრასთან ერთად ველოსიპედით რომ მოდიოდა — ხოშტარია!

და აი, ესენი ბედავენ კიდევ ხმის ამოღებას, რომ ისევ იმაში დაგვაბრუნონ რა სისხლსა და ცრემლშიც ვიყავით მთელი ცხრა წელი? ამას არც „დოუ ნანას“ მღერა უშველის და არც ის ორი-სამი მეგრული სიტყვა. ეს „სენტიმენტალები“ არ გაჭრის გონიერ მეგრელ კაცზე!...

ნიჭიერი კაცი ყველგან ნიჭიერია... ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტია და ქუთაისშიც... მე მაინც მგონია, რომ სამეგრელო არ დაუშვებს იმას, რაც უკვე მოხდა... სამოქალაქო ომის დროს გამარჯვებული მხარე არავინაა, ორივე დამარცხებულია...

ტრაგედია იყო ისიც, იარაღს რომ ვესროდით ერთმანეთს. ლევან ანჯაფარიძემ გადაიღო ფილმი, რომელის ჩვენება 27-28 სექტემბრისთვის არის ჩაფიქრებული, სცენარი პირადად ჩემია, ანუ ჩემი დამოკიდებულება ჩანს — ბევრი ღირსეული აფხაზი ვიცოდი და ვიცი დღესაც...

საქართველოში გონიერი და ვაჟკაცის მეტი რა არის, მაგრამ ცხრა წელიწადი ჩვენ არავინ ვიყავით თითქოს. 1%-ით მაინც რომ წარმოვიდგინოთ, ვითომ მობრუნდნენ ესენი, წარმოიდგინეთ რა მოხდება, სამოქალაქო ომი ხომ იმ დილასვე დაიწყება! სხვას რომ თავი დავანებოთ, ვთქვათ, აქციაზე რომ შეგეხნენ ფიზიკურად, იმ 300 000 პრობაციონერსა და პატიმარს რა დააკავებს, იარაღით გამოვა, იმიტომ რომ სხვა საშველი არ არის. მეც კი გამოვალ... განა იმიტომ, რომ კაცის მოკვლის სურვილი მაქვს, აქეთ მომხვდება თუ იქით, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, ეს რომ დავუშვათ, უკვე სიცოცხლე არ ღირს.

1976 წელს წერილი დავწერე (ვახტანგ ჭელიძემ დამიბეჭდა) სადაც ასეთი ფრაზა მქონდა — მე რომ მეგრელი ვარ, აქ გავიგე, თბილისში-



მეთქი. 24 წლის ვიყავი თბილისში რომ ჩამოვედი. ცოტა გაუკვირდათ, მაგრამ გულწრფელად დავწერე.

30-40 წლის უკან ვწერდით მეც, ბატონი ვახტანგ ხარჩილავაც ჩვენი, ყველას საწუხარს. სტუდქალაქი იყო, გემახსოვრებათ — ის ხევსური თუ თუში რომ ჩამოვიდოდა თბილისში, მერე არ უნდა გაეგო რომ სადღაც, საქართველოშივე კიდევ მეგრელიც ყოფილა, ეს მანამდე უნდა სცოდნოდა. სახელმძღვანელოები არ იძლეოდა ამ მხრივ საჭირო ცოდნას და ამას იმასაც თუ დავურთავთ, რომ გაყალბებული იყო და არის საქართველოს ისტორია.

ჩარგალში ოცჯერ მაინც ვარ ნამყოფი და ჯარჯი ფხოველმა მითხრა ერთხელ, ამ პატარა ღელეს რა ჰქვია თუ იციო? არ ვიცოდი. „ჭიჭე ღელე“ რქმევია, „პატარა ღელე“ — მეგრული ვინც არ იცის, იმანაც კი იცის „ჭიჭე“ რაც არის. ამით რისი თქმა მინდა — ვის აქვს უფლება თქვას, ვინ მეტია და ვინ ნაკლები, რომელი კუთხე და რომელი ხალხი, ვინ მეორეხარისხოვანია და ვინ პირველი... ტრაგედია ის არის, რომ ჩვენი ისტორია ძალიან ცუდად ვიცით, ან სრულებით არ ვიცით...

რაც შეეხება სანდრას და მის არჩევას სამეგრელოში — ვიცით, რომ სერიოზულად არიან ჩართული რაღაც ძალები და კი, ჰყავთ ის ხუთი, თუ რაღაც პროცენტი ამომრჩეველი ყველა რაიონში. თუნდაც ისინი, ვინც დასაქმებული ჰყავდათ და დღემდე არჩენენ სხვათაშორის — რაღაც კასტასავით ჩამოყალიბდა, ერთმანეთზე არიან ხელჩაჭიდებულები, სექტასავით არიან.

ტრაგიკული გახდა უკვე ისიც, რომ 25 წელია მხოლოდ ვინგრევით, მხოლოდ ნგრევისკენ მივდივართ. ყველას ცოტნეობას ვერ მოვთხოვთ, გმირები ამიტომაც არიან ერთეულები... კაცს როცა პური შია, ან თავისი პატარასთვის ლუკმა-პური ვერ უშოვია, ფიქრში მაინც არის უკვე რაღაც დანაშაულის ჩამდენი, თუ ვთქვათ, ჯერ არ ჩაუდენია. ქვეყანას უკეთესობა უნდა დაეტყოს თორემ დავიღუპებით საბოლოოდ. ყველას გვყავს შვილები და როგორია წიწილასავით რომ მიგიკლავენ, ან რაღაცას ჩაუდებენ ჯიბეში და ციხეში გამოამწყვდევენ — ხომ იყო ეს? მე ბუნებით დისიდენტი კაცი ვარ, არც ერთი მთავრობა არ მომწონს, მაგრამ ადამიანი რომ ხარ და აზროვნებ, ამ საარჩევნოდ მაინც ხომ უნდა გქონდეს იმის არჩევის უნარი, სად გინდა და რა გინდა?

რომან გოცირიძე რომ გამოვა, კაცი, რომელმაც სამ თვეში მილიონი კუპონი გახადა პური, ის მე და ჩემ ქვეყანას აგვაშენებს, რაიმე კარგს მოგვიტანს?

რას ვერჩოდი თურმე ასლან აბაშიძეს, ეს რა კარგი კაცი ყოფილა! — ერთი სანტიმეტრი მიწა არ გაუყიდია აჭარაში. ახლა, აქედან, თქვენი გაზეთიდან ვუხდი ბოდიშს რაღაც ეჭვები რომ მქონდა. თურმე ღირსეული კაცი ყოფილა! დავწერე კიდეც, ნეტავ, ასეთი კაცი სამეგრელოსაც გამოსჩენოდა, ამ ახვრებს რომ არ შემოუშვებდა და არ აბოგინებდამეთქი, მაგრამ რა, მაპატიეთ და ისევ ჩვენი ახვრები მოდიოდნენ, კიტოვანიც და სიგუაც მეგრელები იყვნენ...

რა დავაშავეთ ასეთი, მართლა არ ვიცი, მთელმა ქვეყანამ, მთელმა ერმა, რატომ ვისჯებით!..

ამათ კიდევ როგორ ამოეღებათ ხმა! რა კოჰაბიტაცია! შვილი მომიკალი და როგორ გეკოჰაბიტაციო!

რა დღეები გვაქვს გამოვლილი... ესეც ვიღაცებს აწყობთ, სამეგრელოს რომ მუქ ფერებში ხატავენ, თითქოს არამყარია, პრობლემური. კი, შეურაცხყოფას ვერ მოითმენს მეგრელი კაცი, მაგრამ იქაც აღრეულია რაღაცები, ზნეობრივი სიწმინდეები და ღირსება. შეხედეთ, ილიაზე შაყირობენ ტელევიზიით... „ჰეროკრატიაზე“ მინდა ვთქვა — შეიძლება, არ ყოფილიყო მხატვრული ფილმი, დოკუმენტური მასალებია, მოწმეები სახეზე არიან ათასობით და დოკუმენტური ფილმი ყოფილიყო, მაგრამ მაშინ ასაყვანი და დასაჭერია ყველა, სასამართლოც რომ არ სჭირდება, ისე.

სამეგრელოში „ნაციონალებმა“ რომ გაიმარჯვონ, ეს იქნება კატასტროფა, როგორც ამ კუთხისთვის, ასევე მთელი საქართველოსთვის.



ესაუბრა
**გიორგი ჩხეიძე**

# მიშას გამომ-ბანი, ჩამ-ბანი, განმ-ბანი... მიშას ბოლო ბანი

მიშას ბანი ცკმუტავს და ვერ ისვენებს, მიშას ბანს სიმშვიდე დაერღვა და აღარ იცის რა თქვას და როგორ, მიშას ბანს დაწერილი სიტყვა უდევს წინ და კითხულობს, მაგრამ ვაი, დამწერსა და ვაი, წამკითხველს...

პაატა ბურჭულაძის სიტყვების ავტორს ვეძებ, მინდა, თვალებში ჩავხედო და ვკითხო, ამდენი სისულელის წერას ერთი კვირის მანძილზე როგორ ასწრებს? ვისაც ჰგონია, რომ ზედმეტი მომდის შეფასებაში, ინტერნეტს გადახედოს და ნახავს, რომ ყველა გამოსვლის შემდეგ, ბატონ პაატას განმარტების მიცემა უხდება... ერთ განცხადებას რომ გააკეთებ და ამ განცხადებაზე სამ განმარტებას გამოაცხობ ტელევიზიით და მაინც გაუგებარი იქნება, რას გულისხმობ - ამას თუ სისულელის გარდა, უფრო კორექტულად შემიძლია რამე ვუწოდო, მითხარით, არ მეწყინება...

უცოდინრობას არც ადრე უჩიოდა პირველი ბანი, მაგრამ მაშინ სიმღერით ფარავდა ნაკლს... მახსოვს, განაცხადა, მე წარმოვადგენ რუსულ საოპერო სკოლასო, რომელიც ძველებურად ძლიერ ფუნდამენტზე დგასო... მასწავლიდა ევგენი ივანოვიო და ამიტომ, მსოფლიოში წარმადგენენ, როგორ რუსულ ბანს და მე ამით ვამაყობო...




ბიჭოოს... რუსული საოპერო სკოლა, ფუნდამენტურადაც და მის გარეშეც - ეგეთი ტერმინი არ არსებობს... საოპერო ხელოვნება და ბელკანტო შევიდა რუსეთშიც და სხვაგანაც იტალიდაან, სადაც 17-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა ეს ხელოვნება.... ამას რუსებიც კი აღნიშნავენ... და თუ ასე უტყუარი იყო რუსული სკოლა, რას გარბოდა ლა სკალაში ნეტავი პრაქტიკის გასავლელად, ან იქაურ სკოლას რატომ არ ემადლიერება? რა იყო ეს, ისევ და ისევ უცოდინრობა, თუ?...

ჰოდა, რუსული ბანი ვარ მე, იმიტომ რომ რუსი პედაგოგი მყავდაო... რუსეთში სწავლობდა მაზნიაშვილიც... ანუ, ისიც რუსი იყო? ასე გავაცნოთ მსოფლიოს?

რუსეთში სწავლობდა ილია ჭავჭავაძეც, ისიც რუსი საზოგადო მოღვაწე ყოფილა ამ ლოგიკით...

სულხან-საბა საფრანგეთის მეფის კარზე იყო ნამყოფი და თუ ამის გამო ფრანგია, მითხარით, არ დამიმალოთ...

თუ რუსი ბანი ბრძანდებით, რაღა პოლიტიკოსობანას თამაში მოგინდათ ქართულად, ბატონო პაატა?

პირველი ბანიო...

მიშას ბანიო...

მართალია, თავად უარყოფს ხოლმე, შიგადაშიგ, ისე, თავისთვის, ლუღლუღით, არამტკიცედ და კუდის დამალვით (არ გამომიჩნდესო), მაგრამ ბლოკის თანაგუნდელმა გაყიდა თხასავით - ვაშაძემ განაცხადა - დიახ, მზად ვართ ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ ახალი „ნაციონალური მოძრაობაო"...

რატო ახალი, ძველი მოგწყინდათ? ძველი აღარ მოგწონთ და აღარ გეამაყებათ?

თუ მოგწყინდათ, აღარც მოგწონთ და აღარც გეამაყებათ, ისევ „ნაციონალური მოძრაობა" რატომ, სხვანი რომ ყოფილიყავით, ვერა? მაგრამ, კოკასა შიდა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო, უთქვამს ბრძენ ქართველს...

ჰოდა, მიშას ბანი მხრებში გაიმართა, პირი გააღო და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა გაიხსენა... გაიხსენა და ეცოტავა... ეს რა არის, სულ 500 000 ხართო? ამ პატარა საქართველოში ეცოტავა ნახევარი მილიონი და გაგაორმაგებო, დაიქადნა...

ნათელაშვილი ეძახე შენ და შალვამ განაცხადა, მდიდარს წავართმევ და ღარიბს ჩავაცმევო, პაატამ კი, მდიდარს წავართმევ და მე წავიღებ, რომ მდიდარიც გაღარიბდეს და ღატაკთა რიცხვმა მილიონამდე მიაღწიოსო...

ჰოდა, პირველია მიშას ბანი, თუ ბოლო?

ალბათ, მაინც ბოლო, იმიტომ, რომ პირველი ბანი ვერ იქნება მიშას ბანი, ვერ იქნება მიშას გამომ-ბანი, ვერც ჩამ-ბანი, ვერ განმ-ბანი...

ჰოდა, საათი დაუწუნა მიშას ბანმა ივანიშვილს.... ჩემი ნაჩუქარი საათი ეკეთაო... აკი, არ ვიცნობ საერთოდო? ასე არ ამბობდით, ბატონო პაატა? თუ, მერე მეხსიერება გაგინათდათ?

ჩემი ნაჩუქარი საათი ეკეთა, როცა მე უგულავას ნაჩუქარი საათი მეკეთაო... უგულავას ნაჩუქარი საათი გაკეთებასა და მომღერალთან შეხვედრაზე ამ მომღერლის ნაჩუქარი საათის გაკეთებას შორის რომ დიდი სხვაობაა, არა უშავს, ბატონო პაატა?



რაღაც, ეჭვი მაქვს, რომ ივანიშვილს სხვა საათიც ექნებოდა, მაგრამ თუ თქვენი ნაჩუქარი საათი გაიკეთა შეხვედრაზე, ესე იგი ეტიკეტის წესებიც კარგად სცოდნია და სტუმართმასპინძლობაც... პატივისცემის გამოხატულებაა სტუმრის ნაჩუქარი ნივთის გამოჩენა... თქვენც პატივისცემის ნიშნად არ გაიკეთეთ, უგულავას ნაჩუქარი საათი, ბატონო პაატა? ჰოდა, რაო, უგულავას ნაჩუქარ საათზე რა დროს უჩვენებს, ბოლო ბანო? არ მოიხსნათ, არ დაგვღუპოთ...

ეჰ, აჭარას მაინც რაღას ერჩოდით, ჰა?

აჭარაში, ალბათ, კადრები არ გვავთო, თანამდებობისთვისო, თორემო, რას გავს ეს, აჭარის პოლიციის უფროსი არ არის აჭარელიიო, არც სუს-ის უფროსია აჭარელი და არც მერიო... მე რომ მოვალ, თანამდებობებზე მარტო აჭარლებს დავნიშნავო, ასე მივცემ მაგალითს აფხაზებსა და ოსებსო...

ჰოდა, უკმაყოფილო ხალხს შეწუხებულმა ზურაბ ჯაფარიძემ განუმარტა, რა იგულისხმა ბანმა: „პაატა ბურჭულაძის განცხადება, რომ აჭარაში თანამდებობებზე აჭარლები უნდა იყვნენ წარმოდგენილი, შესაძლოა, უხეშად ჟღერდა, მაგრამ, ალბათ, ის სხვა რამეს გულისხმობდაო"...

ალბათ, სხვა რამეს გულისხმობდაო?

ალბათო?

ანუ, არც იცით, რას გულისხმობდა, ვერც თქვენ გაიგეთ, ბატონო ზურაბ?

ეჰ, შვილო, ზურაბ, სადამდე?

ანუ, ვერ ერევით და ვერ აკონტროლებთ ამ თქვენს ცუღლუტ ბანს? არც თქვენი ესმის? შეურაცხადობით მიშა მამას გავს, ხმის ოსტატობით რუსებს, ჩაცმულობაში უგულავას გემოვნებას ენდობა და გონიერება და საუბრის სტილიც აღარ ჰქონდეს თავისი?

ანუ, კახეთში პოლიციის უფროსს კახური გვარი უნდა ჰქონდეს, გურიაში გურული, ქართლში ქართლელი უნდა იყოს მერი, ჰო?

ეს გინდოდათ, ალბათ, გეთქვათ, ბატონო პაატა...

აჰ, არაო... იმის თქმა არ მინდოდა რაც ვთქვიო, მაგრამ არც ამის თქმა მინდოდაო, აჭარა არის ისეთი ავტონომია, როგორც უნდა იყოს აფხაზეთი და ოსეთიო... მართლა არ შეიძლება აფხაზეთს დავუნიშნოთ თბილისიდან მმართველი, ეს ხომ უტოპიააო და იგივე აჭარაო...

ეს ისევ იგივე განცხადება არ არის, რაც პირველი იყო, ბატონო პაატა? ანუ, იმიტომ კი არ განმარტეთ, რომ სხვა აზრი იდო თქვენს წინა ბრძნულ გამოსვლაში, იმიტომ განმარტეთ, რომ მეტი სიცხადით გეჩვენებინათ თქვენი უცოდინრობა?

თან უკვირს, რა ეწყინათ აჭაროლებსო? მე ხომ მათკენ ვარ, მე ხომ ის ვთქვი, აჭარა აჭარლებსო???

რა ეწყინათ აჭარლებს, ჩემო კარგო და, აჭარლები ბრძენი ხალხია, აჭარაში ბავშვმაც კი იცის, რომ აჭარელი ისეთივე ქართველია ეთნიკურად, როგორიც გურული, კახელი, ქართლელი... განხვავებით აფხაზისა და ოსისგან...

რა იყო, მიშას ახალი დავალება აქვს მოცემული, აჭარაში მოგინდათ არეულობის დაწყება? არ გამოვა ეგ ამბავი... აჭარაში იმდენი ხანია ძმურად და მეგობრულად ცხოვრობენ გურულები, იმერლები, კახელებიც და ქათლელებიც აჭარლების გვერდით, იმდენი შერეული ოჯახი ცხოვრობს ბედნიერად, რომ აფხაზეთის და ოსეთის მსგავსი ავტონომია აჭარა არასოდეს იქნება და ღმერთმა დაგვიფაროს...

მანამდე კი, გაურკვეველი წარმომავლობის ბოლო ბანო, აბა, პირველი ღმერთმა დაგვიფაროს, იმიტომ რომ პირველს მეორე მოჰყვება ხოლმე და მესამე და რამდენიმე თქვენნაირი ამ ერთ პატარა საქართველოში ძალიან ბევრია... ჰოდა, მიშას ბოლო ბანო, მიშას გამომ-ბანო, ჩამ-ბანო, განმ-ბანო, შეეშვი ამ პოლიტიკას და იმღერე-თქო, გეტყოდი... მაგრამ, ისე შეტოპეთ, - შვილო, ზურაბ, სადამდე-თქო, რომ გეძახით, ხმასაც ველარ გაწვდენთ... ამიტომ, არც ქართულ პოლიტიკაშია თქვენი ადგილი, არც ქართულ სცენაზე და ვგონებ, ის დროა მსოფლიოსკენ მიმავალ გზას გაუყვეთ და აჩვენოთ მათ, როგორია რუსი ბანი...

გმადლობთ, რომ იქ, უცხოეთში არ ქართველობთ და ამ სირცხვილისგან მაინც მიხსნით... თორემ, საქართველოში ყველა სოფელს უხდება ერთი გიჟი...

თამუნა კუშელავა
555 46 08 04



# ქალბატონი, რომლის ბედ-იღბალი სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა

„სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტების დასაცავად. ნუ მეტყვი გულგრილად, რომ შენი საქმე არაა უზნეოთა გამოსწორება; ნუ მეტყვით, რომ არაფერი გვაქვს მათთან საერთო, იმიტომ რომ ეს არის სატანური არაადამიანურობა. ერთი მგზნებარე ადამიანიც კი საკმარისია, რომ გამოასწოროს მთელი ქალაქი. მრავალთა დაღუპვა და სულიერი დაცემა მხოლოდ ჩვენი უდარდელობის ბრალია და არა სისუსტისა“ - იოვანე ოქროპირი.

აშშ-ის სახელისუფლებო ვებგვერდი **foreignassistance.gov**, რომელიც უცხოური ქვეყნებისთვის აშშ-ის სახელწიფო ხაზინიდან გამოყოფილ დახმარებებს აღრიცხავს, წლის ბოლოს ახალ მონაცემებს აქვეყნებს. აქ მოყვანილია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის განვითარების უწყების (**USAID**) ხაზით გამოყოფილი ფულადი დახმარებები, რომელიც სააკაშვილის ნაც-ხელისუფლებამ მიიღო. 2007-წელს ნაც-ხელისუფლებას აშშ-მა 24 მლნ. აშშ დოლარი გამოუყო, რითაც საქართველო რუსეთისა და უკრაინის შემდეგ ყველაზე მსხვილი წილის მიმღები ქვეყნების სამეულშია...

აღმოჩნდა, რომ 2008-2009 წლებში საქართველოში „დემოკრატიის“ სახელით სააკაშვილის ნაც-ხელისუფლებისათვის გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი, აშშ-ის ბიუჯეტში თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა – ისინი მოგვიანებით დამტკიცებულ ხარჯებში შევიდა. ამ წლების განმავლობაში მიღებული დახმარება 2007 წლის მაჩვენებელს სამჯერ აღემატება.

2011 წლის მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა იმპერიიდან გამოსულ ქვეყნებს აშშ-ის სახელმწიფო, დეპარტამენტმა და **USAID**-მა მთლიანობაში 158,3 მლნ დოლარი გამოყო... ვინ განკარგავდა და ათეთრებდა **USAID**-იდან და „გლობალ ფონდიდან“ შემოდინებულ თანხებს საქართველოში? - პირველი ლედი!

დემონი თუ ანგელოზი, საქართველოზე შეყვარებული თუ საქართველოს მოძულე, ქართველების მეგობარი თუ ნომერი პირველი მტერი, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი თუ სატანის პატარძალი რომელიც კვლავ ცდილობს მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას და დარჩენილი საქართველოს დაქცევას. სანდრა რულოვსის მორალური სახე მაშინ გამოჩნდა, როცა სააკაშვილის ბანდის მიერ ნაქურდალი შეირგო და უბრალო ჰოლანდიური ოჯახის შვილი მილიარდების პატრონი გახდა.

მისი მორალური სახე მაშინაც გამოჩნდა, როცა 7 ნოემბერს, 15 ივნისსა და 26 მაისს მისი ჯალათი ქმრის ბრძანებით ქართველი ხალხი მასობრივად ცემეს, აწამეს, ჩახოცეს და პროტესტის გრძნობაც კი არ გასჩენია. არც უმოწყალოდ ჩახოცილი უდანაშაულო ბიჭების დარდს აუღელვებია.

მისი მორალური სახე იმაშიც ჩანს, როცა საჯაროდ ყველასთვის ცნობილი იყო მისი ქმრის მრავალჯერადი ღალატის შესახებ, ხოლო ის ფულისა და სტატუსის შენარჩუნებისათვის გულუბრყვილო ბედნიერი ცოლის როლს თამაშობდა...ხათუნა ხოფერია სოციალურ ქსელში ექსლედის შესახებ წერდა-“..საშინელებათა ჟანრს მიეკუთვნება სანდრა რულოვსის ცხოვრება!!!!



„ცხოვრება“, რომელიც სპეცსამსახურების კაბინეტებში იწერება!!!

**უფრთხილდით, ის ღირსებაშელახული, თავმოყვარეობადაკარგული, მეობაწართმეული საწყალი ქალია, რომელიც აუცილებლად ეცდება ანგარიშის გასწორებას იმ საქართველოსთან, რომელმაც ის საკუთარი ქმრისგან არ დაიცვა!!!!“** - „ახალდაბადებულ პოლიტიკოსს“ სანდრას, ცოტნე გამსახურდიამაც „მიუძღვნა“სტატუსი-”არ მინდოდა ოჯახის წევრებზე საუბარი, თუნდაც სააკაშვილის... მაგრამ არ ისვენებს ეს სანდრა რულოვსი და ვერ ელევა ძალაუფლებას! ეს ხომ არცაა ოჯახი კლასიკური მნიშვნელობით, ეს უბრალო და ბანალური მაფიაა. უკვე მერამდენედ ცდილობს ეს უსინდისო დედაკაცი გაასულელოს საქართველო და ითამაშოს ჩვენ სათუთ დამოკიდებულებაზე ქართულად მოჟღურტულე უცხოელების მიმართ.

სინამდვილეში იგი არაფრით განსხვავდება ოლეგ ფაცაციას, გაგა მკურნალიძის, ალექსანდრე მუხაძის ან სხვა ჯალათებისგან! ერთ პირად ისტორიას გავიხსენებ: როდესაც ციხეში ვშიმშილობდი (სულ ხუთჯერ ვიშიმშილე, ყველაზე მცირე – 28 დღე იყო), ერთხელ ამ ქალმა წითელი ჯვრის თანამშრომლები გამოგზავნა: ვინმე სილვია ვუსტი, ჰოლანდიელი ამსტერდამიდან.

ეს ვუსტი უბრალოდ ინგლისურად მოლაპარაკე აგიტატორივით იქცეოდა. ბოლოს მეკითხება, სხვისთვის ვერაფერს გავაკეთებთ და პირადად რა გინდათო. ხერხემლისთვის ტკივილგამაყუჩებელს თუ შემომიტანთმეთქი, რასაც იქ არ მაძლევდნენ... ვერაო. არ გვაქვს უფლებაო. როგორ, მე ვუთხარი, მამაჩემი რომ შიმშილობდა ციხეში, ბავშვობიდან, იმ დროიდან მახსოვს წითელი ჯვარი როგორ ეხმარებოდამეთქი. კარგი, შეგიძლიათ აქაური ადმინისტრაცია აიძულოთ, მომცენ წამალითქო? არც ეგ შეგვიძლიაო. პაციენტისგან მიღებული ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემის უფლება არა გვაქვსო. აბა, რისთვის ხართ, გარდაცვალების მოწმობის შესადგენადმეთქი?! გაჩუმდა. მერე მეუბნება: დაგვიწერეთ მიმართვა პირველი ლედის სახელზე და ვეცდებითო.

ეს იყო ამ გარეწარი დედაკაცის „ჰუმანიზმი“! მიშას რომ თვალებში ჩახედავ, ჯერ ის გააკეთებინე, რომ მორიგ პრაშმანდოვკაზე არ გაგცვალოს, და მერე დაგვაბოლე ჩვენ შენი ენისმოჩლექით!. სოციალურ ქსელში სხვა ცნობადებიც „ამკობენ“ სქელკანიან ექსლედს...



მაგრამ სულ სხვაა სიყვარული ამერიკული, ნიშნობის ბეჭდის ნაცვლად აგენტურული ნომრით დანიშვნა და ეკლიანი გზა ჰოლანდიური სოფლიდან საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მეორე „კრუგზე“ „ახალდაბადებული პოლიტიკოსის“ სტატუსით.

მაშ ასე, ამერიკული ზღაპარი სიყვარულისა:

2010 წელს სოციალურ ქსელში თბილისის ფორუმზე სანდრა რულოვსის შესახებ ზუსტი ინფორმაცია გამოქვეყნდა სავარაუდოდ ავტორი, ძველი ან განაწყენებული სპეცსამსახურის თანამშრომშრომელი გახლავთ. ვინ არის სანდრა რულოვსი ?!!!

სანდრა ელისაბედ რულოვსი დაიბადა 1968 წლის 23 დეკემბერს ჰოლანდიის ქალაქ თერნაუზენში;

სანდრას – მამა ედუარდ რულოვსი ჩეხეთიდან, „ემიგრანტი“ ჰოლანდიაში და მოგვიანებით ჰოლანდიის მოქალაქე, შესაბამისად სანდრასაც ჰოლანდიის მოქალაქეობა აქვს მიღებული;

ჰოლანდიაში საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე 1985 წელი, ამერიკის სადაზვერვო სამსახურებში გადის საგანგებო მომზადებას, მას ამზადებდნენ საქართველოში ჩასანერგად.

ამერიკიდან დაბრუნებული სანდრა უკვე შენიღბვის მიზნით თარჯიმანთა (მთარგმნელი) სასწავლებელს ამთავრებს და ეუფლება ქართულ ენას, საქართველოში ჯაშუშური მოღვაწეობისათვის.

- 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა ბრიუსელის თარჯიმანთა და მთარგმნელთა სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი დამატებით ფრანგული და გერმანული ენების სპეციალობით.

- ჯერ კიდევ 1992 წლის ზაფხულში, გაგანია ომის დროს, საქართველოს 1991-92 წლეების სახელმწიფო გადატრიალებისთანავე, მას საქართველოში აგზავნიან საგანგებო დავალებით.

- 1993 წელს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტში 1 წლიანი სწავლის დროს მომავალ მეუღლეს მიშა სააკაშვილს შეახვედრეს, წლის ბოლოს კი, ნიუ იორკში გაემგზავრა, სადაც კოლუმბიის უნივერსიტეტში და ჰოლანდიურ იურიდიულ კომპანიაში მუშაობდა.

- 1996 წელს წყვილი საქართველოში გამოაგზავნეს, სადაც სანდრა ელისაბედ რულოვსი წითელი ჯვრის საერთაშორისო სამმართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობის მრჩევლად, ასევე ნიდერლანდების სამეფოს საპატიო კონსულის თანაშემწედ მუშაობდა.

- 1997 წლიდან ის ჰოლანდიური რადიოს კორესპოდენტი იყო, რომელიც საქართველოს საკითხებზე გადაცემებს ამზადებდა.

- 1998 წელს საქველმოქმედო ფონდი **SOCO** დააფუძნა, რომელიც საჭირო ფულის გადმოსასროლად და სხვადასხვა ჯაშუშური საქმიანობის საწარმოებლად სჭირდებოდათ მის ხელმძღვანელებს

- 2007 წლის თებერვლიდან **SOCO**-ს საქმიანობას ადამიანის ხელოვნური ჩასახვა და მსგავსი შავბნელი გეგმების განხორციელებას ეწევა, საქართველოს ჟორდანიას სახელობის სამედიცინო დაწესებულებაში და სხვაგან.

- 1999-2003 წლებში სანდრა ელისაბედ რულოვსი ჯაშუშური საქმიანობის შესანიღბად ჰოლანდიური საწარმოების დამოუკიდებელ მრჩევლად მუშაობდა.

- ამავე დროს ის თანამედროვე საწარმოო ცოდნის გაზიარების გეგმათა მართვის მომწესრიგებლი იყო, ეს საქმიანობას ფულით ჰოლანდიის მთავრობა უზრუნველყოფდა.

– 2005 წლის მარტში სანდრა ელისაბედ რულოვსს ეხმარებიან გამოსცეს ამსტერდამში ჰოლანდიურ ენაზე საკუთარ ცხოვებაზე წიგნი „საქართველოს პირველი

ლედი – იდეალისტის ნამბობი“. წიგნის ქართული თარგმანის წარდგენა 2005 წლის ოქტომბერში გაიმართა, ხოლო უკრაინულის, 2006 წლის მარტში. რუსულ ენაზე კი წიგნი 2007 წლის დეკემბერში გამოიცა, ხოლო – თურქულზე 2008 წლის თებერვალში.

ეს ჯაშუშურ საქმიანობაში მიღებული ხერხია ფულის გასათეთრებლად.

წიგნში სანდრა ელისაბედ რულოვსი იხსენებს 1992 წლის ზაფხულში თავის პირველ ჩამოსვლას საქართველოში.

სანდრა რულოვსი გაერთიანებული ერების ათასწლეულის განვითარების მიზნებზე მუშაობს. კერძოდ: დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის, უკიდურესი სიღარიბისა და ინფექციური დაავადების კვლევაზე.

2004 წლის ოქტომბრიდან სანდრა ელისაბედ რულოვსი ქვეყნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა!!!, რომელიც საქართველოში: შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის „გლობალური ფონდის“ მიერ ფულით უზუნველყოფილ გეგმებს ახორციელებს. ამავე დროს ის აღმოსავლეთ ევროპაში გლობალური თანამშრომლობა “შევაჩეროთ ტუბერკულოზის” ელჩია.

სანდრა აგრეთვე შობადობის მომწესრიგებელი (“რეპროდუქციული”) ჯანმრთელობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეა, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და საყოფაცხოვრებო დაცვის უწყებასთან არსებობს.

სანდრა რულოვსი მართავს უწყების („სამინისტროს“) საქმიანობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა აცრები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. (ეს მაშინ, როდესაც სანდრას სამედიცინო განათლება საერთოდ არ გააჩნია, მაგრამ მაღალი დონის ჯაშუშს ეს ხელს არ უშლის).

ამის გამოსასწორებლა საიდუმლო სამსახურები 2008 წლის გაზაფხულზე სანდრას სასწრაფოდ, თბილისში ექთნობის შემსწავლელი სამწლიანი „დაასრულებინეს“ და „დიპლომი“ გაუჩალიჩეს.

მის დაქვემდებარებაშია საქველმოქმედო ფონდი **SOCO** და **UNFPA**-ს მოძრავი ჯგუფების მხარდაჭერა.

თავიდანვე ჯანდაცვის მინისტრის გვერდით ჩნდებოდა და შეიძლება ითქვას, ეს არაპროფესიონალი ადამიანი საკმაოდ ზედმეტად ერეოდა ჯანდაცვის მუშაობაში. როდესაც არაპროფესიონალი ლიდერობს, მისი დარწმუნება ნებისმიერ ცუდ საქმეში უფრო ადვილია, ვიდრე პროფესიონალის. სანდრას მფარველობით ჯანდაცვაში მართლაც ბევრი ავანტიურისტული საქმე გაკეთდა. ამის მეორე მიზეზი ის არის, რომ პირველ ლედიზე ხმამაღალ საუბარს საზოგადოება ერიდებოდა და ისინიც ამით კარგად სარგებლობდნენ. ფოტოებშიც კი, სანდრა ყოველთვის გვერდით ედგა ჯანდაცვის მინისტრებს, რაც გარკვეული გაფრთხილებაც იყო, – მე ვმფარველობ და სფეროს ახლოს არ გაეკაროთო! პირველი ლედი თავდაპირველად ლადო ჭიპაშვილს მფარველობდა. ლადოს მოხსნაზე საუბარი რომ იწყებოდა, მაშინვე ტელევიზიით გამოვიდოდა სანდრა, ლადო გვერდით ეჯდა და ერთმანეთს აქებდნენ. ან სასწრაფოდ გვაჩვენებდნენ, რომ რომელიღაც რაიონში იყვნენ ერთად და სამედიცინო დაწესებულებებში დადიოდნენ. უკვე ყველასთვის ნათელი ხდებოდა, რომ რადგან სანდრას მოსწონდა, ლადოს ხელი არ უნდა დასდებოდა, მაგრამ ბოლოს ჭიპაშვილმა სულ აიწყვიტა და აქაურობის გარიდება გახდა საჭირო. სწორედ სანდრას დამსახურება იყო, ეს ადამიანი დაჭერის ნაცვლად, ელჩად რომ გადაიყვანეს და საქართველოს გაარიდეს. ასე მოხდა სანდრო კვიტაშვილის შემთხვევაშიც – პირველი ლედი მასთან უფრო ახლობლობდა, ვიდრე ჭიპაშვილთან. მისი მინისტრობის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროში ბევრ სხდომასა და შეკრებას სანდრა უკვე პირდაპირ ხელმძღვანელობდა. ჯანდაცვის ნგრევის პროცესი ჭიპაშვილმა კი დაიწყო, მაგრამ კვიტაშვილმა მოუთავა ხელი და რომ არა სანდრა, ამის გამო ისიც ციხეში უნდა ყოფილიყო გამომწყვდეული. პირველი ლედის დამსახურებით გააცილეს ეს კაცი ჯანდაცვას და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დასვეს.

სანდრა რასაც უბრძანებდა თავის ქვეშევრდომ მინისტრებს, ისინიც იმას აკეთებდნენ. მთავარი იყო პირველ ლედისთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ და რაც უნდოდათ ის ჩაედინათ,



მათ უბატონოდ ხელს ვერავინ ახლებდათ. ნაციონალები დღეს ვენებს იჭრიან ჩვენ ევროპისკენ ვიყურებოდით და ვიყურებითო, მაგრამ წარმოუდგენელია რომელიმე ევროპული ქვეყნის პირველ ლედის ისეთი მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლებთან, როგორიც სანდრას ჰქონდა ჯანდაცვის მინისტრებთან. ეს ყველაფერი ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ რომ არ იყო გამიზნული უამრავი ფაქტი მოწმობს. მაგალითად,

ბავშვთა დღის ცენტრ „გაზაფხულში“ მკურნალობდნენ და რეაბილიტაციის კურსს გადიოდნენ შეჭირვებული ოჯახების მენჯ-ბარძაყის თანდაყოლილი დეფექტის მქონე ავადმყოფი ბავშვები. ამიერკავკასიაში ეს იყო ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი და ამას უცხოელებიც აღნიშნავდნენ, მაგრამ, როგორც ვიცი, სანდრას ის ტერიტორია მოეწონა სათავისოდ, სადაც ეს ცენტრი იდგა და დაიწყო ბრძოლა, რათა დაწესებულების მედპერსონალი და ბავშვები ცენტრიდან გაეყვანა. ეს დაწესებულება იყო დიღომში, რომლის პირდაპირაც სანდრა გუმბათებიან რეზიდენციას იშენებდა. დღის ცენტრი „გაზაფხული“ მტკვრის მეორე სანაპიროზეა და სანდრას თურმე იქ ბაღების გაშენება ჰქონდა ჩაფიქრებული. ალბათ განახორციელებდა კიდევაც ამ „პროექტს“, სააკაშვილსა და ნაციონალებს ხელისუფლებაში ყოფნა კიდევ რომ დაცლოდათ.

რეზიდენციიდან ამ ბაღებს, თურმე, ხიდით დააკავშირებდა. ამ ცენტრში თავად სანდრა და მინისტრი ურუშაძე იყვნენ მისულები და მედპერსონალს კომპენსაციას შეჰპირდნენ, მაგრამ ისინი არ დასთანხმდნენ. მერე მედპერსონალს ურუშაძის მოადგილეები „ამუშავებენ“ და ახლა ისინი დადიოდნენ ყოველდღე მათთან. ავადმყოფი ბავშვების მშობლებს უკრძალავდნენ, მათი შვილების რენტგენის ფოტოები თუ დიაგნოზები ვინმესთვის ეჩვენებინათ, რადგან წინასწარ იცოდნენ, მათი მკურნალობის შეფერხება და სახლის პირობებზე გადაყვანა შეიძლება ფატალური შედეგით დასრულებულიყო. რაც მოხდება, იმაზე პასუხისმგებლობის მოხსნაც წინასწარ უნდოდათ. იმ პერიოდში რუსთავი-2-ზე ვრცელი გადაცემა გავიდა: დრომოჭმული მეთოდებით მკურნალობენ ამ ცენტრში ავადმყოფ ბავშვებს და უნდა შეგრცხვეთო?! რამდენიმე ექიმსაც ათქმევინეს, რომ მეთოდები, რომლითაც ცენტრში მკურნალობდნენ, არ იყო თანამედროვე. იმის ნაცვლად, რომ „ქველმოქმედი“ პირველი ლედი ამ ავადმყოფ ბავშვებს დახმარებოდა, ყველანაირი მეთოდით შეეცადა მათთვის ეს დახმარება წაერთმია.

ერთხელ ექსპრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა, ჩემი ცოლი, დამწვრობის ცენტრში, კვირაში ერთხელ თუ ორჯერ მორიგეობსო. სხვათა შორის, სანდრას იქ შესვლის შემდეგ აირია ეს საავადმყოფო, რაც იმით დასრულდა, რომ კუკიაზე, კუთვნილი შენობა წაართვეს და რეფერალური საავადმყოფოს ერთ სართულზე, დაბალჭერიან ოთახებში შეხიზნეს., საინტერესოა ამ საავადმყოფოს გასხვისებაში რა ინტერესები ჰქონდა სანდრას, მაგრამ ძალაუფლებას ბოროტად რომ იყენებდნენ, ფაქტია. ღუდუშაურის საავადმყოფოც იმ პერიოდში ნაციონალური მოძრაობის ციტადელად იქცა, რადგან პირველი ლედი იქ მთავარი ექთანი გახლდათ.

საქართველოში ორი საკმაოდ ძლიერი საექთნო სასწავლებელი არსებობდა. ამ სასწავლებლებს ვინც წარჩინებით ამთავრებდა, როგორც მედალოსანი, ისე ხვდებოდა უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში. ექთნობით სანდრას დაინტერესების შედეგად მივიღეთ ის, რომ არც ერთი საექთნო სასწავლებელი უკვე აღარ არსებობს. მხოლოდ ერთი ფასიანი სასწავლებელია, რომელსაც დღემდე მეტსახელად სანდრას საექთნო სასწავლებელი ჰქვია. ქალთა სკრინინგ ცენტრიც“ სანდრას სახელობის არის და რაც იქ კეთდება, ყველაფერი პირველ ლედის მიეწერება დღემდე. არადა მთელ მსოფლიოში არსებობს ასეთი სახელმწიფო პროგრამები და აქ პირველი ლედი არაფერ შუაში არ გახლდათ. არც მისი დამსახურებით არ უტარდებოდა ამ ხალხს უფასო გამოკვლევები. პროგრამა მსოფლიო ჯანდაცვისგან იყო რეკომენდებული და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებული. სანდრა ამ ფულს ჯიბიდან არ იღებდა. თუმცა ეს პროგრამაც არ ხორციელდებოდა სრულყოფილად. როცა ევროპის ქვეყნებში ამ პროგრამით დაავადებას აღმოაჩენენ, მერე სხვა პროგრამებიც ერთვება, რომლითაც დაავადების მკურნალობას ახერხებენ, მაგრამ აქ რომ დასვამენ დიაგნოზს, მერე უმეტესობა ვერ მკურნალობს, რადგან ამას დიდი ფული სჭირდება. სინამდვილეში, ამ უფასო სკრინინგით“ ხალხს ეუბნებოდნენ, ჩვენ გეტყვით, როდის მოკვდებითო. ან ამის შემდგომ უნდა გაეყიდათ სახლ-კარი და გადაეხადათ სამედიცინო მომსახურებაზე დაწესებული საშინელი თანხა, რომელიც ვის ჯიბეში მიდიოდა ეგეც კარგად გასარკვევია. არადა იმ დროს „სანდრა ექიმი“ “ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შესახებ წერდა-

„პროგრამა საუკეთესო მაგალითია სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების პარტნიორობისა, რომლის ფარგლებშიც ხედვა, მიდგომები და ძალისხმევა მიმართულია ქალთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად საქართველოში. ეს ჯილდო უმაღლესი აღიარება და მოტივაციაა ჩვენი წარმატების ფორმულის რეგიონში დანერგვისათვის“. „პარტნიორობით“ვინ ხეირობდა და ვისი ჯანმრთელობის საფასურად იმის შესახებ დუმდა იგი!



ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

# ოდესაში დაგეგმილ პროვოკაციებს ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გასცემს

## რალა სამეგრელოში წარადგინეს რულოვსი? რა, მესამე თაობის დადიანია?



### „საერთო გაზეთის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურაბ ქადაგიძე

**ზურაბ ქადაგიძე:** ცოტა ხნის წინათ, „ნაციონალები“ იძახდნენ – ივანიშვილი „ქართული ოცნებიდან“ მიდისო. იმის თქმა ხომ არ უნდათ, რომ სხვა გალაქტიკაზე მიდის ბიძინა ივანიშვილი? ამ ადამიანს იმხელა წვლილი მიუძღვის საქართველოს გადარჩენისა და განვითარების საქმეში, რომ საზოგადოებაში უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს და მას ყოველთვის ექნება გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება. 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა წავიდეს ბატონი ბიძინა საცხოვრებლად და იქიდან პირდაპირი ტელეეთერით ჩაერთოს, როგორ წარმოგიდგენიათ, საზოგადოებაზე გავლენას ვერ მოიპოვებს? ამ ადამიანმა, რომელიც „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და სულისჩამდგმელია, მოაშორა ქვეყანას ის საშინელი, ამაზრზენი რეჟიმი, რასაც ნაცმოძრაობის მმართველობა ჰქვია. ამათ ტყუილად არ უწოდებენ ნაცებს, რადგან ფაშისტ-ნაცისტების პირდაპირი ანალოგები არიან, უბრალოდ მასშტაბები ჰქონდათ ნაკლები, თანაც 21-ე საუკუნეა, თორემ ხელეწიფებოდათ იმის გაკეთება, რასაც ჰიტლერი აკეთებდა. სააკაშვილსა და მის გუნდს არა პოლიტიკური და იდეოლოგიური, არამედ ვიწრო მენტალური ინტერესები ჰქონდათ, რასაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. გათიშე და იბატონე, ეს იყო მათი პრინციპი, საზოგადოებას თავისიანებად და დანარჩენებად ყოფდნენ. ზოგიერთას რომ ჰკითხო, თურმე ნაციონალები ახალგაზრდებს განათლებას აძლევდნენ, რომ ისინი მერე ქვეყანას გამოსდგომოდნენ, სინამდვილეში მათ სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ. ნურავის ეგონება, რომ კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნა, ისეთ განათლებას ნიშნავს, რომ ეს ახალგაზრდები ინტელექტუალობის უმაღლეს საფეხურს მიაღწევდნენ, მათ უბრალოდ იმის საშუალებას აძლევდნენ, რომ ნაციონალების ყურმოჭრილი მონები ყოფილიყვნენ. გადავხედოთ მიხეილ სააკაშვილის ყველა ნაბიჯს, არცერთი არ გაკეთებულა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მის პირად ინტერესებს ემსახურებოდა. მე იმას არ ვამბობ, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო, მაგრამ როცა ქვეყნის პირველი პირი არ ითვალისწინებს უამრავი ადამიანის რჩევას, იქნება ეს სენატორი თუ სხვა მაღალჩინოსანი, რომ არ აყვეს პროვოკაციას, არ ჩაერთოს ომში, რა უნდა დავარქვათ მის საქციელს? ჩემი აზრით, სააკაშვილმა, ზუსტად თავისი ვიწრო მენტალური ინტერესებიდან გამომდინარე გადადგა ქვეყნისთვის დამღუპველი ნაბიჯი. სწორედ ბიძინა ივანიშვილმა შეცვალა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის დამანგრეველი რეალობა, დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ტელევიზია თუ ბეჭდური მედია, მარტო ჟურნალისტებს კი არა, ყველა ადამიანს შეუძლია თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვა. მავანთ საქილიკოდ რომ ჰქონდათ ბატონი ბიძინას სიტყვები, ჩვენი დემოკრატიით ევროპას გავაკვირვებთო, სწორედ ასეთი დემოკრატიაა დღეს საქართველოში და ეს მოქილიკენი გახლავან სასაცილონი. რა თქმა უნდა არსებობს ბევრი კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნების“ დანაპირების ნაწილი (თუმცა მცირე) ვერ შესრულდა, უკმარისობის გრძნობა გვაქვს და გვინდა ყველაფერი შესრულდეს, მაგრამ, როცა აშკარად ხედავ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში პროვოკაციებსა თუ ომში არ იქნები ჩათრეული, ან სხვა რაიმე უბედურებას არ გადაეყრები, ეს ყველაფერი უნდა დააფასოს საზოგადოებამ.

სტაბილურობისა და დემოკრატიის დამყარების შემოქმედ ადამიანს, ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი ავტორიტეტი გამოიყენოს ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ბიძინა ივანიშვილის მართლაც უპრეცედენტო ფრაზა, თუ „ქართული ოცნება“ არასწორ ნაბიჯს გადადგამს, მათაც დავუპირისპირდებიო, ანუ ეს ადამიანი გარანტად უდგება საზოგადოებას, მე თქვენი ნაწილი ვარ და ყოველთვის თქვენს გვერდით ვიდგებიო, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს სიტყვები იყო. მისი გადასაწყვეტია რომელ პოლიტიკურ ძალას დაუჭერს ხმას, ადრეც გითხარით და გავიმეორებ, რომ დარწმუნებული ვარ „ქართული ოცნება“ დიდი უმრავლესობით შევა პარლამენტში, შეიძლება აბსოლუტური უმრავლესობა არ ჰქონდეს, მაგრამ მთავრობას დააკომპლექტებს და იმედი მაქვს, გააგრძელებს იმ ტენდენციას, რასაც მდგრადი ურყევი განვითარება ჰქვია.

**- მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს როგორ შეაფასებდით, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ნაციონალები და მათი სატელიტები დარწმუნებული არიან არჩევნებზე თავიანთ გამარჯვებაში, ყოველ შემთხვევაში სამეგრელოში მაინც. თურმე ყოფილი პირველი ლედი ფაქტობრივად კონკურსგარეშე ყოფილა.**

- ისეთი პოლიტიკური პარტიები ქმნიან ბლოკებს, გაოცებული ვარ, ინტერესთა კონფლიქტზე უკვე აღარაფერს ვამბობ, იდეოლოგიური კონფლიქტია სახეზე, წარმოიდგინეთ, ულტრალიბერალური პარტიები მემარჯვენე კონსერვატიულ პარტიებთან ერთიანდებიან. ეს დაახლოებით ისეთი კავშირია, ბოტანიკოსებმა და მძიმე მრეწველობის სპეციალისტებმა რომ შექმნან ალიანსი. როდესაც პარტიასა თუ ბლოკში იდეოლოგიური კონფლიქტია, ეს ერთიანობა ვერ იფუნქციონირებს, პარტიას თავისი იდეოლოგია, მიზანი, მიმართულება, პლატფორმა უნდა გააჩნდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა პარტიული კულტურა და ნომენკლატურა. ეს ადამიანები იმიტომ ვერ მიდიან სახელისუფლებო ბერკეტებამდე, რომ არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. პაატა ბურჭულაძის პარტია იმიტომაც დატოვეს მისმა წევრებმა, ჩვენ გვეგონა ახალი ძალა მოვდიოდით, სინამდვილეში კი ნაცმოძრაობის ნარჩენებთან შეკრებილები აღმოვჩნდით ბრძოლის ველზეო. ვაშაძემაც დაადასტურა ნაცმოძრაობა-2 რომ არიან, თუმცა ვითომ „ლამაზად“ შეფუთა, თუ რეფორმების გაგრძელების, ნოვაციების, ეკონომიკის აყვავების კუთხით, „ნაციონალური მოძრაობა“ ვართ, კი ბატონო, ვიქნებითო. არცერთ ამ „განახლებულ“ ნაციონალს პასუხისმგებლობა არ აუღია ნაცმოძრაობის 9-წლიან მმართველობაზე და ახლა გვპირდებიან, რომ „ისეთები“ აღარ იქნებიან. მოირგეს „პროდასავლელის“ მანტია და ვითომ პროდასავლური იდეის გარშემო ერთიანდებიან, არადა მათი თითქმის 90% ნაცმოძრაობის სატელიტები არიან, მეორე მხარესაა „ქართული ოცნება“ და რიგი დამოუკიდებელი პარტიები. ფაქტი ერთია, საზოგადოება აღარასდროს უნდა დაბრუნდეს იმ რეალობაში, რაც 2012 წლამდე გვქონდა, ამიტომ ყველა უნდა მივიდეთ არჩევნებზე, ქართული საზოგადოება პოლიტიკურად ძალიან გაიზარდა, უკვე ყველა დარწმუნდა, რომ საარჩევნო ყუთთან ჩვენი პოზიციის დაფიქსირებით, შეგვიძლია რეალურად შევცვალოთ ვითარება.

რაც შეეხება სამეგრელოში არჩევნების მოგებას, ნაცმოძრაობისთვის ძალიან დიდი შავი ლაქაა ამ კუთხესთან ურთიერთობა, თუმცა იქაც ჰყავთ თავიანთი ამომრჩევლები. ეს ხალხი






არ არიან ბევრი, მაგრამ მობილიზებული ჰყავთ, ამიტომ ყველა იქაური უნდა მივიდეს არჩევნებზე, რომ მათი გულგრილობა ვინმემ არ გამოიყენოს. **სააკაშვილსა და მის გუნდს იმდენად ჰყავდათ გამწარებული სამეგრელოს მოსახლეობა, რომ არ მგონია სანდრა რულოვსს იქ დიდი შანსი ჰქონდეს, რადგან ეს ქალბატონი ყველა შემთხვევაში მათთან ასოცირდება. სამეგრელოში მისი კანდიდატურის წარდგენას პროვოკაციად ვთვლი,** აქაც აშკარად იკვეთება ნაცების მენტალური ინტერესი. სამეგრელოშია აღმოჩენილი ის ამაზრზენი კადრები, სადაც აღბეჭდილია მამაკაცების არაადამიანური დამცირება და წამება, ამ დროს მიდის ქალბატონი რულოვსი თავისი მეგრული „ივანნათი“ და ხალხს ეუბნება, დაივიწყეთ ეს ყველაფერი, ჩვენ ასეთ რაღაცას აღარ გავაკეთებთო. ეს არის წმინდა წყლის პროვოკაცია, მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომ მათზე უკიდურესად განაწყენებულ ადამიანებს, არჩევნების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება გაუჩინონ, მით უმეტეს, რომ საკმაოდ არსებობს სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები. **რაღა მაინც და მაინც სამეგრელოში წარადგინეს რულოვსის კანდიდატურა, რა, მესამე თაობის დადიანია, თუ რა აკავშირებს სამეგრელოსთან? მას თურმე მეგრელობის რძლობაზე ჰქონია პრეტენზია, რანაირად არის მეგრელების რძალი? ისე მის ქმარს თუ ჭირდებოდა მეგრელი იყო, ხან ბაგრატიონობას ჩემულობდა.** ერთი სიტყვით, ნაცმოძრაობა ყველანაირ რესურსს გამოიყენებს, ოღონდ იმისთვის კი არა, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს, ძალიან კარგად იციან, რომ ამ ეტაპზე ხელისუფლებაში მობრუნების შანსი პრაქტიკულად არ გააჩნიათ, უბრალოდ სიტუაციის არევა უნდათ. მათი პროგრამა მინიმუმია, ათზე მეტი დეპუტატი მაინც შეიყვანონ პარლამენტში, იყოს ბევრი საბოტაჟი, ლოკალური არეულობები, საერთაშორისო დონეზე ის ეარ იყოს შეფასებული ეს არჩევნები, როგორიც ქვეყნის კეთილდღეობას წაადგება. მათი გეგმა-მაქსიმუმი 2020 წლის არჩევნებისთვის მზადებაა, რომ გააძლიერონ ეს უმსგავსო ქმედებები და ასეთი ზეწოლის გამოისობით, უფრო შთამბეჭდავ შედეგს მიაღწიონ. ეს რომ არ მოხდეს, ყველა უნდა წავიდეთ არჩევნებზე და საბოლოოდ დავუსვათ წერტილი ნაცმოძრაობას. როდესაც ხუთ ან შვიდ პარლამენტარზე მეტი არ ეყოლება ნაცმოძრაობას, მერწმუნეთ, მათ მიერ მართული, უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ და ფონდები ვეღარაფერს უშველიან, რადგან ამ უკანასკნელთაც წყალი აქვთ შემდგარი იმ კუთხით, რომ ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი მათ სრულ უნდობლობას უცხადებს. ამ გაკოტრებულ პოლიტიკურ ძალას, მღვრიე წყალში თევზის დაჭერის საშუალება არ უნდა მივცეთ. ამ არჩევნებზეც იგივე შედეგი უნდა ჰქონდეთ, რაც ადგილობრივი არჩევნების დროს დადეს, როცა მთავარ ოპოზიციონერობაზე პრეტენზიის მქონე პარტია, მხოლოდ ორი დეპუტატით უსწრებს სხვა ოპოზიციურ ძალას. პარლამენტში ისხდნენ მცირერიცხოვანი ფრაქციით და ფაშისტურ-ნაცისტური თუ ნეობოლშევიკური იდეებით შეპყრობილებმა, იყვირონ რამდენიც უნდათ, სახელისუფლებო ბერკეტებთან მაინც ვერ მივლენ. თქვენ წარმოგიდგენიათ ისეთი პოლიტიკური პარტია, რომელიც ხალხს არ მოუწოდებდეს, არჩევნებზე მოდით და მხარი დაგვიჭირეთო, ნაციონალებს საერთოდ არ ადარდებთ რამდენი ამომრჩეველი გამოვა, რაც ნაკლები მივა, მათთვის უკეთესია, მთავარია, მათი მხარდამჭერები ყველა შემთხვევაში მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. ნაცმოძრაობას ძალიან უნდა, რომ ხალხმა მათი ნამოქმედარი დაივიწყოს, მაგრამ მეხსიერება არავის დაუკარგავს, თუმცა საზოგადოებას მაინც ხშირად უნდა შევახსენოთ ამათი „შემოქმედება“. ნაციონალები ახლა კრიმინალური ვითარების დაძაბვაზე აპელირებენ, რატომღაც ყური მოიყრუეს საერთაშორისო ორგანიზაციის იმ დასკვნაზე, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში მსოფლიოში მესამე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილს იკავებს. აქედან გამომდინარე, როცა ვინმე კრიმინალური ვითარების გართულებაზე დაიწყებს საუბარს, დებატებში კი არ უნდა შეხვიდე, ეს დასკვნა თავზე უნდა გადაახიო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ნაციონალები რეგიონებზე მუშაობენ, რომ იქ მაინც მიიღონ გარკვეული ხმები, რადგან კარგად იციან, რომ დედაქალაქში ამას ვერ შეძლებენ, თბილისი ყოველთვის ანტინაციონალური იყო, ისევე, როგორც ქუთაისი და ბათუმი.



პოლიტიკოსსა და პარტიას ხშირად არ ეძლევათ აღმასვლის შანსი, მაგრამ არსებობს ნახტომისებური წინსვლა. **ირაკლი ალასანიას რამდენჯერმე ჰქონდა „ნახტომის“ საშუალება, მაგრამ ვერცერთხელ ვერ გამოიყენა. მე არ ვამბობ, რომ ცუდი პოლიტიკოსია, ან ცუდი მინისტრი იყო და ა.შ., უბრალოდ ის შეუმდგარი პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, იმ „ინტრიგან“ ბავშვს მაგონებს, რომელსაც არც ერთი აღმზრდელი არ მოწონს**, ყველასთან პრეტენზია აქვს, რომ ყოველთვის თვითონ არის მართალი. ვფიქრობ, მას ძალიან გაუჭირდება სერიოზული ქულების დაწერა. არსებობენ პატარ-პატარა პარტიებიც, რომელთაც სუფთა წარსული კი აქვთ, მაგრამ ვერ ახერხებენ თავის ისე წარმოჩენას, რომ საზოგადოებისთვის მისაღები გახდნენ და ქულები ჩაიწერონ. რაც შეეხება ე.წ. პრორუსული მიმართულების პარტიებს, ყველა აქვს თავისი არჩევანის უფლება, კი ბატონო რუსეთთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა, მაგრამ ადამიანი იმას რომ იტყვის, საქართველოში რუსული სამხედრო ბაზები უნდა იყოს, ნამგალი და ურო, წითელი დროშა დავაბრუნოთო, სამარცხვინოდ მიმაჩნია. ნაცმოძრაობა კი იყენებს ამ მომენტს ხელისუფლების საკრიტიკოდ, მაგრამ რა ვქნათ, ეს ადამიანებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და როგორ გავაქროთ, თუ განსხვავებული აზრის გამო დავიჭიროთ. სწორედ ეს არის დემოკრატია, რომ ყველას თავისი აზრის გამოხატვის საშუალება აქვს და მერე საზოგადოებამ თავად განსაჯოს, ვის მისცემს ხმას. ის არ იყო საზოგადოების შეურაცხყოფა, როცა რეფერენდუმის ჩატარებაზე უარი უთხრეს ნახევარ მილიონ კაცს, ეს 5-6 ადამიანი ისეთი ინტელექტუალია, რომ მათ უფრო იციან საქართველოს რა ჭირდება? სწორედ ეს იყო დემოკრატიის ხარისხზე პირდაპირი დარტყმა. უმრავლესობა რასაც გადაწყვეტს, ის უნდა მოხდეს, უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ნაცმოძრაობა ხელისუფლებას უნდა ჩამოშორებოდა და ასეც მოხდა. საზოგადოება ბრძენია, მას უბრალოდ ინფორმაცია უნდა მივაწოდოთ, რეალურად ვინ რას აკეთებს, ვინ არის დაკავებული საბოტაჟით და თვითონ გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს. დღეს ქვეყანა ამ საბოტაჟისა და საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაფერს ადვილად გადავლახავთ, არაფერი მოხდება. საქართველომ ძალიან ბევრი უბედურება გადაიტანა, მოსახლეობამ საკუთარ თავზე იწვნია თუნდაც 90-იანი წლების საშინელებები, ასე რომ, მან მშვიდობისა და თავისუფლების ფასი კარგად იცის, ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ოდესაში დაგეგმილ პროვოკაციებს არ აყვება, 8 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან მივა და ღირსეულ არჩევანს გააკეთებს.



**- ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან განცხადება გააკეთა, რომ სახელმწიფო ხალხისთვის უნდა იყოს. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფო ხალხისთვის?**

- ჩემთვის ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ჩემს ახლობელს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა და სასწრაფოდ დაჭირდა ძვირადღირებული ოპერაცია, ამ ოპერაციის ღირებულების 80% ჯანდაცვის სამინისტრომ დააფინანსა, დანაკლისი კი გამგეობამ, თანაც ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. სახელმწიფო ხალხისთვის არის ის, როცა ადამიანი საკუთარ თავზე გრძნობს, რომ სახელმწიფო მასზე ზრუნავს, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და ოპერაციას, სახელმწიფო აფინანსებს და ოჯახს იმის არ ეშინია, უფულობის გამო ფატალური შედეგი დადგება. როდესაც გამოცხადდა კონკურსი, რომ თუ მოსახლეობა რეგიონებში წავიდოდა და მცირე ბიზნესს წამოიწყებდა, პროექტის განხორციელებაში სახელმწიფო დაეხმარებოდა, შეიძინეს აპარატურა, ტექნიკა და მათ დღეს წვრილი მეწარმეები თუ ბიზნესმენები ჰქვიათ. როდესაც დაფინანსდნენ სტუდენტები, დაიხვეწა ტექნოლოგიები და ღირსეული კადრები მომზადდებიან. სწორედ სახელმწიფო ხალხისთვისაა, როცა ადამიანმა იცის, რომ გამოწვევების წინაშე მარტო არ არის და სახელმწიფო მას ნებისმიერ დროს დაეხმარება. ძალიანKკარგი იქნება, თუ ქვეყანაში საერთოდ არ იქნებიან სოციალურად დაუცველები, მაგრამ, როდესაც ადამიანს შემოსავალი არ გააჩნია და სახელმწიფო შემწეობას გამოუყოფს, ეს არ არის სახელმწიფო ხალხისთვის? სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ხალხისთვის და არა ხალხი სახელმწიფოსთვის, უფრო სწორად ერთი პარტიის მენტალური ინტერესებისთვის, რისი სამწუხარო მაგალითიც უკვე გვქონდა. სახელმწიფო ხალხისთვის ვერასდროს იქნება, თუკი არარეალურ დაპირებებს გასცემს. ახლა ზოგიერთები რომ პირდებიან მოსახლეობას, აგვირჩიეთ და მეორე დღიდან პენსია 300 ლარი გექნებათო, ერთ თვეს კი გასცემენ, მაგრამ მერე სახელმწიფო აღარ იარსებებს, ე.ი. აღარც ჯანდაცვა უნდა გვქონდეს, აღარც თავდაცვა, აღარც სამართალდამცავი სტრუქტურები უნდა გვყავდეს. ხალხზე მზრუნველი სახელმწიფო მაშინ გვექნება, როცა ეკონომიკის მყარი და მდგრადი განვითარება მოხდება, პენსია ეტაპობრივად გაიზრდება და ა.შ. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბიძინა ივანიშვილის ამ განცხადებას და უკვე არსებული ტენდენციის გაგრძელების პირობას. წელანაც გითხარით და გავიმეორებ, უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია ამ ადამიანის დადებული პირობა, რომ თუ ვერ დავინახავ მმართველი ძალისგან მოსახლეობაზე ზრუნვას, მას აუცილებლად დავუპირისპირდებიო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

## გიორგი კვირიკაშვილი:

# განვითარების ისეთი დინამიკა უნდა შევქმნათ, რომ გავაფერადოთ და ავაგუგუნოთ ჩვენი ქვეყანა



### ლაგოდეხი

ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით ვაპირებთ სიარულს; ჩვენი საზოგადოება ამ დაპირისპირებას, ერთმანეთის ლანძღვა-გინებას და კონფრონტაციას ვეღარ აიტანს, -ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლაგოდეხის მოსახლეობას, რომელსაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ზურაბ მაჭარაშვილი** წარუდგინა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მთავარია, დასრულდეს სიძულვილი და საფუძველი ჩაეყაროს ნორმალურ ურთიერთობებს.

„ჩვენ არ ვართ სიძულვილის ხალხი, ჩვენ ხომ ადამიანის მოყვარული ერი ვართ. ჩვენ ხომ დღემდე მხოლოდ ერთიანობით მოგვიტანია თავი. მაშ, რა დაგვემართა ამ ბოლო დროს, რა ვირუსი ჩაისახა ასეთი, რომ ვეღარ დავძლიოთ ერთმანეთის სიძულვილი. ნუთუ არ შეიძლება, ადამიანებმა ნორმალურად ისაუბრონ, არგუმენტებით იპაექრონ და არ იყოს ერთმანეთის პიროვნული შეურაცხყოფა. ჩვენ ხომ, გარდა იმისა, რომ ევროპელები ვართ, კავკასიელები ვართ და ჩვენთვის პიროვნული შეურაცხყოფა ძალიან მძიმეა. ჩვენ ყოველ საღამოს ჩვენს ოჯახებთან უნდა მივიდეთ და ჩვენს ბავშვებს ჩავხედოთ თვალებში. სწორედ ამიტომ გვინდა, სხვებს მივცეთ მაგალითი, რომ ასეთი სტილის პოლიტიკა საქართველოში უნდა დასრულდეს. უნდა დასრულდეს პოლიტიკა, როდესაც ადამიანის ღირსება არაფრად ღირს. ჩვენ განვითარების ისეთი დინამიკა უნდა შევქმნათ, ისე გავაფერადოთ და ავაგუგუნოთ ჩვენი ქვეყანა, რომ არც ერთი ადამიანის ზურგზე არ გადავიაროთ, რადგან არც ერთი გზა და ესტაკადა არ ღირს არც ერთი დაჩაგრული ადამიანის შვილის ცრემლად. ეს არის ჩვენი მთავარი პრინციპი და უზენაესი, რის გარშემოც ვერთიანდებით“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ახლა საჭიროა სწრაფი განვითარება იმისთვის, რომ თითოეულ ოჯახში მივიდეს სიკეთე და კეთილდღეობა, თითოეულმა ოჯახმა იგრძნოს ქვეყანაში განვითარების პროცესი.

მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ ოთხი წლის თავზე, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, თვისობრივად ახალ საქართველოს მივიღებთ.

„ჩვენთვის მთავარია, დავასრულოთ სიძულვილი და საფუძველი ჩავუყაროთ ნორმალურ ურთიერთობებს, ნორმალურ პოლიტიკას. თუნდაც, ავიღოთ მეზობლებთან მიმართებაში – დიახ, ჩვენ გვაქვს უმწვავესი პრობლემები, ოკუპაციის პრობლემა, ათასობით ადამიანი დაიღუპა საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი შვილების, ჩვენი მომავალი თაობის წინაშე, არ გვაქვს არანაირი მორალური უფლება, ჩვენს ემოციებს გადავაყოლოთ მათი მომავალი. როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და უზრუნველვყოთ, რომ თავიდან ავიცილოთ უარესი მომავალში, თავიდან ავიცილოთ რისკები. ჩვენ უნდა შევქმნათ სტაბილური, მშვიდი მომავლის პერსპექტივა, რათა ადამიანები, დილით გაღვიძების შემდეგ, საუზმის დროს არ უყურებდნენ წინა საღამოს პოლიტიკურ თოქ-შოუს, თუ როგორ ჭამენ ადამიანები ერთმანეთს, არამედ ფიქრობდნენ იმაზე, რა გააკეთონ საკუთარი ოჯახისთვის, საკუთარი ქვეყნისთვის და უკეთესი მომავლისთვის. ასეთი ადამიანები ვართ ჩვენ და ასეთი საქართველო გვინდა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, „ქართულ ოცნებას“ სურს ქვეყანა, სადაც ადამიანებს უსამართლოდ არ ჩაგრავენ, სადაც უკეთესი ქვეყანა შენდება ისე, რომ მოქალაქეების ღირსება არ ილახება.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე. მისი შეფასებით, დღეს უპრეცედენტოდ დიდი ყურადღება ეთმობა მცირემიწიან ფერმერთა დახმარებას საგაზაფხულო ხვნა-თესვაში, არსებობს გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების სპეციალური პროგრამა – „დანერგე მომავალი“, კოოპერატივების წახალისების პროგრამა.

„კოოპერატივი ძვირფასია ჩვენთვის, რადგან კოოპერაცია გულისხმობს იმას, რომ ადამიანები ინარჩუნებენ თავიანთ საკუთრებას და ერთიანი სახელმწიფო პროგრამის ქვეშ ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილება ისე, რომ არც ერთი ადამიანი არ კარგავს საკუთრებას თავის მიწასა და ქონებაზე. ამ მიდგომის შედეგად, ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი ჩავუყარეთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას. ორი დღის წინ, მე შევხვდი 150 სრულიად ახალ ფერმერს, რომლებმაც ამ პროგრამების შედეგად შექმნეს ახალი სასოფლო-სამეურნეო წარმოებები. ვიღაცეები იკითხავენ, სად არის ქარხნები, საიდანაც ბოლი ამოდისო. ძალიან მნიშვნელოვანია და არაფრით ნაკლებია მეცხოველეობის ფერმა, ყველის ახალი საწარმო და ა.შ. 150 ასეთი ადამიანი, ზოგიერთი – მსხვილი, ზოგიერთი წვრილი ფერმერი საუბრობდა იმაზე, როგორ დაიწყეს ნულიდან ახალი ცხოვრება, შექმნეს ახალი საწარმო და როგორ უზრუნველყოფენ არა მხოლოდ თავიანთ ოჯახებს, არამედ ასაქმებენ ათობით და ასობით ადამიანს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და აღნიშნა, რომ სწორედ ეს არის ის საფუძველი, რომელიც მთავრობის ოთხპუნქტიან სამოქმედო გეგმასთან ერთად, დღეიდან ოთხი წლის თავზე თვისობრივად განსხვავებულ ქვეყანას შექმნის.

ლაგოდეხის მოსახლეობას სიტყვით ასევე მიმართა ვიცე-პრემიერმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ და აღნიშნა, რომ მმართველმა გუნდმა თითოეულ ადამიანს დაუბრუნა ყველაზე მთავარი-ღირსება და თავისუფლება.

„ძალიან მიხარია, რომ ამდენი გულანთებული თანამოაზრე შევიკრიბეთ დღეს. ჩვენ 4 წლის განმავლობაში, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან, მოვახერხეთ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, თითოეულ ადამიანს დავუბრუნეთ ღირსება, თავისუფლება. მე მეამაყება ნამდვილად, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე არის თავისუფალი, დღეს ქვეყანაში განსხვავებული აზრის გამო ადამიანებს არ დევნიან. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანები არ იდევნებიან, არ აშანტაჟებენ მათ. ჩვენ დავამტკიცეთ ძალიან მოკლე დროში, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა ქვეყნის მართვა რეპრესიების გარეშე, ტერორის გარეშე, ადამიანების ჩაგვრის გარეშე და ჩვენ გაძლევთ პირობას, რომ საქართველოში არასდროს არ დაბრუნდება ისეთი მთავრობები, ხელისუფლებები, რომლებიც შეურაცხყოფას მიაყენებენ თავიანთ მოქალაქეებს, გათელავენ მათ ღირსებას. ჩვენთვის მთავარი და მნიშვნელოვანია ადამიანი, ადამიანის კეთილდღეობა, ყველა ჩვენი გადადგმული ნაბიჯი არის განპირობებული თქვენი სიყვარულით, ჩვენი მოქალაქეების, სამშობლოს სიყვარულით“,-განაცხადა კახა კალაძემ.

ვიცე-პრემიერმა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა.

„შეიძლება ამ 4 წლის განმავლობაში შეცდომები იყო, ამისგან დაზღვეული არავინ არის, თუმცა ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 4 წლის წინ საფუძველი ჩაეყარა ძლიერი, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მშენებლობას. ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი, პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებული გუნდი, გვყავს ძლიერი პრემიერ-მინისტრი, ჩვენი ლიდერი, რომელიც არის საქმეზე, ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობაზე ორიენტირებული. მე დარწმუნებული ვარ თქვენი თანადგომით, ჩვენი ერთსულოვნებით აუცილებლად გავიმარჯვებთ, და ეს იქნება გამარჯვება არა მხოლოდ ჩვენი მხარდამჭერების, არამედ სრულიად საქართველოსი, ეს იქნება იმ დემოკრატიული გზის გაგრძელება, რომელიც ჩვენ 2012 წლის 1 ოქტომბერს ყველამ ერთად დავიწყეთ“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

### ახმეტა

ქვეყნის მთავრობა და ბიუროკრატიული აპარატი უნდა გარდავქმნათ ისე, რომ იყოს უფრო მეტად ორიენტირებული მოსახლეობის, საქმიანი ადამიანების საჭიროებებზე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ახმეტაში, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, **გელა სამხარაულის** წარდგენისას განაცხადა.



გიორგი კვირიკაშვილმა გელა სამხარაულზე საუბრისას აღნიშნა, რომ ის ძალიან ბევრს შრომობდა სასოფლო-სამეურნეო და მთის რეგიონების განვითარებისთვის.

„დარწმუნებული ვარ, ის ყველა ჩვენგანთან ერთად ხმალამოღებული დამცველი იქნება თითოეული თქვენგანის ინტერესების“, -მიმართა ახმეტელებს გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ახმეტის ყოფილ მაჟორიტარს ზურაბ ზვიადაურს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ის გუნდში რჩება.

მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში ძირეული რეფორმები განხორციელდება მმართველობაში.

“ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, ამ პერიოდის განმავლობაში რა ცვლილებები უნდა განვახორციელოთ ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურის სწრაფი განახლებისთვის, რათა სრულად დასრულდეს ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა, ტურისტული მიმართულებებით გზების მშენებლობა ტურიზმის განვითარების მიზნით. ახმეტას ეს პირდაპირ შეეხება, ვინაიდან ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს, თუ როგორ გავზარდოთ ახმეტის სატრანზიტო ფუნქცია. საინტერესო გეგმები გვაქვს თუშეთის მიმართულებითაც”, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ასევე გაწერილია კონკრეტული გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა 4 წლის განმავლობაში ფუნდამენტურად შეიცვალოს განათლების სისტემა, პედაგოგი იყოს უფრო დაფასებული.

“ისინი ნამდვილად იმსახურებენ მეტ დაფასებას სახელმწიფოს მხრიდან“, -აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, 2011 წელს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება პარტიის შექმნის შესახებ და 2012 წლის შემოდგომაზე მოხდა ძირეული გარდატეხა ქვეყნის პოლიტიკურ სინამდვილეში.

“თქვენ გახსოვთ 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანია, თუ რა ხდებოდა: ზეწოლა, ქვების სროლა, ჩაქოლვები. დღეს არაფერი ამის მსგავსი არ ხდება. მხოლოდ რამდენიმე ინციდენტი მოხდა. შევეცდებით, ეს აღარ განმეორდეს. ამ 4 წლის განმავლობაში მოვაგვარეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორიც არის ჩვენი მოსახლეობის ჯანდაცვა. დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, აღარ არის საჭირო უკანასკნელი ქონების გაყიდვა, რომ ოჯახის წევრს უმკურნალო. არასოდეს ყოფილა სახელმწიფოს მხრიდან ამხელა ყურადღება სოფლის მეურნეობაზე, როგორც არის დღეს. ჩაყრილია საფუძველი, რათა თითოეული თქვენგანის ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში ამას აუცილებლად მივაღწევთ“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება სტაბილურობაზე გაამახვილა. მისი თქმით, სტაბილურობის გარეშე შეუძლებელია სამომავლო გეგმებზე საუბარი.

„გონივრული საგარეო პოლიტიკის მეშვეობით ჩვენ შევძელით ის, რომ კიდევ უფრო დავუახლოვდით დასავლეთს და ამავე დროს ავიცილეთ საფრთხეები რუსეთთან მიმართებაში.

ჩვენი შემდგომი ამოცანაა, ვისაუბროთ ურთიერთობების ნორმალიზაციაზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერანაირი კომპრომისი ვერ იქნება ტერიტორიული მთლიანობის და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის საკითხებში“, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ახმეტის მოსახლეობას სიტყვით მიმართა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გელა სამხარაულმაც.

მაჟორიტარობის კანდიდატმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გადაწყვეტილებით ახმეტაში ვითარდება ინფრასტრუქტურა, როგორც საგზაო, ასევე შემდგომში ლოჯისტიკური თვალსაზრისით და ამ ყველაფერს ტურიზმის განვითარება მოჰყვება.

„ასევე მინდა აუცილებლად ავღნიშნო და კიდევ ერთხელ გაგახსენოთ, ძალიან დიდი დანაშაული წინა ხელისუფლების, რაც ახმეტელების მისამართით ჩაიდინა. მოგეხსენებათ, ხე-ტყის მრეწველობა ახმეტისთვის ყოველთვის ტრადიციული დარგი იყო და უამრავი ადამიანი იყო ამ მიმართულებით დასაქმებული. როდესაც გაყიდეს გრძელვადიანი ლიცენზია და ფაქტობრივად, ეს რესურსი აღარ გახდა ხელმისაწვდომი ახმეტელებისთვის, პირიქით, მას შემდეგ უბედურების მომტანიც კი არის ზოგიერთი ოჯახისთვის. ამ საკითხზე სწორედ პრემიერთან შეთანხმებით ჩვენ ვმუშაობთ. დღეს რა ხდება რეალობაში, ეს რესურსი იჭრება, მორის სახით გადის დასავლეთ საქართველოში, იქ იხერხება და იყიდება უცხოეთში, იმის მაგივრად, რომ აქ ადგილზე ამუშავებულიყო წარმოება, აქ ადგილზე დასაქმებულიყო ხალხი, თან უამრავი ამ მიმართულების სპეციალისტი ცხოვრობს ახმეტაში, მათ ეს სიკეთე არ ადგებათ. ამიტომ, ჩვენ უახლოეს მომავალში, სწორედ ზეგ გვექნება შეხვედრა ამ საკითხზე გარემოს დაცვის სამინისტროში და გვინდა, რომ წარმოგიდგინოთ უკვე ახალი ხედვა, თუ როგორ შეიძლება სწორედ ჩვენი ხელისუფლების, სახელმწიფოს ჩარევით, ეს რესურსი გახდეს ხელმისაწვდომი და ახმეტას კვლავ დაუბრუნდეს ის ფუნქცია, რომ ადგილზე შეიქმნას დამატებული ღირებულება და გახდეს სიკეთე ჩვენი მოსახლეობისთვის. გეგმები მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს“,-განაცხადა გელა სამხარაულმა.

მაჟორიტარობის კანდიდატი დარწმუნებულია, რომ თითოეულ ადამიანს გაცნობიერებული აქვს „ქართული ოცნების“ ხედვა და 8 ოქტომბერს სწორ არჩევანს გააკეთებენ.

„მე მჯერა თქვენი სიბრძნის, მჯერა იმის, რომ თქვენ გააკეთებთ რეალურ არჩევანს და მხარს დაუჭერთ „ქართულ ოცნებას“,-აღნიშნა გელა სამხარაულმა.





## ყვარელი

ჩვენ უნდა დავამშვიდოთ საზოგადოება, აღარ უნდა იყოს კონფრონტაცია, ერთმანეთთან დაპირისპირება; შეიძლება, ყველა ერთ აზრზე არ ვიყოთ, მაგრამ უნდა არსებობდეს სულისკვეთება საზოგადოებაში, რომ ყველანი ერთად ერთ სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ყვარელში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც ყვარლისა და თელავის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“ **ირაკლი სესიაშვილი** წარადგინა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ყვარელი არის საქართველოს მარგალიტი, უმშვენიერესი ადგილი, რომელსაც ყოველთვის გამორჩეული ინტელიგენცია ჰყავდა. გიორგი კვირიკაშვილმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღეს პედაგოგი უფრო დაფასებულია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთიან რეგიონებს, არსებობს „მთის კანონი“, რომლის მიხედვითაც პედაგოგები, ექიმები, ექთნები და კერძო სექტორის წარმომადგენლები შეღავათებით სარგებლობენ. „დღეს ჩაყრილია საფუძველი იმისთვის, რომ საქართველოში ყველა ოჯახმა იგრძნოს კეთილდღეობა. ბევრი რამ არის გასაკეთებელი, განსაკუთრებით რეგიონებში. ჩვენ ვმოგზაურობთ საქართველოს ყველა რეგიონში, ვხვდებით ადამიანებს და ჩანს რამხელა განსხვავებაა ქალაქსა და სოფელს შორის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ რეგიონებში, რაიონებში, სოფლებში იყოს ყველა ინფრასტრუქტურა და ცხოვრების ის კომპონენტები, რომელიც პრაქტიკულად მოშლის განსხვავებას. რა თქმა უნდა, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება იქნება, მაგრამ ინფრასტრუქტურულად, ყველაფერი ის, რაც არის ქალაქში, უნდა იყოს ხელმისაწვდომის სოფლად. ჩვენ წამოვიწყეთ უპრეცედენტოდ ამბიციური პროექტი, რომ საქართველოს 2000 დასახლებულ პუნქტში მივიდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი, სწრაფი ინტერნეტი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, უპირველეს ყოვლისა, განათლების სისტემისთვის, როდესაც შესაძლებელი გახდება სოფლის სკოლებში, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, ტელეხიდების მეშვეობით, სასწავლო გაკვეთილების ჩატარება. ეს ყველაფერი რეალობაა, დაწყებულია და გვაქვს ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმა, რომლის მიხედვითაც, არჩევნების მეორე დღიდან ოთხი წლის თავზე, ჩვენ თვისობრივად ახალი საქართველო უნდა მივიღოთ – საქართველო, რომელშიც იქნება თვისობრივად განსხვავებული განათლების სისტემა, როდესაც პედაგოგი იქნება კიდევ უფრო დაფასებული. ნამდვილად დაიმსახურეს ჩვენმა პედაგოგებმა, რომ ჩვენ ისინი მუდმივად არ ვატეროროთ გამოცდებით, არამედ აქცენტი გადავიტანოთ კვალიფიკაციის ამაღლებაზე“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურმა განმარტა, რომ ფუნდამენტური რეფორმა განხორციელდება უმაღლესი განათლების სისტემაში, რათა ახალგაზრდებმა ოთხი წელი არ დახარჯონ იმ სპეციალობებზე, რომლებიც ნაკლებად მოთხოვნადია; არამედ, ყურადღება გამახვილდება და სახელმწიფო რესურსი დაიხარჯება უფრო მოთხოვნად სპეციალობებზე, რათა ადამიანი უმაღლესი განათლების მიღებისთანავე დასაქმდეს.

„ჩვენ გვექნება პროფესიული გადამზადების პროგრამები არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის, არამედ ყველასთვის. ჩვენ არც ერთი ადამიანის რესურსი არ უნდა დავკარგოთ, არც ახალგაზრდის, არც შუახნის ადამიანების და არც ხნიერების“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. მისივე თქმით, მთავრობას ასევე კონკრეტული გეგმა აქვს, როგორ უნდა შეუწყოს ხელი კერძო სექტორს. გიორგი კვირიკაშვილმა გამოყო მცირე სასტუმროების

14 გვ.

13 გვ.

წასახალისებელი პროგრამა – „უმასპინძლე საქართველოში“, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. პრემიერმა აღნიშნა, რომ პირველი იანვრიდან მოგების გადასახადი აღარ იქნება, თუ მოგებული თანხა ბიზნესში ჩაბრუნდება; ასევე, 2017 წლის ბოლოდან ამოქმედდება თვისობრივად განსხვავებული საპენსიო სისტემა, ხოლო არსებული პენსიონერების უზრუნველყოფას, მთავრობა ეკონომიკურ ზრდას შეუსაბამებს.

თელავისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი სესიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება სხვადასხვა მიმართულებით რეგიონის პოტენციალზე გაამახვილა.

„ჩვენ დღეს, პირველი, რაც შეგვიძლია თქვენ შეგპირდეთ და სიტყვა ვთქვათ, არის ის, რომ უნდა გავერთიანდეთ სიკეთის გარშემო. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ საერთო ქვეყნის, უსაფრთხოების, მშვიდობის, სტაბილურობის გარშემო და რა თქმა უნდა, ამ სიკეთემ უნდა მოუტანოს თითოეულ ჩვენთაგანს კეთილდღეობა. ამ რეგიონს და მთლიანად კახეთს აქვს გამორჩეული პოტენციალი თავისი სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებით, ტურისტული შესაძლებლობებით. ყველაფერს თავი დავანებოთ – ეს არის მშრომელი ხალხი და არცერთს არ გვეპარება ეჭვი, რომ ამ რეგიონს, ჩვენს რეგიონებს აქვს ძალიან სერიოზული პერსპექტივები. ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მეც თქვენთან ერთად მინდა ვიყო მაქსიმალურად ჩართული ჩემი ენერგიით, ჩემი ძალღონით, ჩემი შესაძლებლობებით და მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი მაქვს და იმაზე მეტს უნდა ელოდეთ, ვიდრე თითოეულ თქვენთაგან წარმოგიდგენიათ“, - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა. მისივე თქმით, პატრიოტიზმი ერთგულების გარეშე არ შეიძლება. „ერთგულება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი, თუმცა სიყვარული პასუხისმგებლობის გარეშე არ არსებობს და აი ამ პასუხისმგებლობით მოვდივარ. თითოეულ თქვენთაგანს, პირველი, რაც შემიძლია გითხრათ არის ის, რომ მე ვიქნები ის ადამიანი, რომელიც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოიყენებს. ჩემი პასუხისმგებლობით ვეცდები და გავაკეთებ კიდევაც იმას, რომ, ყველა ის ინფრასტრუქტურული პროექტი, ყველა ის სიკეთე, რასაც „ქართული ოცნება“ მთელ ქვეყანას შესთავაზებს, რა თქმა უნდა, ამას მე თქვენთან ერთად, ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად, ამ ყველაფერს ჩვენს საყვარელ თელავსა და ყვარელს მოვუტან“,-აღნიშნა ირაკლი სესიაშვილმა.



## პრემიერ-მინისტრის კახა კალაძის სიტყვა მუხრანის მოსახლეობასთან

პირობას გაძლევთ, საქართველოში ვერასდროს დაბრუნდებიან ისეთი ხელისუფლებები, რომლებიც საკუთარ მოქალაქეებზე იძალადებენ, – ეს განცხადება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შტაბის უფროსმა, ვიცე-პრემიერმა **კახა კალაძემ** მუხრანში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა.

„ჩვენ ერთად ძალიან რთული გზა გამოვიარეთ ამ 4 წლის განმავლობაში. ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განვახორციელეთ ერთად. მე ნამდვილად მეამაყება ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს თითოეული მოქალაქის უფლებები არის დაცული. ჩვენი მთავარი მონაპოვარი არის ის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს მივეცით თავისუფლება. დღეს საქართველოში განსხვავებული აზრის გამო ადამიანები არ იდევნებიან; განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს ქუჩაში ხელკეტებით არ დასდევენ. მე ნამდვილად მეამაყება ის მშვიდი საარჩევნო გარემო, რომელიც თითოეული ჩვენგანის დამსახურებაა. ჩვენ კარგად გვახსოვს, 2011-12 წლებში, როცა ჩვენ საარჩევნო კამპანიას ვატარებდით, როგორი ზეწოლა იყო. ჩვენდა საუბედუროდ, თითოეულმა ჩვენგანმა ეს საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე, ახლობლებზე გამოვცადეთ, თუმცა საამაყოა ის, რომ ეს ყველაფერი ჩვენ წარსულს ჩავაბარეთ. გაძლევთ პირობას, საქართველოში არასდროს და ვერასდროს დაბრუნდებიან ისეთი ხელისუფლებები, რომლებიც იძალადებენ თავიანთ მოქალაქეებზე და დააშანტაჟებენ მათ“, – განაცხადა კალაძემ.

სიტყვით გამოსვლისას კახა კალაძემ „ქართული ოცნების“ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს თითოეული მოქალაქის გამარჯვება იქნება.

„საჭიროა ერთად დგომა, ჩვენი ერთსულოვნება იმისთვის, რომ ჩვენ მივაღწიოთ გამარჯვებას. ეს გამარჯვება არ იქნება მხოლოდ ჩვენი მხარდამჭერების, ეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას, მის სწორ განვითარებას. ამ გუნდის გამარჯვებასთან პირდაპირ კავშირშია საქართველოს მოქალაქეების გამარჯვება. ჩვენ ამას შევძლებთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ ჩვენი ხვალინდელი დღისთვის“, -დასძინა კახა კალაძემ.

მან წარმატებები უსურვა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს მცხეთის მუნიციპალიტეტში დიმიტრი ხუნდაძეს.

## გურიის მაჟორიტარობის კანდიდატები მოსახლეობას ხვდებიან

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გურიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **არჩილ თალაკვაძე** ოზურგეთელ სპორტსმენებს და მწვრთნელებს შეხვდა.

„თქვენ პასიურ ცხოვრებას და უიმედობას ხელი გადაუწიეთ; არაერთი მოწინააღმდეგე

დადეთ ბეჭებზე. სპორტი ყველასათვის უფრო მეტად უნდა გახდეს ხელმისაწვდომი და მაგალითის მიცემა თქვენ შეგიძლიათ“ – მიმართა არჩილ თალაკვაძემ ოზურგეთელ სპორტსმენებს.

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობ

კანდიდატმა აღნიშნა, რომ სპორტის სფეროში საჭიროა ინფრასტრუქტურის

განვითარება, სპორტსმენების მოტივირება და მაქსიმალური მხარდაჭერა.

შეხვედრას ასევე დაესწრო კალათბურთში არჩილ თალაკვაძის პირველი მწვრთნელი გურამ ლომაძე, რომელმაც კანდიდატს გამარჯვება, კარიერული წინსვლა და წარმატებები უსურვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების შუხუთისა და მამათის ამომრჩეველს შეხვდა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის

კანდიდატი თემურ ჭკუასელი. შეხვედრაზე ძირითადად ისაუბრეს 4 წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებზე, რომლებიც რეალურად დადებითად აისახა მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე. მოიწონეს ჯანდაცვისა და საყოველთაო დაზღვევის ახალი სისტემა, აღნიშნეს, რომ სოფლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. ისიც აღინიშნა, რომ რეალურად გრძნობენ

დემოკრატიის ხარისხის ზრდას და საშუალება აქვთ თავისუფლად გააკეთონ არჩევანი.



## ზაქარია ქუცნაშვილი ხევსურეთს ესტუმრა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის გაერთიანებული მაჟორიტარობის კანდიდატი ზაქარია ქუცნაშვილი ხევსურეთს ესტუმრა და მოსახლეობის პრობლემებს გაეცნო.

სოფელ როშკას, შატილის და მუცოს მოსახლეობამ მაჟორიტარობის კანდიდატთან როგორც საერთო, ასევე ინდივიდუალურ პრობლემებზე ისაუბრა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და ყველა საკითხს შეეხო, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა.



ამასთანავე, მაჟორიტარობის კადიდატმა ხევსურეთში, ზღვის დონიდან 2960 მ-ზე მშენებარე არხოტი-როშკას დამაკავშირებელი 28 კმ. გზის მშენებლობა დაათვალიერა და დასაქმებულ პირებს გაესაუბრა.

„ცდებიან ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს გზა მხოლოდ 8 ოჯახისთვის შენდება. გზა, რომელიც 21 საუკუნე არ არსებობდა ჩვენი ქვეყნის და მომავალი თაობებისთვის უმნიშვნელოვანესი შენაძენი იქნება. საქართველო მოიპოვებს კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობზე საავტომობილო წვდომას, რაც ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისათვის აუცილებელია. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეებისა და სტუმრებისათვის შექმნის კიდევ ერთ ტურისტულ მიმართულებას რეგიონში არსებული ბუნების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახით ,,, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

## გოჩა ენუქიძე ლენტეხის სოფლების მოსახლეობას შეხვდა

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რაჭა- ლეჩხუმსა და სხვანეთში გოჩა ენუქიძე ლენტეხის 13 სოფლის მოსახლეობას შეხვდა.

იგი ჩიხარეშის, ახალშენის, ბენიერის, ლაშხარამის, მარგვიშის, მახაშის, მელეს, ნაცულის, ღობის, შკედის, ცანას, ზესხოსა და ყორულდაშის მაცხოვრებლებს სტუმრობდა.

კანდიდატმა ადგილობრივებს გააცნო პარტიის ოთხპუნქტიანი გეგმა, ესაუბრა სამომავლო პროექტებზე, ჩაინიშნა ამომრჩევლის პრობლემები და დასახა მოცემული საკითხების გადაჭრის გზები.

„მზად ვარ, ვემსახურო ჩემს ქვეყანას. იმისთვის, რომ მოსახლეობა დაუბრუნდეს საკუთარ კარ-მიდამოს, უკეთესი პირობებითა და შეღავათებით უნდა გავანებივროთ ადგილობრივი მცხოვრები. უნდა მივცეთ მათ თანამედროვე პირობებით სარგებლობის საშუალება, მიმზიდველი გავხადოთ უცხოელებისთვის ლენტეხის მხარე“, – მიმართა ლენტეხის ადგილობრივ მაცხოვრებლებს გოჩა ენუქიძემ.

მაჟორიტარობის კანდიდატმა მოსახლეობას დიდი ინტერესის გამო მადლობა გადაუხადა.

## გოგი მეშველიანი: „მთის განვითარება ჩვენი პრიორიტეტია“

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოგი მეშველიანი ამომრჩეველთა ინფორმირებას აგრძელებს.

ამჯერად იგი მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლების - ხახალაჯვრის, წიფორისა და დარბაზის მოსახლეობას შეხვდა. ბოლნისის მუიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა ექვს სოფელს (დარბაზი, ხახალაჯვარი, ჭრეში, წიფორი, ბერთაკარი, ბალიჭი). მმართველი გუნდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ადგილობრივებთან მთავრობის მიერ 2012 წლიდან დღემდე სხვადასხვა სფეროში მიღწეულ შედეგებსა და განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. ამასთან, მოსახლეობას კიდევ ერთხელ განუმარტა, თუ რას ითვალისწინებს კანონი, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.

„ჩვენი პოლიტიკური ძალა ორიენტირებულია სწრაფ განვითარებაზე, რათა ადამიანებს შეუქმნათ უკეთესი პირობები. სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ- ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისკენ, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისკენ. ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ -ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას“,- განაცხადა „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოგი მეშველიანმა.



## ბექა ნაცვლიშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს” ისნის მე-10 ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი ბექა ნაცვლიშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს.

იგი ისნის რაიონის მოსახლეობას ეკონომიკური, სოციალური, დასაქმებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მისეულ ხედვაზე ესაუბრა.

ისნის მაჟორიტარობის კანდიდატმა ინდუსტრიული განვითარების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ისნის რაიონი წარსულში ძლიერი ინდუსტრიული დასახლება გახლდათ. აქ იყო უამრავი საწარმო და ფაბრიკა. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სამწუხაროდ, უგულებელყოფილი იყო ინდუსტრია, რამაც გამოიწვია ამ დარგის თითქმის სრული გაქრობა, რაც, რა თქმა უნდა, ისანზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ინდუსტრიულ რაიონზე, მძიმედ აისახა. ჩვენი რაიონის განვითარებისთვის აუცილებელია ამ პოტენციალის გამოყენება და ეტაპობრივი აღორძინება’’, – აღნიშნა ბექა ნაცვლიშვილმა.

დღეს ბექა ნაცვლიშვილი აწყურის, ქეთევან წამებულის, კობარეთისა და გუდარეხის ქუჩების მოსახლეობას შეხვდება.

## დიმიტრი მხეიძე: ადამიანების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება იყო, არის და იქნება „ქართული ოცნების“ ძირითადი მიზანი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ქუთაისის 48-ე ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიმიტრი მხეიძე წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობას ხვდება.

ამჯერად იგი დია ჩიანელისა და ავალიანის ქუჩების, ასევე გუმათის დასახლების მცხოვრებლებს შეხვდა. მოქალაქეების ძირითადი დაინტერესების საგანი სოციალური საკითხები, ეკონომიკა და სამედიცინო დაზღვევის პროგრამები იყო.

„ადამიანების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და უსაფრთხოება იყო, არის და იქნება „ქართული ოცნების» ძირითადი მიზანი. მე, როგორც ექიმი, კარგად ვიცნობ სამედიცინო სფეროში არსებულ გამოწვევებს და გპირდებით, მომავალში ეს სერვისი კიდევ უფრო მოხერხებული იქნება თქვენთვის“, - განაცხადა დიმიტრი მხეიძემ.

თავის მხრივ, მოსახლეობამ დაადასტურა, რომ საყოველთაო ჯანდაცვამ სააავადმყოფოების სერვისებით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახადა. ავალიანის ქუჩის მაცხოვრებლებმა კი დადებითად შეაფასეს ბოლო წლებში დასახლების კომუნალური სერვისების: გზების კეთილმოწყობა, წყლისა და გაზის სისტემების რეაბილიტაცია. ®



# გაუგონარი თავხედობაა, რომ ირაკლი აბესაძე სხვებს სდებს ბრალს, მაშინ როცა თვითონ უამრავი უკანონობა აქვს ჩადენილი



მერიის ყოფილი მაღალჩინოსანი ირაკლი აბესაძეს 128-ე სკოლის ეზოში მოჭრილ ნაძვის ხეებს ახსენებს.

„აბესაძეს თუ აღარ ახსოვს, შევახსენებ ბავშვებისთვის წართმეულ 128-ე სკოლის ეზოს, სადაც ექვსი უზარმაზარი ნაძვის ხე მოიჭრა. ამჟამად, იმ ნაძვების ადგილზე უზარმაზარი კორპუსია წამოჭიმული. რა უფლება აქვს კანონიერებაზე ილაპარაკოს აბესაძემ, რომელიც უკანონობის მონაწილე იყო?

ყაზბეგის გამზირზე ხეების მოჭრის გამო ატეხილ აჟიოტაჟს მერიის გენერალური ინსპექციის კორუფციასთან ბრძოლისა და საფინანსო შემოწმების განყოფილების ყოფილი უფროსი ეხმაურება. მერიის ყოფილ მაღალჩინოსანს უცნაურად ეჩვენება, რომ ხეების მოჭრის გამო ყველაზე ხმამაღალ განცხადებებს ნაციონალები და მათი მხარდამჭერები აკეთებენ, რადგან მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თბილისში და მთლიანად საქართველოში, მწვანე საფარი თითქმის განადგურდა. ცნობილია, რომ ტერიტორია, რომელზეც რომელზეც ნაძვები მოიჭრა და კორპუსის მშენებლობა იგეგმება, მაშინ გაიყიდა, როცა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას ირაკლი აბესაძე ხელმძღვანელობდა – ამბობს **იოსებ ჯუღელი** და საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა-თბილისის“ თავმჯდომარეს 128-ე სკოლის ეზოში მოჭრილ ნაძვებს ახსენებს:

„მოგეხსენებათ, როგორი ვნებათაღელვა გამოიწვია ყაზბეგის ქუჩაზე ხეების მოჭრის ფაქტმა. ვეთანხმები ადამიანებს, რომლებიც ხეების მოჭრას აპროტესტებენ, რადგან ისედაც საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში, თითოეულ ხეს მოფრთხილება და გაფრთხილება ჭირდება, მაგრამ ცოტა უცნაურია, როცა ამაზე ნაციონალები და მათი მხარდამჭერები საუბრობენ, რადგან მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თბილისში მწვანე საფარი თითქმის განადგურდა. ამასწინათ, ნაციონალური მოძრაობის წევრმა ირაკლი აბესაძემ საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ყაზბეგის ქუჩაზე ათობით ხის უკანონოდ მოჭრის ფაქტმა მერიაში სისტემური ხარვეზების არსებობა დაადასტურა. ამას ამბობს ადამიანი, რომლის უშუალო მონაწილეობითა და ხელშეწყობით გასხვისდა ყაზბეგის 24 მდებარე მიწის ნაკვეთი და სხვა, კანონით დაცული ტერიტორიები. საინტერესოა, როცა მიწის გასხვისების საბუთებზე ხელს აწერდა, როგორ წარმოედგინა ხეების გაჩეხვის გარეშე, უზარმაზარი კორპუსების აშენება? აბესაძეს შევახსენებ, ბავშვებისთვის წართმეულის-კოლის ეზოს, სადაც ექვსი უზარმაზარი ნაძვის ხე მოიჭრა. ბატონო ირაკლი, 128-ე სკოლის გაყიდული ეზო და გაჩეხილი ნაძვები გახსოვთ? ისიც გემახსოვრებათ, რომ იმ ნაძვების ადგილზე დღეს კორპუსია წამოჭიმული. გაუგებარია, რა უფლებით საუბრობთ კანონიერებაზე, როდესაც უკანონობის მონაწილე ბრძანდებით?

იოსებ ჯუღელი 128-ე საჯარო სკოლის ეზოს გაყიდვასაც იხსენებს და ამბობს, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან მისი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი ეს სკოლა გახდა.

მერიის გენერალურ ინსპექციაში მუშაობის პერიოდში, განცხადებით მომმართეს ვაჟა-ფშაველაზე მდებარე 128-ე სკოლის მოსწავლეების მშობლებმა. საკითხის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ თბილისის იმდროინდელმა მთავრობამ კანონდარღვევით გაასხვისა სკოლის ნაკვეთი. მთავრობის უკანონო გადაწყვეტილება გავაუქმეთ, მაგრამ სკოლის ტერიტორიის გადარჩენა ვერ მოვახერხეთ, რადგან ხელისუფლებაში მოსულმა ნაციონალებმა ამ დარღვევის გამო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი დააპატიმრეს და იგივე მიწის ნაკვეთი 2005 წელს გაასხვისეს. ნარმანიასა და „ქართული ოცნების“ დამცველად არ გამოვდგები, მაგრამ ხეების დაცვის მიზეზით დაწყებული კამპანია ძალიან მახსენებს 90-იან წლებს, როცა გარკვეული ძალები ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდნენ. შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ირაკლი აბესაძემ მერიიდან თანამშრომლების გაშვებაზე განგაში ატეხა, მაშინ, როდესაც მათი ხელისუფლების დროს, თანამშრომლებს მასიურად დააწერინეს განცხადებები და უკლებლივ ყველა სახლში გაუშვეს. აბესაძესთან სატელევიზიო დებატებში დაჯდომის საშუალება რომ მქონოდა, აუცილებლად ვეტყოდი, რომ მარტო ყაზბეგზე კი არა, სადაც კი ხეები იჭრება, ყველა ტერიტორია მისი გასხვისებულია. გაუგონარი თავხედობაა, რომ ეს ადამიანი სხვებს სდებს ბრალს და ამომრჩეველთან თავს იწონებს. ირაკლი აბესაძე მიწის ლეგალიზების კომისიას 2008 წლიდან ხელმძღვანელობდა და ყველამდე ჩაფლული იყო კორუფციის წუმპეში. სწორედ, ამის დასამტკიცებლად ვიწვევდი დებატებში და არ დამთანხმდა. ამ ადამიანის და მისი დანაშაულის დამადასტურებელი უამრავი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ პასუხი აგონ, ეს ხალხი ხელისუფლებაზე მასირებულ შეტევას ახორციელებს. ვიმეორებ, ხეების ჭრა, ქალაქში არსებული მწვანე ზოლების განადგურება და მათ ადგილზე კორპუსების მშენებლობები ნაციონალების დროს და უშუალოდ აბესაძის ხელდასხმით დაიწყო, ამიტომ ამ ადამიანს და მის თანამოაზრეებს არავითარი უფლება არა აქვთ სხვებს შეცდომებზე მიუთითონ და საარჩევნოდ ქულები იწერონ.





**ნელი თორდია**
571 35 36 88

## მამა ბასილი (მკალავიშვილი):
# არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ, რომის პაპმა მესა ჩაატაროს საქართველოში!



ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან **მამა ბასილ მკალავიშვილთან**.

**— მამაო, როგორც ვიცით, საქართველოს პრეზიდენტმა თანხმობა არ მისცა რეფერენდუმის ჩატარებას, რომ ქორწინება არის ერთობა მამაკაცსა და ქალს შორის, მიუხედავად იმისა, რომ 224 000 ხელმოწერა იყო შეგროვილი.**

— ახლა მე გეკითხებით თქვენ, საქართველოს ჰყავს კი პრეზიდენტი, რომელიც დამოუკიდებლად, სხვისი ბრძანების გარეშე მიიღებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლო გადაწყვეტილებას?

მარგველაშვილი „ენ-დი-აის“ და სოროსის ფონდის ქართული ფილიალების დამფუძნებელი, ოს თავისუფლების ინსტიტუტის სათავეებთან, რომელსაც ჯორჯ სოროსი აფინანსებდა და დღეს უშუალოდ ამერიკის ელჩის მითითებით მოქმედებს. მე მიკვირს, ბატონი ბიძინა როგორ შეცდა მის ამოცნობაში? ის ურწმუნო, რომელიც ქართველებს დებილებად მოგვიხსენიებს. გიკვირთ, რომ არ დაეთანხმა რეფერენდუმს? მარგველაშვილს ავიწყდება, ვისი მეშვეობით მოვიდნენ ხელისუფლებაში. სანამ მიზანს მიაღწევენ, ხალხს დახმარების პირამიდებს უგებენ, შემდეგ კი ავიწყდებათ ყოველივე, მხოლოდ პირადი ცხოვრების მოწყობით შემოიფარგლებიან. მარგველაშვილს „გეების“ პრეზიდენტობა უფრო მოუხდებოდა.

გაითვითცნობიეროს მარგველაშვილმა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრია, ის არ დაუშვებს, ქრისტეს მიმდევარმა ერმა სოდომია დაიმკვიდროს, თუმცაღა დიდია ამის მცდელობა, რომელსაც, გარწმუნებთ, აღსრულება არ ეგების.

მივმართავ ქართველ ხალხს! გვიახლოვდება საპარლამენტო არჩევნები. არავითარ შემთხვევაში ხმა არ მისცეთ იმ პარტიების წარმომადგენელთ, რომელნიც წინააღმდეგნი არიან რეფერენდუმისა, რამეთუ ქვეყანაში ხალხის მასა არის პრიორიტეტული ძალა ერის საარსებო საკითხების გადაწყვეტისას. პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი, არად დაგიდევთ მართლმადიდებლობას. იმდენად უმეცარია, აცხადებს, როგორ არის საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი, როცა ღმრთისმშობელი საქართველოში არც ყოფილაო. ჩვენი სახელოვანი წინაპრები ბიბლიაზე, სახარებაზე ფიცს დებდნენ. საინტერესოა, უსუფაშვილს საერთოდ გაუხედავს ამ წმიდა წიგნებისკენ? იგი აცხადებს, რომ მსუბუქი ნარკოტიკის მიღება პრობლემა არ არის, ის არ ვნებს პიროვნებას, არც ოჯახს, არც საზოგადოებას. აი, ასეთი ადამიანი განაგებს პარლამენტს.

**— მამაო, როგორც ვიცით, სექტემბრის ბოლოს საქართველოში ჩამოდის რომის პაპი. რას გვეტყოდით ამასთან დაკავშირებით?**

— მამა ღმერთმა თავისი ძე, იესო ქრისტე მოგვივლინა კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად. ის ჯვარს ეცვა ჩვენთვის, დაეფლა და აღსგა დიდებით. მან გამოირჩია 12 მოწაფენი-მოციქულნი, ასევე 70 ჩვეულებრივი მოციქულნი, რომელთაც მთელ მსოფლიოში იქადაგეს ერთი, ჭეშმარიტი-მართლმადიდებელი სარწმუნოება, დაგვიტოვეს მცნებები, რომლებიც დოგმა არს და არანაირი ცვლილება არ ეგების უფლის მეორედ მოსვლამდე. სამწუხაროდ, მე-6 საუკუნითგან მოყოლებული, მართლმადიდებლობას ნელ-ნელა გამოეყვნენ და შექმნეს თავიანთი სარწმუნოება, ხოლო მე-11 საუკუნეში რომის პაპის მეთაურობით კათოლიკეები გამოეყვნენ და ვინც მათ მხარეზე არ გადავიდოდა, სარწმუნოებრივ ომს უცხადებდნენ. წმიდა ათონის მამები წინ აღუდგნენ კათოლიკეებს, რამეთუ მათ უარყვეს მე-7 მსოფლიო კრების წმიდა მამათა დადგენილებები. მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს სულ მცირე, 38 მუხლი გვაშორებს. ამათგან ძირითადია: შეცვალეს წირვა-ლოცვის მიმდინარეობა, არ ინახავენ მარხვას, არ ეზიარებიან ქრისტეს სისხლსა და ხორცს, პირჯვარს უკუღმა იწერენ, ქრისტეს ორ ბუნებას და მრწამსის დოგმატს არ აღიარებენ. მათ უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს, როცა წმიდა ათონის მთის მონასტრის მამებს ომი გამოუცხადეს და სასტიკად აწამეს. მოთხოვეს გადასულიყვნენ კათოლიციზმზე. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, რომის პაპი ილტვის მსოფლიო ჰეგემონობა მოიპოვოს და ყველა კათოლიციზმს დაუმორჩილოს. სწორედ რომის პაპის დაჟინებითი თხოვნით, მსოფლიო პატრიარქმა მოიწვია ე. წ. მე-8 მსოფლიო ქვაბ-ავაზაკთა კრება, სადაც მიზნად დაისახეს, დადგენილიყო, მართლმადიდებლებს და კათოლიკეებს ერთად ელოცათ, რაც სჯულის კანონის თანახმად, დაუშვებელია. რომის პაპმა, სადაც კი ფეხი დადგა, ყველგან უბედურება მიიტანა. უკრაინაში მესის დროს გაშვებულ მტრედებს ყვავი დაესხა და დაგლიჯა. ამის შემდეგ დაიწყო უკრაინაში ომი. უკრაინამ დაკარგა ყირიმი, რამეთუ იქ იყო სიბილწის მორევი, სოდომ-გომორის ცოდვა ტრიალებდა.

ამჯერად ჩვენთან ვინც მოიწვია რომის პაპი, მკაცრად დაისჯება ღვთისგან. ჩვენ, ქართველმა მართლმადიდებლებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომის პაპმა მესა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატაროს. ვაფრთხილებ ქართველთ, ვინც მესას დაესწრება, მათი ცოდვები შთამომავლობაზე გადავა, ამიტომ თავი შეიკავეთ და ნუ დაესწრებით.

**— მამაო. ვინ მოიწვია რომის პაპი საქართველოში?**

— როგორც ვიცი, რომის პაპი პრეზიდენტმა იტალიაში ყოფნის დროს მოიწვია. არა მგონია, მის ჩამოსვლას საქართველოში საპატრიარქოს ყველა წარმომადგენელი უჭერდეს მხარს. ვინც მიესალმება მის ჩამოსვლას, ის სააკაშვილის მომხრე იქნება, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, შემოძვრეს საქართველოში. პირველ მცდელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მისი ცოლი სამეგრელოში მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატად წარადგინა. ვერ ვირწმუნებ, სამეგრელომ აირჩიოს რულოვსი და თუ ეს მოხდა, ეს მეგრელთა უმძიმესი შეცდომა იქნება.

ახლა მინდა თქვენი ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე შევაჩერო. როგორც ვიცით, საქართველოს ეკლესია სხვა ქვეყნებთან ერთად არ წასულა ე. წ. მე-8 მსოფლიო კრებაზე. მიუღებლად მიიჩნიეს კრების მიერ დასადგენი საკითხები, რის გამოც მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელთაგან დიდი გულისწყრომა და ლანძღვა დაიმსახურეს.

ათეული წლების წინ პროტესტი გამოვხატე მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში საქართველოს ეკლესიის ყოფნის გამო. ასევე პროტესტი გამოვხატე სულიწმიდის მგმობელი იეღოველთა ძირგამომთხრელი ქმედებისადმი, რომელიც მიმართული იყო, აღმოეფხვრათ საქართველოში მართლმადიდებლობა, რომელიც იმართებოდა ჯორჯ სოროსისგან. მე ჩემს მრევლთან ერთად ვიბრძოდი სარწმუნოების დაცვისთვის, რის გამოც საპატრიარქოს მესვეურთა გულისწყრომა დავიმსახურე და „განკვეთილად“ გამომაცხადეს. მე ვიმოქმედე დიდი სჯულის კანონის საფუძველზე და დღესაც ვაგრძელებ ჭეშმარიტ ლოცვა-ვედრებას უფლისა მიმართ. ლოცვას საქმესაც ვუსადაგებთ, რის გამოც ღმერთმა მოგვაგო ულამაზესი, გრანდიოზული ტაძარი. ე. ი. გამოდის რა. მე თუ განკვეთილი ვარ, საპატრიარქოც განკვეთილი გამოდის მსოფლიო ეკუმენისტური ეკლესიიდან. კომენტარი თქვენთვის მომინდვია...

ჩვენ, გლდანის მართლმადიდებელმა ეპარქიამ, დიდი წვლილი შევიტანეთ სააკაშვილის სატანური რეჟიმის დამხობაში. 2012 წლის არჩევნების დროს ჩემი მრევლის 1500-მდე წარმომადგენელი მუშაობდა „ოცნების„ საარჩევნო უბნებზე.

ამჟამადაც კვლავ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა პირსისხლიანი, ქართველთმოძულე სააკაშვილი არ დაბრუნდეს საქართველოში.

დაბოლოს, ჩემო მრავალტანჯულო ერო, რომელმაც არაერთხელ იწვნიე გოლგოთის გზა. მიუხედავად გარსშემოხვეული უამრავი მტრისა, თავი არ დაგიხრია და შემართებით მიაბიჯებ ქრისტეს გზაზე, ვერავინ მოგერევა!

სწორედ ახლა გავდივართ უდიდეს გამოცდას. ვდგავართ არჩევანის წინაშე: ჯვარი თუ პური. ჩვენ ჯვარს ვირჩევთ, რომელიც მიგვაახლებს ზეციურ ეკლესიას.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ძლიერი რეგიონები



ვანი

## სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ვანში

ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. სოფელ მუქედში სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.

საქართველოს მთავრობის N 1409 განკარგულებით, სოფელ მუქედში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილია 390 200 ლარი, რაც 23 სხვადასხვა დასახელების სამუშაოს მოხმარდება.

სოფელში მოეწყობა 4 საბოგირე გადასასვლელი, 9 ხიდი, გაბიონი და ბორდიურები, დაიგება ბეტონის გზა. დაგეგმილია აგრეთვე არხების ამოწმენდისა და მოსახლეობის ნაკვეთებს შორის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ვადების დაცვით, ხარისხიანად ხორციელდება.

## გურჯაანი – სოფელ დარჩიეთს ახალი გზა ექნება

სოფელ დარჩიეთში 2140 მეტრზე ახალი გზა იგება. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა კი 15-იანი თანადაფინანსებით მონაწილეობს.

სამუშაოებს სააქციო საზოგადოება „კავკასავტომაგისტრალი" ასრულებს. პროექტის ღირებულება 592 126 ლარია.

თავდაპირველი პროექტით გზა სოფლის ბოლომდე უნდა დაგებულიყო. მოსახლეობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თხოვნით, მუნიციპალური განვითარების ფონდმა პროექტის კორექტირება მოახდინა — ახლა სოფლის ცენტრალური გზა სოფელ ნანიანის ასფალტირებულ გზას შეუერთდება.

სამუშაოები ნოემბრის ბოლომდე დასრულდება.

## დედოფლისწყაროს გამგებელმა დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფელ სამრეკლოს მე-2, მე-10 და მე-11 ქუჩებზე დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

სოფელ სამრეკლოში ახალი გზა დაიგო მე-10 და მე-11 ქუჩაზე:

მე-10 ქუჩაზე დაიხარჯა 84 152 ლარი; მე-11 ქუჩაზე დაიხარჯა 79 566 ლარი; მე-2 ქუჩის გარეგანათებაზე — 8 427 ლარი.

„ქუჩების მცხოვრებთ დავპირდით, რომ აუცილებლად მოვაწესრიგებდით გზასაც და გარეგანათებასაც. ეს დაპირება შევასრულეთ. მიხარია, რომ მოსახლეობა კმაყოფილია და მადლიერებას გამოთქვამს დამთავრებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო", — განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

„ჩვენს ქუჩაზე გზა ამ ზაფხულს დაიგო. 70 წელია ჩემი მშობლები აქ ცხოვრობენ და ამ ხნის განმავლობაში მოასფალტებული გზა უბანში არ გვქონია, არც კომუნისტების და არც წინა მთავრობის დროს. უბნის მოსახლეობა მადლიერი ვართ ხელისუფლების, ჩვენი გამგებლის, რომ ძალ-ღონეს არ იშურებენ, დიდ ყურადღებას გვაქცევენ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მუშებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ", — ამბობს მე-11 უბნის მცხოვრები მაია ლეკაშვილი.

## ლაგოდეხი – ახალი ელექტროხაზები სოფელ ქვემო გურგენიანში

სოფელ გურგენიანში მოძველებული დენის სადენებს, რომლებიც ხშირად გამოდის მწყობრიდან და პრობლემებს უქმნის მოსახლეობას, ს/ს „კახეთის ელექტროდისტრიბუცია" თანამედროვე იზოლირებული სიპის სადენებით შეცვლის. სამუშაოები 1 800 მეტრზე შესრულდება, რის შემდეგაც ადგილობრივებს ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები მოუგვარდება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახა ჯამბურიამ დაათვალიერა მიმდინარე სამუშაოები, მოსახლეობას შეხვდა და სოფლად არსებული მდგომარეობით დაინტერესდა.

1968 წლის შემდეგ სოფელ გურგენიანში ელექტროსადენები არ შეცვლილა.

## დუშეთი – ინფრასტრუქტურული სამუშაოები ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში

ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში — ზოტიკიანთკარი, თანდილაანთკარი, ბანცურთკარი, შალიკიანთკარი — მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე, ქაისხევის გზის დამეწყრილ მონაკვეთამდე, შალიკიანთკართან, არყალას ხევის კალაპოტის გამაგრება, ეწყობა გაბიონები.

## ზუგდიდი – შეხვედრა დარჩელში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოოპერატივ „დარჩელში" სასოფლო-სამეურნეო დარგის მეწარმეებს შეხვდნენ. შეხვედრას მხარის გუბერნატორი ლევან შონია, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მამუკა წოწერია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ ის მეწარმეები, რომლებმაც სახელმწიფოს დახმარებით ახალი საწარმოები დააფუძნეს და არსებული გააფართოვეს.

პრემიერ-მინისტრმა კოოპერატივების მიერ წარმოდგენილი პროდუქცია დაათვალიერა და დააგემოვნა კიდეც.

კოოპერატივი „დარჩელი" სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მოდელს წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დარჩელში 2015 წელს, სახელმწიფო პროგრამის — „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის გზით" — ფარგლებში მოეწყო საწარმოო ინფრასტრუქტურა, რომელშიც ყოველდღიურად 24-ტონამდე ნაჭუჭიანი თხილის გამოშრობა და ერთდროულად 500-ტონამდე თხილის შენახვაა შესაძლებელი.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ სოფლის მეურნეობის მიმართულებით არაერთი სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება, რომელთა შორისაა: შეღავათიანი აგროკრედიტი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობა, აგროდაზღვევა და ა. შ. აღნიშნული პროგრამების დახმარებით უკვე შეიქმნა 150 ახალი და გაფართოვდა 700-ზე მეტი საწარმო. დარეგისტრირებულია 1638 კოოპერატივი. დაზღვეულმა მიწის ფართობმა 37 587 ჰა შეადგინა.

## სოციალური სახლების მშენებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ მამუკა წოწერიამ, სოციალური დაცვის განყოფილების უფროს გოგი რევიასთან ერთად, ჭითაწყარის, ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოციალური სახლების მშენებლობის პროცესი დაათვალიერა.



ფოთი

სოციალური სახლების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს და დადგენილ ვადებში დასრულდება.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის გამგეობა სოციალურად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე 25 ოჯახს საცხოვრებელ სახლს უშენებს. 2015 წელს ასეთი სახლი 16 ოჯახს აუშენდა.

## ფოთში სანიაღვრე სისტემა წესრიგდება

ფოთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემის მოსაწესრიგებელი სამუშაოები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ალისა" ახორციელებს. ამჟამად სანიაღვრე სისტემა რეკვავას ქუჩაზე ეწყობა, რომელიც ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის მიხედვით, ქალაქში ბეტონის არხები 12 ქუჩაზე ჩაიწყობა. სამუშაოები უახლოეს ხანში დასრულდება.



დედოფლისწყარო

# ძლიერი საქართველოსთვის



მარტვილი

## მარტვილში საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს

მარტვილის მუნიციპალიტეტში ტროტუარების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ მისამართებზე:

მარტვილი, გამსახურდიას ქუჩა N7-ის მიმდებარე ტერიტორია; თავისუფლების ქუჩა N16-ის მიმდებარე ტერიტორია; ქვაფენილი დაიგება 676 კვ. მ-ზე; სამუშაოს ღირებულებაა 25 368 ლარი; სამუშაოს ასრულებს ი/მ დავით დანელია.

## ადიგენი – ბოლაჯურსა და პატარა სმადაში ბეტონის გზა დაიგო

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ საკრებულოს დეპუტატებთან ერთად სოფელ ბოლაჯურსა და სოფელ პატარა სმადაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში გზის 234-მეტრიან მონაკვეთზე დაიგო რკინაბეტონის საფარი და მოწესრიგდა სანიაღვრე ქსელი, გზის 107-მეტრიან მონაკვეთზე კი გრუნტის საფარი მოეწყო.

აღსანიშნავია, რომ შიდასაუბნო გზის ამ მონაკვეთებზე წვიმისა და წყაროს წყლები აზიანებდა გზის საფარს, ართულებდა ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანებით გადაადგილებას.

სამუშაოებს სულ 26 734 ლარი მოხმარდა.



ადიგენი

## ახალციხე-სვირის საავტომობილო გზა

სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ახალციხე-სვირის საავტომობილო გზაზე.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და ასფალტბეტონის ორფენიანი საფარი 1800 მეტრზე დაიგო.

შარშან ასფალტი 1700 მეტრზე მოეწყო.

## სკვერების რეაბილიტაცია ვალეში

ქალაქ ვალეში სკვერების რეაბილიტაცია დაიწყო. სამშენებლო სამუშაოები ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიასთან და 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე სკვერში ბილიკები და ბორდიურები მოეწყო, ასევე დაიგო დეკორატიული ქვაფენილი. სკვერში დამონტაჟდება სკამები და აღდგება არსებული ღობე.

საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარე სკვერში კიბის საფეხურები ბაზალტის ფილებით მოპირკეთდა, ხოლო სავალ ბილიკებზე დეკორატიული ფილები დაიგო.

სკვერების სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## მზის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ბოლნისის ენერგეტიკული განვითარების გეგმითა და „მერების შეთანხმების" ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში ცენტრალიზებული მზის ენერგოფერმის მოწყობა მიმდინარეობს.

მდგრადი განვითარების პროექტ რემისიის სუბკონტრაქტორი კომპანია „ახალი ტექნოლოგიების ცენტრმა" მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახურავზე დაამონტაჟა მზის პანელები. პროექტი 15 კვტ. დადგმული სიმძლავრის მზის ენერგოფერმის მოწყობას, ელენერგიის მიწოდებას, კოლექტორული მართვისა და მონიტორინგის სისტემების ორგანიზებას გულისხმობს.

პროექტი გრანტის ფარგლებში დაფინანსდება, რომლის ღირებულება 50 000 აშშ დოლარია. პროექტს გააჩნია გაფართოების პერსპექტივა, რაც გულისხმობს მზის პანელების დამატებას – ამით შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული შენობებისა და გარეგანათების ქსელის ელექტროენერგიით მომარაგება.

## ამბულატორიების – „სოფლის ექიმის" მონიტორინგი დმანისში

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ სამუშაო შეხვედრა გამართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროს ბესიკ ტეფნაძესთან. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს დმანისის მუნიციპალიტეტში „სოფლის ექიმის" ამბულატორიების მუშაობის პროცესი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია ათი ამბულატორია, რომელთა სოფლის ექიმები სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ემსახურებიან.

შეხვედრაზე განიხილეს ის პრობლემები და საჭირბოროტო საკითხები, რაც მოსახლეობისა და ექიმების წინაშე დგას. შეხვედრას ესწრებოდნენ: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი მეგი ედიბერიძე და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დმანისის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით დაუთაშვილი.

## გორი – სოფელ ხიდისთავში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციაზე 714 000 ლარი დაიხარჯება

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში წყლის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

„პროექტი ითვალისწინებს 14 კმ სიგრძის ახალი მაგისტრალური და შიდაქსელის მოწყობას, რეაბილიტირებული იქნება სამარაგო რეზერვუარები, მოსახლეობა წყალი მიეწოდება თვითდინებით, რაც სოფლის მკვიდრთ სასმელი წყლის პრობლემას მოუგვარებს.

სასმელი წყლის სისტემის მოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულებაა 1 714 000 ლარი.

სამუშაოები ხიდისთავში 2017 წლის იანვარში დასრულდება, რის შემდეგაც სასმელი წყლის მიწოდება მოუწესრიგდება 5 ათასამდე მოსახლეს.



დმანისი

## შუახევში 97 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე გამგეობის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის საჯარო მოხელეებს შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს 2016 წლის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობა.

აღინიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წელს ხორციელდება 97 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო დაფინანსება 5 317 000 ლარია. უკვე დასრულდა 29 პროექტი, მუშაობა მიმდინარეობს 34 ობიექტზე. მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდება 92 ღონისძიება, რომელთა საერთო დაფინანსება 582 188 ლარია. უკვე დასრულდა 26 პროექტი.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაჩქარების, ყველა პროექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ხარისხიანი შესრულების აუცილებლობას.

## ხულოს ფოლკლორული ანსამბლი BLEACK SEA ARENA-ში

შეკვეთილში, ახალგახსნილ საკონცერტო დარბაზ **Bleack Sea Arena**-ში გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის დასკვნითი გალა-კონცერტი. უცხოურ და ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად გალა-კონცერტში მონაწილეობა მიიღო ხულოს კულტურის ცენტრის უხუცესთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბერმუხამ", რომელსაც მაყურებელი ემოციებითა და შეძახილებით შეხვდა.

ფესტივალი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობისა და **Bleack Sea Arena**-ს მხარდაჭერით გაიმართა.

შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი წელს პირველად ჩატარდა.

## ქობულეთის „ემტეესის" დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა მიმდინარეობს

„ემტეესის" დასახლებაში მიწისქვეშა კომუნიკაციები აქამდე არ არსებობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ ახალი საკანალიზაციო სისტემით 200-მდე ოჯახი ისარგებლებს. საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების შემდეგ გამგეობა დასახლებაში ქუჩების რეაბილიტაციას გეგმავს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა ცენტრალური მაგისტრალი და შიდაქსელი, აგრეთვე სატუმბი სადგური.

ამ ინფრასტრუქტურული პროექტისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1 054 799 ლარი დაიხარჯება. პროექტის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება.

შარშან „ემტეესისა" და კარიერის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემების მოწყობის სამუშაოების პირველი ეტაპისთვის 1 657 444 ლარი დაიხარჯა.

# ვინ არიან სვინგერები და ემუქრება თუ არა საქართველოს ახალი სექსუალური რევოლუცია?

სექსუალური ურთიერთობის არასტანდარტული ფორმა, რომელსაც სვინგერობის სახელით იცნობენ, მეორე მსოფლიო ომის დროს, ამერიკაში ჩამოყალიბდა. ამერიკელ სამხედროებს (უმეტესად, საჰაერო ძალების პილოტებს) ომში დაღუპული მეგობრის დამწუხრებულ ქვრივზე ზრუნვა საკუთარ მოვალეობად მიაჩნდათ. სავარაუდოდ, ზრუნვა მხოლოდ მარკეტიდან პროდუქტების მოტანით ან გატეხილი კარადის შეკეთებით არ შემოიფარგლებოდა. განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვრივი ახალგაზრდა და ლამაზი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობიანობის დროს, ქვრივების დეფიციტი გაჩნდა, სამხედროებმა მიჩვეულის გადაჩვევაზე უარი თქვეს და ქვრივები საღ-სალამათი მეგობრების ცოლებით ჩაანაცვლეს. ასე ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელსაც დღეს სვინგერობას უწოდებენ. სვინგერები არიან ადამიანები ტრანსფორმირებული მსოფლმხედველობით, რომლებისთვისაც მეუღლეების ან სექსუალური პარტნიორების გაცვლა ცხოვრების წესია, ამიტომ ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ. ოჯახური წყვილების უმეტესობას, რომლებმაც ურთიერთობის ასეთი ფორმა არჩიეს, არ მოწონთ შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და ფიქრობენ, რომ ოჯახში ტყუილის ატმოსფეროს შექმნას და ჩხუბსა და სკანდალებს იმის აღიარება ჯობია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთი ადამიანის ერთგულებას არ აპირებენ და ერთგულება არც მეუღლისგან მოითხოვონ. მათი აზრით, ერთდროულად, რამდენიმე პარტნიორის ყოლა სულაც არ ნიშნავს გარყვილებას. როგორც წესი, სვინგერების უმეტესობა ძალიან მომთხოვნია პარტნიორის შერჩევისას. ურთიერთობაში ტყუილმა და ეჭვიანობამ რომ არ იჩინოს თავი, სვინგერი გულმოდგინედ არჩევს საიმედო პარტნიორს, რომელიც ზუსტად იცის სად, ვისთან და რა მდგომარეობაში იმყოფება. სვინგერობა ბევრისთვის რთული და შეუძლებელიც კია, რადგან დაკავშირებულია უამრავ ფაქტორთან. სექსუალური თვალსაზრისით მკაცრად აღზრდილ ბავშვებს მშობლების შექმნილი ქცევის მოდელი ზრდასრულობის ასაკამდე მიჰყვებათ. ასეთ სქემებში კი სვინგის ადგილი არ არის. სვინგს უკომპლექსო ადამიანები მიმართავენ, რომლებისთვისაც უცხოა ეჭვი და ყოყმანი. ადამიანი ან მზად არის ასეთი ურთიერთობისთვის ან არა.



სვინგერები ოჯახური წყვილები ან მუდმივი საყვარლები არიან. სწორედ ამით განსხვავდება ეს მოვლენა ჩვეულებრივი ჯგუფურის სექსისგან. სვინგში ცოლების ან ქმრების გაცვლა აუცილებელი არ არის. წყვილს შეუძლია პარტნიორები არ გაცვალოს, მაგრამ სექსით მეორე წყვილის თანდასწრებით დაკავდეს. ცნობილია, რომ მამაკაცებს ძალიან არ უყვართ, როცა სხვა მამაკაცს ადარებენ, ამიტომ სვინგერებს აქვთ „ოქროს წესი"- არასოდეს შეხვდნენ სვინგ-პარტნიორს საკუთარი პარტნიორის გარეშე. სექსუალური ურთიერთობის არასტანდარტული ფორმის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სვინგი სექსუალურობას აცოცხლებს. ქალები აღიარებენ, რომ სექსუალური ცხოვრების მანძილზე, სვინგის დროს პირველად განიცადეს 100%-იანი ორგაზმი, რომლის შემდეგაც მათი შეგრძნებები გაცილებით უკეთესი გახდა. სვინგერებისთვის სვინგი ადამიანების პატიოსანი კავშირია, რომელსაც ტყუილთან და ღალატთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თუ რომელიმე სვინგ-პარტნიორმა საიდუმლოდ შეხვედრები დაიწყო, ეს ღალატად ითვლება.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ამერიკაში სვინგ-კლუბების გახსნაც კი დაიწყეს. ამ კლუბში მხოლოდ მყარი ურთიერთობების მქონე პარტნიორებს იღებენ, რომლებსაც შემთხვევითი სქესობრივი კავშირები არა აქვთ. სვინგის დედაქალაქად კალიფორნია ითვლება. როგორც სტატისტიკა ამბობს, ყოველი მეორე კალიფორნიულიწყვილს თუნდაც ერთხელ მაინც უცდია სვინგი, ყოველი მეოთხე კი მუდმივად ამითაა დაკავებული. სვინგის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. დასავლურ კულტურებში მას ნორმალურ სქესობრივ აქტივობად მიიჩნევენ, აღმოსავლეთში კი უკიდურეს გარყვნილებად მიაჩნიათ.

შარშან უკრაინულ ვებ-გვერდზე „უკრაინელი სვინგერები" გავრცელდა ინფორმაცია სვინგის უკრაინელი დედოფლის სვეტლანა რედიჩის საახალწლო წვეულების შესახებ. ანონიმური ოჯახური წყვილების გარდა, წვე-



ულებას ესწრებოდნენ ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსები საყვარლებთან ერთად, პოპულარული ჟურნალისტები, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები და უცხოელი სტუმრები. ამბობენ, რომ მათ შორის იყო ცნობილი პოლონელი მომღერალი მარილია როდოვიჩი თავის ნორჩ საყვარელთან ერთად. ღონისძიების ორგანიზატორი სვეტლანა რედიჩი წვეულებაზე თავისი მუდმივი პარტნიორის ვლადიმერ კირიაზის გარეშე იმყოფებოდა. მის ნაცვლად, სვეტლანას მხარს უმშვენებდა მისი სვინგ-პარტნიორი ლიოშა კოტოვსკი. საიტის ინფორმაციის თანახმად, უკრაინელი სვინგერების „საახალწლო გრიალი" 30 დეკემბრიდან 4 იანვრამდე გაგრძელდა და მონაწილეებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები აჩუქა.

2011 წელს მოსკოვში რუსეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი სვინგერ-კლუბი გაიხსნა. ჟურნალისტები, რომლებმაც სიუჟეტის მოსამზადებლად კლუბში შესვლა მოახერხეს, შოკირებულები იყვნენ ცხოველურ ინსტიქტებამდე დასული გარყვნილების ხილვით. „ექსპრეს-გაზეთის" ერთ-ერთი კორესპონდენტის თქმით, ამ სვინგ-კლუბის კედლებში ორგაზმი ჩვეულებრივ, დაცემინებას უთანაბრდებოდა. მორიგი სქესობრივი აქტის შემდეგ, მამაკაცები დამცავ საშუალებას ოთახის კუთხეში მდგარი ურნისკენ ისროდნენ და ბარისკენ მიემართებოდნენ, ქალები კი მორიგი პარტნიორისკენ ბრუნდებოდნენ. ჟურნალისტი იხსენებს, რომ კლუბში მოხვედრამდე მკაცრი შემოწმება გაიარა: „ვისთან ერთად მობრძანდებიით?- მკითხა კლუბის ადმინისტრატორმა ტელეფონზე ჩაწერის დროს. მეუღლესთან ერთად ვიქნები. ჩვენ ამ საქმეში ახალბედები ვართ და გამოცდილების მიღება არ გვაწყენდა- ვუპასუხე არც თუ დამაჯერებლად. ახალბედებთან ძალიან მომთხოვნები არ ვართ. მთავარია დრეს-კოდი და კლუბის წესები დაიცვათ.

მე და ჩემს კოლეგას, რომელიც ჩემს ქმარს განასახიერებდა, კლუბში შესვლისთანავე ქვედა საცვლამდე გახდა მოგვთხოვეს. ვაღიარებ, კოლეგისა და უცნობი ადამიანების წინაშე გახდილი პოზიორობისთვის მზად არ ვიყავი, ამიტომ მეგარდერობეს ზეწარი გამოვართვი და ტანზე მოვიხვიე. ამასობაში, დაცვა ჩვენს ინსტუქტაჟს აგრძელებდა: ნივთები და ფული ჩვენთან უნდა დატოვოთ და დაიმახსოვრეთ, ჩვეს კლუბში არა არას ნიშნავს. სექსი შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი თანხმობით და არავითარი პროსტიტუცია. ნივთების ჩაბარების შემდეგ, მეგარდერობემ მოგვცა სამაჯურები პირადი ნომრით. მოლარესთან ორი ბილეთის საფასური გადავიხადეთ და დიდ დარბაზში შევედით. სანამ კლუბის სტუმრების თვალიერებით ვერთობოდი, ჩემთან ვიღაც უცნობი, შავგვრემანი მამაკაცი მოვიდა. გინდა, კლუბი დაგათვალიერებინო? - მკითხა მან. მე „ქმარს" გავხედე. მან დასტურის ნიშნად თავი დამიქნია და ექსკურსია დაიწყო. სექსიც ხომ არ მოგვესინჯა? — შემომთავაზა „ექსკურსიამძღოლმა". ექსკურსიის დამთავრების შემდეგ. არა.. — ვეცადე, რაც შეიძლება ზრდილობიანად მეთქვა. დღეს არა.. ჯერ მიჩვევა მჭირდება. კლუბის მთავარმა წესმა იმოქმედა — უცნობ მამაკაცს ძალა აღარ დაუტანებია. ჩემმა იმედგაცრუებულმა მეგზურმა თემის შეცვლა გადაწყვიტა: იცი, აქ რისთვის ვარ? ოჯახი მენგრევა.. 15 წელია ცოლი მყავს. ერთმანეთს „მოხარშულს" ვიცნობთ და ყველაფერი ძალიან მოსაწყენი გახდა. ახალი შეგრძნებები მჭირდება, რომ ცოლს არ გავშორდე, გესმის? შენ ყოჩაღი ხარ, რომ ქმარს არ უღალატე - მითხრა უცნობმა და „ქმართან" დამაბრუნა. სხვათა შორის, ჩემს ლოდინში კოლეგას დრო უქმად არ დაუკარავს - ოჯახური წყვილი გაიცნო, რომელიც არწმუნებდა, რომ სვინგერობა მათ ურთიერთობაში სუფთა ჰაერის ნაკადია.

დილის 5 საათისთვის კლუბმა დაცარიელება დაიწყო. იატაკი გამოყენებული რეზინებით იყო მოფენილი. სხვათა შორის, დაწესებულების ხელმძღვანელობა მათ უფასოდ გასცემს. კმაყოფილი და ემოციებისგან დაცლილი წყვილები ერთმანეთს მომავალ შეხვედრამდე ემშვიდობებოდნენ და ტაქსის გაჩერებისკენ გარბოდნენ. სახლისკენ მიმავალი ვფიქრობდი, რა არის ამაში ისეთი, რომ ამდენ ადამიანს იზიდავს? სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 მილიონზე მეტი სვინგერია დარეგისტრირებული და რუსეთიც ამ გზას ადგას..

ჯერჯერობით, საქართველოში სვინგერების აქტივობები შეუმჩნეველია, თუმცა უცხოურ საიტებზე სულ უფრო ხშირად გვხვდება ქართველი სვინგერების განცხადებები უცხოელი პარტნიორების მოძიების შესახებ. მიიღებს თუ არა ქართველი მამაკაცი საკუთარი მეუღლის ზიარად ქცევის პრაქტიკას და ემუქრება თუ არა საქართველოს ახალი სექსუალური რევოლუცია, დრო გვაჩვენებს..

**ნანა კორშია**



# შესაძლებელია საქართველოში პროფესიონალი მეხანძრის დეფიციტი შეიქმნას



**გვესაუბრება საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სპეციალობის მასწავლებელთა ასოციაციის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლკოვნიკი სერგო ლაითაძე.**

— **ბატონო სერგო, მსოფლიოში გახშირდა ტყის ხანძრები, რომელმაც მთელი რიგი ქვეყნები აზარალა, როგორც ეკოლოგიურად, ასევე ეკონომიურადაც. ჩვენ როგორ ვართ ამ მხრივ დაცულები? საინტერესოა თქვენი მოსაზრება, რადგან თქვენ ხანძარსაწინააღმდეგო სისტემაში თითქმის ოთხი ათწლეული მოღვაწეობდით.**

— ტყის ხანძართან ბრძოლა, თავისთავად, საკმაოდ რთულია. ხშირია ხანძარი გაუვალ ადგილებში, უღრან ტყეებში. ტყის ხანძრებთან საბრძოლველად, სპეცტექნიკასთან ერთად, გამოიყენება ავიაციაც, რადგან ტყის ხანძარი რადიკალურად განსხვავდება ჩვეულებრივისგან. ახლა ძნელი სათქმელია, გვაქვს თუ არა ტექნიკური შესაძლებლობა, გავუმკლავდეთ ტყის ხანძარს.

— **ჩვენი დედაქალაქის შემოგარენი და, საერთოდ, ქალაქი თუ არის დაცული იმ შემთხვევაში, ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ხანძარი მოხდა?**

— როგორც გითხარით, გაუვალ ადგილებში ერთი-ორი მანქანაც ვერ მიაღწევს. რაც შეეხება თბილისის შემოგარენს, როგორც ვიცით, ტყე ნაკლებად არის, ძირითადად, ბუჩქები და ბალახებია. დღეს ახალი მანქანები გვყავს და სწრაფად შეიძლება ხანძრის კერასთან მისვლა და ლოკალიზება. მთავარ პრობლემად მაღალსართულიან სახლებთან მისვლა და ზედა სართულებზე ასვლა მიმაჩნია.

— **რადგან ქალაქის პრობლემებზე ვიწყებთ საუბარს, მინდა გკითხოთ: დღეს თბილისში კორპუსები ერთმანეთის მიბჯენით შენდება. ეს გარემოება გვიქმნის თუ არა საფრთხეს?**

— კორპუსების ერთმანეთის მიბჯენით აშენება, ყველაფერთან ერთად, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევაა. მინდა გითხრათ, რომ სახანძრო უსაფრთხოების წესებში კარგად არის განმარტებული, როგორ უნდა აშენდეს ნებისმიერი ობიექტი, რა უნდა გაითვალისწინოს მშენებელმა და ასე შემდეგ. თუმცა საკითხავია, ასრულებს ვინმე არსებულ ნორმატივებს? ვინ უნდა გააკონტროლოს? კონტროლი ხელისუფლებას, ამ შემთხვევაში, დედაქალაქის მერიას ევალება. მათი გადასახედიდან, მშენებლობა მომგებიანი დარგია, დიდი კაპიტალი ტრიალებს. ამიტომ ეს გარემოება ფარავს უსაფრთხოების საკითხებს.

ის მეხანძრე კი, რომელსაც კონტროლი ევალება, თუნდაც სამმართველოს უფროსი, ვერაფერს აკეთებს.

— **როგორც მახსოვს, მშენებლობის დაწყებამდე, პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება სახანძრო უსაფრთხოებას ექცეოდა.**

— დიახ, ხანძარსაწნააღმდეგო სამმართველოში იყო სპეციალური განყოფილება, რომელსაც მშენებარე ობიექტების ზედამხედველობა ევალებოდა. აბა, ვინმეს თუნდაც უმნიშვნელოდ დაერღვია ნორმები. თუ ახალაშენებული ობიექტის ჩაბარების აქტზე მეხანძრის ხელმოწერა არ იყო, ობიექტი ექსპლოატაციაში ვერ შევიდოდა. ახლა ეს სისტემა მოიშალა. ყველაფერი დამოკიდებულია მშენებლების კეთილსინდისიერებაზე. გიმეორებთ, არსებობს გაწერილი ნორმები, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ასრულებენ.

— **ბატონო სერგო, ჩვენ ახლა მშენებლობებზე ვსაუბრობდით, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თბილისში უამრავი ბენზინგასამართი სადგურია. ამასთან, ქალაქის ცენტრალურ ადგილებში...**

— სახანძრო უსაფრთხოების წესებში კარგად არის ჩანაწერი, სად შეიძლება გაიხსნას ბენზინგასანმართი სადგური, მისი მოვლა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, სად და როგორი უნდა იყოს აღჭურვილობა. წინა ხელისუფლებამ ბენზინგასამართი სადგურები გააფართოვა, იქვე დაამონტაჟეს გაზგასამართი სადგურები და კომპლექსური სადგური დაარქვეს. არსებულ, ფაქტობრივად, ჰიბრიდულ კანონში კი არაფერია ნათქვამი უსაფრთხოების ნორმებზე. არაფერი წერია თუ სად შეიძლება აშენდეს გაზგასამართი სადგური, როგორ უნდა იყოს მოსახლეობა დაცული.

— **გამოდის, რომ, ყველაფერთან ერთად, არც სამოქმედო სტანდარტული ნორმები გვაქვს?**

— რაღაც ზოგად სტანდარტებზეა საუბარი, მაგრამ პირადად ჩემთვის გაუგებარია. გამოდის, რომ ამ არასრულფასოვანი დებულებით გაამარტივეს ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა და ექსპლოატაცია. დებულება მხოლოდ ამას ემსახურება. ერთი ასეთი სადგური უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთანაც შენდება. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით მსგავს ფაქტს. წარმოიდგინეთ სასწავლო კორპუსი, იქვე ტრანსპორტის გაჩერება და ოდნავ მოშორებით საცხოვრებელი მასივი! გიმეორებთ, არსად ასე დაუდევრად არ ეპყრობიან ავტოგასამართი სადგურების გახსნას, როგორც ჩვენთან.

— **ადრე წარმოებებში ჰქონდათ ჩამოყალიბებული ხანძარსაწინააღმდეგო რაზმები. ახლა, მართალია, ცოტა საწარმო თუ მუშაობს, მაგრამ თუ არის ასეთი პრაქტიკა შემორჩენილი?**

— შეიძლება რომელიმე მოქმედ დიდ საწარმოებში იყოს შემორჩენილი მსგავსი პრაქტიკა, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, დეტალური ინფორმაცია არ მაქვს. მახსოვს, რკინიგზას ჰქონდა სახანძრო მატარებელი, მაგრამ კიდევ აქვს თუ არა, ვერ გეტყვით. ასეთი რაზმების არსებობა აუცილებელია, განსაკუთრებით ხის დამამუშავებელ საამქროებში და იქ, სადაც ლაქ-საღებავებს გამოიყენებენ. ასეთ საწარმოებში აუცილებელია, ასევე, იქონიონ მთელი რიგი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობები.

— **თბილისში მაღალსართულიანი სასტუმროების რაოდენობა გაიზარდა. თუ გვაქვს ისეთი ტექნიკა, მაღალ სართულებზე ავიდნენ მეხანძრეები და, საერთოდ, რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა სასტუმრო „ივერია“ აშენდა, სახიფათო იყო სახანძრო კუთხით ასეთი დიდი შენობის დადგმა. ახლა თაბუკაშვილის ქუჩაზე აშენდა მაღალსართულიანი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროც. მშენებარე ფირმას და მეპატრონეს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიზიტორი თუ ვერ ნახავს, ხანძლის შემთხვევაში სად წავიდეს და რა მოიმოქმედოს, უბრალოდ, არ დაბინავდება. უცხოელები უსაფრთხოების ნორმებს დიდ ყურადღებას აქცევენ. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის კერძო სასტუმროების გახსნის ნებართვები გასცეს. ზოგიერთმა კრედიტიც აიღო. ახლა მეპატრონეები ცდილობენ, სასტუმროები იაფად, ნაკლები დანახარჯებით მოაწყონ. ეკონომიას ელექტროსადენებზეც აკეთებენ, რაც დაუშვებელია და დიდი დარღვევაა. თუ სადენმა დატვირთვას ვერ გაუძლო, მაშინ ხდება გადახურება და იზოლაცია დადნება. გავიხსენოთ ქობულეთში დატრიალებული ტრაგედია. მაშინ ცეცხლმა კი არ იმსხვერპლა ბავშვები, არამედ დამდნარი იზოლაციისგან გამოსულმა ბოლმა გაგუდა. ზოგჯერ ეკონომიას უფრო დიდი ზარალის მოტანა შეუძლია, ვიდრე სარგებლისა. გარდა ამისა, მოსაპირკეთებლად პლასტიკატებს იყენებენ, რაც ასევე დაუშვებელია. ხანძარში არ იწვება პლასტიკატი, ის დნება და მომწამვლელ, გამგუდავ ბოლს გამოყოფს.

— **გამოდის, რომ სახანძრო უსაფრთხოების ზომები მასობრივად ირღვევა და დაუცველია ჩვენს ქვეყანაში?**

— სამწუხაროდ, დაუცველია. არადა, ყოველივე ამის მოგვარება მარტივია. ტურისტული სეზონის დაწყების წინ სასტუმროს მფლობელებმა უნდა მოიწვიონ ადგილობრივი სახანძრო ზედამხედველობის წარმომადგენლები და გაითვალისწინონ მათი რეკომენდაციები. ამით დაცული იქნება მფლობელიც და სტუმარიც.

— **საქართველოში თუ გვყავს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი მეხანძრეები და ახალბედები სად გადიან სწავლებას?**

— გვყავს, მაგრამ ცოტა. თუ ასე გაგრძელდა, ადვილი შესაძლებელია, პროფესიონალი მეხანძრეების დეფიციტი შეიქმნას საქართველოში. მხოლოდ მოკლევადიანი სასწავლო კურსებით შორს ვერ წავალთ. საამისოდ სისტემა უნდა შეიქმნას, თორემ მომავალში ქვეყანას ძვირი დაუჯდება, რადგან საზღვარგარეთ მეხანძრის მომზადებას დიდი თანხები სჭირდება. ძველ გაფანტულ კადრებს კვლავ მოზიდვა სჭირდება, მათი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.



**გია ბურდული**
551 71 27 07

# მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი

**2010 წელს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „სოციალური ქსელი“, რომელიც „ფეისბუკის“ დამაარსებელს მარკ ცუკერბერგს მიეძღვნა. ეს ფილმი ბენ მეზრიჩის რომანის მიხედვით არის გადაღებული, რომლის სათაურია „უნებლიე მილიარდერები: „ფეისბუკის“ შექმნის რეალური ისტორია“.**




### პირველი კომპიუტერი

საკმაოდ უხერხულია, როცა 21-ე საუკუნის ყველაზე ცნობილი და მდიდარი ადამიანის შესახებ საუბარობ და მისი დაბადების თარიღს ასახელებ — მარკ ცუკერბერგი 1984 წლის 14 მაისს დაიბადა ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესპექტაბელურ რაიონში, დობს ფერიში. მისი მშობლები ექიმები არიან: დედა ფსიქიატრია, მამა — სტომატოლოგი. კარიერას ხელი არ შეუშლია ცუკერბერგებისთვის, რომ ოთხი შვილი გაეჩინათ.

ოჯახში ბევრი ბავშვის ყოფნამ აიძულა მარკი ჩაედინა პროგრამისტული გმირობა — 11 წლის ასაკში მან შექმნა საოჯახო მინი-ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევდა, მიმოწერა განეხორციელებინა დებთან და მშობლებთან.

10 წლის იუბილეზე მარკმა პირველი კომპიუტერი მიიღო საჩუქრად. იგი სერიოზულად გაიტაცა ახალმა „სათამაშომ“. უნდა ითქვას, რომ მანამდე ბიჭუნას სრულიად სხვა გატაცებები ჰქონდა — მას აინტერესებდა ანტიკური პერიოდი და ლათინურ და ბერძნულ ენებსაც კი სწავლობდა. მაგრამ კომპიუტერული ენები უფრო საინტერესო აღმოჩნდა. მოგვიანებით მარკმა თქვა, რომ ადამიანები მომხმარებლებად და პროგრამისტებად იყოფიან. პირველები, როგორც კი კომპიუტერი ჩაუვარდებათ ხელში, მის გამოყენებას იწყებენ, მეორენი კი იწყებენ მის შეცვლას და რთულ ამოცანებს იოლად წყვეტენ.

თავად ცუკერბერგი, რა თქმა უნდა, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება. უნდა ითქვას, რომ ბევრი მისი თანატოლი ურთიერთობს კომპიუტერთან, მაგრამ თამაშების იქით არ წასულა. მარკი კი ცდილობდა გაეგო სწრაფად განვითარებადი IT-ინდუსტრიის საიდუმლოებები, მათ შორის, დამცავი და, შესაბამისად, კომპიუტერის გატეხვის შესაძლებლობები.

### ახალგაზრდა ჰაკერი

მეცხრე კლასში მარკმა საკმაოდ უცნაური პროგრამა „შყნაპსე“ შექმნა. მისი საშუალებით შესაძლებელი იყო მონაცემების შეგროვება იმის შესახებ, თუ დღე-ღამის რომელ მონაკვეთში როგორ მუსიკას უსმენს ადამიანი საკუთარ კომპიუტერში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით პროგრამა ქმნიდა პლეი-ლისტს, რომელიც იმ მელოდიებს უკრავდა, რომლებსაც თავად მელომანი შეარჩევდა იმ მომენტისთვის.

ამ პროგრამით დაინტერესდნენ „მაიკროსოფტში“, მეორე კომპიუტერული გენიოსის, ბილ გეიტსის კომპანიაში და ახალგაზრდა პროგრამისტს უზარმაზარი თანხა შესთავაზეს. მან უარი განაცხადა ფულის აღებაზე და **„Synapse“** უფასოდ გაავრცელა.

მოგვიანებით მან კვლავ გააოცა ნაცნობები. იმავე „მაიკროსოფტმა“, როგორც კი მარკმა სკოლა დაამთავრა, მას მაღალანაზღაურებადი სამუშაო შესთავაზა, მაგრამ მან არ მიიღო ეს წინადადება და ჰარვარდში გაემგზავრა. ამასთან, სწავლის მიმართულებად კომპიუტერული ტექნოლოგიები კი არა, ფსიქოლოგია აირჩია.

ჰარვარდში მან მოუხელთებელი ჰაკერისა და ძლიერი პროგრამისტის სახელი დაიმკვიდრა. მარკმა გატეხა სერვერი, რომელშიც სტუდენტების საინფორმაციო ბაზა ინახებოდა თავისი ფოტოებით და ჰარვარდელ გოგონებს შორის ერთგვარი სილამაზის ქსელური კონკურსი მოაწყო. ამის გამო ადმინისტრაციამ ლამის გააგდო იგი უნივერსიტეტიდან...

ფილმში „სოციალური ქსელი“ მარკ ცუკერბერგი გამოყვანილია სოციოპათად, რომელსაც ფსიქიკური გადახრები აქვს. მის შესახებ დაწერილი სტატიების ავტორები ამბობენ, რომ ის კომპიუტერის დამატებაა და ყოველგვარ ადამიანურ სიამოვნებაზე უარს ამბობს. სინამდვილეში ეს სულაც არ გახლავთ ასე. ამაზე მეტყველებს სოციალურ ქსელში, მათ შორის „ფეისბუკის“ მის პირად გვერდზე გავრცელებული მრავალრიცხოვანი ფოტოები: იგი ყოველთვის იღიმება, მუდამ მეგობრების და ლამაზი გოგონების გარემოცვაშია, ბევრს მოგზაურობს და ა. შ.

მისი ფსიქიკური სრულყოფილების შესახებ და ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის უნარზე ისიც მეტყველებს, რომ „ფეისბუკის“ შექმნის დროს მან მალევე მოძებნა ბევრი თანამოაზრე და დამხმარე, რაც, პრინციპში, სოციოპათისთვის შეუძლებელია.

თუმცა, ცნობილი სოციალური ქსელის შექმნის ისტორია მართლაც ძალიან აბურდულია და ჭეშმარიტების ძიება ძალიან რთულია — იმ მოვლენების ყველა მონაწილე სხვადასხვა ვერსიას ასახელებს...



მთელი 2003 წლის განმავლობაში ინდური წარმოშობის ამერიკელი დივია ნარენდრა და ძმები კემერონ და ტაილერ ვინკლვოსები სტუდენტების გაცნობის საიტის პროექტზე მუშაობდნენ, შემოდგომაზე კი მათ მარკს თანამშრომლობა შესთავაზეს. იგი დათანხმდა, მაგრამ 2004 წლის 11 იანვარს დაარეგისტრირა დომენი სახელწოდებით **„TheFacebook.com“**. უნდა ითქვას, რომ „ფეისბუკის“ შექმნაში მას ეხმარებოდნენ მეგობრები: ედუარდო სავერინი, დასტინ მოსკოვიცი, ენდრიუ მაკკოლუმი და კრისტოფერ ჰიუზი.

ახალი სოციალური ქსელის გამოჩენისთანავე ნარენდრამ და ვინკლვოსებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ცუკერბერგმა მათი იდეა და შემუშავებული ვარიანტები მოიპარა.

2007 წელს მათ სასამართლოში იჩივლეს.

2009 წელს მოსარჩელეებმა გაიმარჯვეს და ცუკერბერგმა მათ 65 მილიონი დოლარი გადაუხადა. იმ დროისთვის ეს თანხა მარკისთვის ბევრი არ იყო, რადგან „ფეისბუკი“ ძალიან წარმატებული პროექტი აღმოჩნდა და ცუკერბერგი უმდიდრეს ადამიანად იქცა — მისი ქონება თითქმის 7 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

### მილიარდერი მეგობრები

2004 წლისთვის წარმატებამდე სულ რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა. „ფეისბუკში“ ფული დააბანდეს ცუკერბერგმა, სავერინმა და სოციალური ქსელის სხვა შემქმნელებმა.

სერიოზული ინვესტორი კი 2004 წლის ზაფხულში იპოვეს, როცა ცუკერბერგი პროგრამისტების მექაში, კალიფორნიის შტატში, ქალაქ პალო ალტოში გაემგზავრა. აქ მან გაიცნო საგადასახადო სისტემა **PayPal**-ის დამფუძნებელი პიტერ ტილი, შორსმჭვრეტელმა ბიზნესმენმა დაინახა, რომ პროექტს დიდი სარგებელის მოტანა შეეძლო და ახალგაზრდა გენიოსებს 500 ათასი დოლარი მისცა.

ამის შემდეგ შეიკრიბა უძლიერესი პროგრამისტების გუნდი და „ფეისბუკი“ მსოფლიოში უძლავრესი ქსელი გახდა.

ამასობაში თავის პირველ კომპანიონებთან ცუკერბერგს უსიამოვნება მოუვიდა. სწორედ განაწყენებულ ედუარდო სავერინთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ დაწერა ბენ მეზრიჩმა თავისი წიგნი „უნებლიე მილიარდერი: „ფეისბუკის“ შექმნის ალტერნატიული ისტორია“.

ცოტა უცნაურია, რატომ არიან ცუკერბერგის ყოფილი მეგობრები განაწყენებულნი — ყოველი მათგანი „ფეისბუკის“ აქციების მფლობელი და მილიარდერია. ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის ედუარდო სავერინიც არის, რომლის ქონება 1,15 მლრდ დოლარს შეადგენს...

### ცუკერბერგის პირადი ცხოვრება

ცუკერბერგის მომხრეები ამტკიცებენ, რომ განაწყენებულმა სავერინმა „ფეისბუკის“ დამაარსებლის ნათელი სახელი შელახა, მეზრიჩის წიგნი და მის მიხედვით შექმნილი ფილმი სიცრუეა და მწერალი არც კი გასაუბრებია ცუკერბერგს.

ისინი ამბობენ, რომ „ნამდვილი მარკი“ წარმოდგენილია სხვა წიგნში — „ფეისბუკის“ ეფექტი“, რომელიც დევიდ კირკპატრიკმა დაწერა სოციალური ქსელის შემქმნელთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ. წიგნში ახალგაზრდა მილიარდერი დადებით პერსონად არის წარმოდგენილი — იგი მხოლოდ საკუთარი საქმით არის დაკავებული და ოცნებობს, სამყარო უკეთესი გახადოს.

თავად ცუკერბერგს საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე ასეთი ჩანაწერი აქვს: „როდესაც ადამიანებს ერთმანეთის პოვნაში ვეხმარები, მე ვცდილობ, სამყარო უფრო გახსნილი გავხადო“.

როგორც მასობრივი ინფორმაციის წყაროების ცნობით, ცუკერბერგი ძალიან მოკრძალებული ადამიანია, ოფისში ველოსიპედით დადის, არ აცვია მდიდრული სამოსი, ფეხშველ ფეხზე სანდლები აცვია და მხოლოდ საკუთარი სამუშაო აინტერესებს.

ისე, ცუკენბერგს ჰარვარდი არ დაუსრულებია...

რაც შეეხება მარკ ცუნერბერგის პირად ცხოვრებას, იგი რამდენიმე წელი პრისცილა ჩენს ხვდებოდა, რომელიც 2004 წელს ჰარვარდში გაიცნო.

2012 წლის მაისში მარკი და პრისცილა დაქორწინდნენ. სტუმრებმა არც კი იცოდნენ, რომ ისინი ქორწინების ცერემონიალზე იყვნენ მიწვეულები, ვიდრე ცერემონია არ დაიწყო...

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22


**ტაქსი გამოძახებით**
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში



1. ფრანგი კომპოზიტორი; 2. ალპინისტის ფეხსაცმელი; 3. ახალ-ფარი; 4. ქალაქი საფრანგეთში; 5. სამლოცველი; 6. ფარი; 7. გოთიკური ავიანი; 8. ფრანგი ქინოლის ბალეტი; 9. გუანოს ლექსი; 10. მსახიობი ... ხარიკი; 11. ინგლისელი-ფრანგული ... ; 12. „ბიბილი კარლინალი"; 13. ანა კალანდაძის ლექსი; 14. მისის ბარძნელი მალ-ლეფერთი; 15. ავარიაური; 16. ავტორ-ვალი ხოს-ბისმინი ლოგანლ...; 17. სოფის სახიობა; 18. მონარქი-ული სახელმწიფო; 19. მარ-ჯინიანის კონ-ლექსი; 20. მსახიობი... ფილმში; 21. სანა-ფხული ფეხსაცმელი; 22. მათ შორის მე; 23. კაროლის ხუმბოლის რაიონში; 24. იტალიური მღის სახლი; 25. მძრომელი სხოველი; 26. ფრანგი ფარმელერი; 27. სახელმწიფო აფრიკაში; 28. რანი „ხნის კვიპოს"; 29. მსახიობი ... მაკარენკო; 30. პიონერი და ნიკას ფილმი; 31. შალთაკორისხის დახატვა; 32. საქართველოს კუთხე; 33. ქუთ. პანამერი; 34. ქაშაური; 35. სასიმბოლო ლექსი; 36. საბჭოთა მუტანი; 37. ეგონი თბილი რაზმი; 38. ვერისის შეთხზვისა.



# კროსვორდი

შვეულად: 1. ფრანგული სპორტული გამოცემა. 2. ხმელეთური ხარისხი. 3. გრძელი ქოჯა, რომელსაც თოკზე მოათრევენ ჯამბაზი იცავს წონასწორობას. 4. სამორჩილო ქალაქი იტალიაში ლიგურიის ზღვის სანაპიროზე. 5. არჩეული ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საქმიანობას. 6. ამერიკული მარშუტი, თავზე გრძელი თმა აქვს გადმოწეული. 7. თანამდევობის პირი, რომლის მოვალეობაა სხვადასხვაგვარი ოფიციალური აქტების დამოწმება, დადასტურება. 14. დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქი. 15. ბრაზილიის ყოფილი დედაქალაქი. 17. „იტვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი. 18. ჩრ. ამერიკული ველური ძაღლი. 19. ამერიკელი ხანრიელი ექსპერიმენტი. 20. ილუზიასა და პეტრიას „ლოლიტები ..." 21. მონარქებთან დაკავშირებული ყოველი, თქვენი ან განოსამოი წიგნის ნაწარმი. 25. წუნიაშვილის ლექსი 27. ცხოვრებისეული სიტყვების ჯგუფი ფორმაში. 29. ხეცხია აფრიკული ქვეყანა.

თარაზულად: 4. ადამიანისა და ცხოველების შიგნითა ყურის ნაწილი. 8. ფრანგული ნაწარმოები. 9. მოზამბიკის დედაქალაქი. 10. სხვადასხვა სახის ხელსაწყოები, რომლებიც იყენებენ ფიზიკური სიდიდეების გასაზომად. 11. ისრაელის ელჩი საქართველოში. 12. მწვანე მცენარეების ნახშირბადით კვების პროცესი სინათლის ენერგიის საშუალებით. 13. გრძელ დისტანციაზე მორბენალი სპორტსმენი. 14. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. 16. სწორი ხაზი, რომელიც აერთიანებს მრუდი ზედაპირის ორ წერტილს. 18. კედლის გამონაშვერი, რომელსაც ეყრდნობა შენობის ზოგი ნაწილი. 21. საკრავი, შედგება ერთმანეთზე გადაბმული ორი სხვადასხვა ზომის თიხის ქილისაგან, რომლებსაც პირზე ტყავი აქვს გადაკრული. 22. გეოლოგიური პერიოდის ნაწილი, როდესაც იყოდა საუკუნეებად. 23. საბერძნეთში გავრცელებული ყურძნის ჯიში. 24. ბერძნულ მითოლოგიაში პოსეიდონისა და გეას შვილი. 26. ნიკელის ერთ-ერთი მადანი, ნიკელის წითელი ალმადანი. 28. რადიოელექტრონიანი ელექტრომილაკი. 30. ორბელი, მერმერი მყინვარწვერის კალთაზე. 31. სხეულის თვისება შეინარჩუნოს უძრაობის ან მოძრაობის მდგომარეობა.

# ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | ლ | ა | ი | ქ | ა | ლ | ა | ქ | რ | ი | ტ | ყ | ი |
| რ | ა | ა | კ | ი | ტ | რ | ო | პ | ა | ფ | ო | ბ | ს |
| მ | ლ | ი | რ | ი | პ | ლ | ი | კ | ა | ნ | ი | ი | ქ |
| ს | ა | ვ | ო | ა | ი | დ | რ | ო | მ | ქ | თ | ა | ა |
| ნ | ბ | ო | ტ | პ | მ | ტ | ი | ფ | ი | ნ | ა | ა | თ |
| ი | ა | კ | ა | ნ | ა | მ | ტ | ო | ბ | ი | ა | მ | ა |
| მ | მ | დ | ი | ი | რ | ნ | ი | რ | ა | დ | ა | ყ | მ |
| მ | ჯ | ი | ი | ს | ი | ო | ს | ა | ლ | ა | დ | ო | რ |
| მ | ი | ა | ს | მ | რ | ა | ლ | ი | კ | მ | ო | ბ | შ |
| დ | ი | ნ | ა | კ | ო | ლ | ტ | ი | ა | ვ | ი | ლ | ა |

1. სადღეგრძელო გადაჩა; 2. მსუბუქი ავტომობილი; 3. თავშესაფარი, სამალავი; 4. ღორის ჯოგი; 5. მსხვილი დასასვენებელი შენობა; 6. ქალის თანამგზავრი; 7. ქალაქი ხოგლის არაბეთში; 8. სადღაც რეზინი გარეთ; 9. თურქეთის ხელთაანი სასახლე; 10. რუსი მომღერალი მამაკაცი; 11. რუსული სამეფოს ისტორიკოსი; 12. შეიარაღება; 13. წყლის სახე; 14. იისფერი; 15. მაგზე დაიდეგბული თოვანა; 16. რუმინია, მონოლოგი; 17. კურორტი ბორჯომთან; 18. ქალის რანგის მცენარე; 19. შიში რაიმეს მიმართ; 20. გაწვრთნილი ფრინველი.

# შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-10 | ს-18 |
| ბ- | ტ- |
| გ-17 | უ-29 |
| დ- | ფ- |
| ე- | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-7 | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ-32 | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ- | |

# მხარი დაუჭირე შენი ქვეყნის ძლიერებას – შეიძინე მხოლოდ ქართული პროდუქცია!































საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com